პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
29 აგვისტო შაბათი 2009
№203 (12882) ფასი 60 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

■ უეფას სუპერთასი

# ზლატანი? არა, პედრო!



**ბარსელონა–შახტარი 1:0 დ.დ**

**ბარსელონა:** ვალდესი - დანი ალვეში, პუიოლი, პიკე, აბიდალი - ჩავი, ტურე (100. ბუსკეტსი), კეიტა - მესი, იბრაჰიმოვიჩი (81. პედრო როდრიგესი), ანრი (96. კრკიჩი).

**შახტარი:** პიატოვი - სრნა, კუჩერი, ჩიგრინსკი, რაცი - ილსინიო, გაი (80. კობინი), ჰუბშმანი, უილიანი (91. აგაჰოვა) - ადრიანო, ფერნანდინიო (80. ჟადსონი).

**გოლი:** 1:0 პედრო როდრიგესი (115)

**გაფრთხილება:** 2-4; **კუთხური:** 15-0; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 2-6; **კარში დარტყმა:** 23-7 (10-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 17 000

თითქოს ტრადიციად დამკვიდრდა, რომ უეფას სუპერთასის მატჩები მოსაწყენი სანახაობაა და ასე ვთქვათ, ამხანაგური შეხვედრების შთაბეჭდილებას ტოვებს. ასე იყო წუხელაც, **ლეო მესისა** და **ალექსანდრ კუჩერის** გაწევ-გამოწევას თუ არ ჩავთვლით.

თამაშზე რაღა ვთქვათ... ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ „ბარსელონას" უდიდესი უპირატესობა კი ჰქონდა, მაგრამ უგერგილოდ უტევდა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** თამაშს კი თამაში არ ეთქმოდა. ხოლო როცა მესის ან **ტიერი ანრის** რაღაც გამოსდიოდათ, „შახტარის" გოლკიპერი **ანდრეი პიატოვი** შეუვალი იყო.

დამატებით დროში უფრო მეტი საგოლე მომენტი შეიქმნა, თანაც ორივე კართან. სუპერთასის ბედი მესის შესანიშნავმა პასმა და იბრას ნაცვლად შესული **პედრო როდრიგესის** დარტყმამ გადაწყვიტა. მოკლედ, ჯერ ესპანური სეზონი არ დაწყებულა და „ბარსელონამ" უკვე ორი სუპერთასი (საშინაოც) მოიგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



» გვერდი 7-8

## ტიტანური უქმეები

მანჩესტერ იუნაიტედი-არსენალი, მილანური დერბი და ბაიერნი-ვოლფსბურგი, კვირას რომა-იუვენტუსი...

# ზაზა ფაჩულია



## პროვოკაციაზე იოლად აღარ წამოვეგები

ინტერვიუ ნაკრების კაპიტანთან » გვერდი 15

საქართველოს ჩემპიონატი

## ლუპით, ტელესკოპითა და... პროჟექტორით

მთავარი მატჩი
ზესტაფონი
დინამო

ტურის წინათქმა » გვერდი 2

## BIENVENIDOS

LFP

## დღეს ესპანეთი იწყება

განაცხადები, ტრანსფერები და წინათქმა » 10-12

## დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-2 | 12 |
| 2. სპარტაკი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-6 | 9 |
| 3. ზესტაფონი | 4 | 2 | 2 | 0 | 3-0 | 8 |
| 4. დინამო | 3 | 2 | 1 | 0 | 7-0 | 7 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 1 | 1 | 4-6 | 7 |
| 6. გაგრა | 4 | 1 | 0 | 3 | 4-4 | 3 |
| 7. ბაია | 4 | 1 | 0 | 3 | 3-5 | 3 |
| 8. სამტრედია | 4 | 1 | 0 | 3 | 2-9 | 3 |
| 9. სიონი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-6 | 1 |
| 10. ლოკომოტივი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-6 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| აკინო (ოლიმპი) | 4 |
| გაბედავა (გაგრა) | 4 |
| დ. ქირია (ბაია) | 3 |

**ბაია-გაგრა**
30.08.09 ზუგდიდი ცენტრალური
**17:00**
დისკვალიფიკაცია: ქუპარდია (ბაია) შალიკაშვილი (გაგრა)

**ოლიმპი-სიონი**
30.08.09 რუსთავი ფოლადი
**17:00**
დისკვალიფიკაცია: არავინ

**ვიტ ჯორჯია-სპარტაკი**
30.08.09 გორი თ. ბურჯანაძე
**17:00**
დისკვალიფიკაცია: არავინ

**ლოკომოტივი-სამტრედია**
30.08.09 თბილისი მ. მესხი
**17:00**
დისკვალიფიკაცია: ჯანჯიძე (სამტრედია)

# ვიდრე ზაფხულს გავაცილებდეთ...

**ვიდრე ამ მეტისმეტად გრილ ზაფხულს გავაცილებთ, ჩვენს ჩემპიონატში კიდევ ერთ ტურს ჩავატარებთ. მერე კი, სანაკრებო თამაშების გამო ორკვირიანი შესვენება გამოცხადდება. რა თქმა უნდა, წინასწარი პროგნოზისა თუ ვარაუდისაგან თავშეკავება გვმართებს, მაგრამ თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, ჩემპიონატის პირველი თვის გამარჯვებული რუსთავის „ოლიმპი" იქნება. მოვლენების სხვანაირი განვითარება კი იმ შემთხვევაში იქნება, თუ ოლიმპი" ოთხი ან მეტი ბურთის სხვაობით დამარცხდება „სიონთან"; ამასთან, უახლოესი მდევარი „სპარტაკიც" ... ასევე ოთხი ბურთის სხვაობით მოუგებს მოქმედ ჩემპიონ „ვიტ ჯორჯიას"! გჯერათ, ზღაპრების? არც - ჩვენ! ჰოდა, სჯობს, რეალურად ვიმსჯელოთ და მეხუთე ტურის მატჩებით ზაფხული გავაცილოთ...**

*ტურის მატჩი*

## სანახაობის მოლოდინი

**ზესტაფონი-დინამო**
29.08.09 ზესტაფონი ცენტრალური
**17:00**
*რეპორტაჟი I არხზე, 18:00 საათიდან*

ათგუნდიანი ჩემპიონატის ხიბლი ისიც არის, რომ თითქმის ყველა ტურში, სულ მცირე, ერთი... „ბომბა-მატჩია"! აბა, სხვა რა სახელი უნდა მოვუძებნოთ „ზესტაფონისა" და „დინამოს" დაპირისპირებას, წლების განმავლობაში ზეპრინციპულ მნიშვნელობას რომ ვანიჭებთ. მოდი, ჯერ მხოლოდ ციფრების „ენით" ვილაპარაკოთ: ჩემპიონატში სამი წაუგებელი გუნდილა დარჩა და აქედან ორი დღეს ერთმანეთის პირისპირ წარსდგება; ამას გარდა, ჩემპიონატის მონაწილე გუნდებიდან მხოლოდ „ზესტაფონსა" და „დინამოს" არ გაუშვიათ გოლი საკუთარ კარში! თუმცა, დღევანდელ სტუმრებს მეტოქესთან შედარებით გარკვეული უპირატესობაც აქვთ - სამ შეხვედრაში შვიდი გოლი გაიტანეს, მაშინ როცა, ბევრისთვის მოულოდნელად, „ზესტაფონმა" ოთხ მატჩში მხოლოდ სამი გოლის გატანა მოახერხა. არადა, როცა გუნდში **ნიკოლოზ გელაშვილი, ჯაბა დვალი** და **ზურაბ იონანიძე** თამაშობენ (პლუს შემტევი ნახევარმცველები - **თორნიკე აფციაური, ლევან კორღალიძე, შოთა გრიგალაშვილი**), ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ არცთუ მაღალი შედეგიანობაა.

...ზესტაფონის სტადიონზე სრულ ანშლაგს თუ არა, ათასამდე გულშემატკივრის მისვლას მაინც უნდა ველოდოთ. აბა, „დინამოზე" მეტი „გამღიზიანებელი" რომელი გუნდი უნდა ჩამოვიდეს? მით უმეტეს, რომ ზესტაფონში, ალბათ, ჯერაც არ დავიწყებიათ წლევანდელი 10 აპრილის მატჩი, როცა კახა კაჭარავას „დინამომ", ძალიან ბევრისთვის მოულოდნელად, სტუმრად დიდი ანგარიშით (4:0) შეძლო ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქის დამარცხება. ასეთი სხვაობით გამარჯვება მოულოდნელზე მეტიც იყო - მანამდე ხომ ის გვიკვირდა, „დინამო" ან „ზესტაფონი" ერთმანეთს ორი ბურთით რომ დაამარცხებდა! ეგაც რომ არ იყოს, დღევანდელ მეტოქეთა უკანასკნელი ოთხი დაპირისპირება დინამოელთა გამარჯვებით სრულდებოდა - თასის მეოთხედფინალში, საქართველოს სუპერთასზე და ორჯერ ჩემპიონატში. ისე, თასზე და სუპერთასზე, ალბათ, გეხსომებათ, თუ როგორი ერთნაირი დაბოლოება ჰქონდა ორივე შეხვედრას - ორივეჯერ მატჩის უკანასკნელ წამებზე „დინამო" რომ იმარჯვებდა. თან, არანაკლებ უცნაური იყო ის ფაქტიც, რომ ორივე შემთხვევაში აბსოლუტურად იდენტური გოლები გადიოდა: მოედნის სიღრმიდან საჯარიმოს დავით დილმელაშვილი ასრულებდა, ხოლო გადამწყვეტი დარტყმის ავტორი დინამოელთა კაპიტანი ლევან ხმალაძე გახლდათ!

...წინა სეზონის ხუთ შეხვედრასთან შედარებით, ორივე გუნდის ძირითად შემადგენლობაში მეტ-ნაკლები ცვლილებები მოხდა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი, გია გეგუჩაძე და კახა კაჭარავა მხოლოდ მეორედ უნდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს; ამას გარდა, „დინამოს" შემადგენლობაში აღარ არიან მეორე (2:0) და მესამე (4:0) წრის შეხვედრებში „დუბლის" შემსრულებელი ჩერნოგორიელი ლეგიონერები - **ილია სპასოევიჩი** და **დანილო ტომიჩი**. ორივე ეს ფეხბურთელი, ისე როგორც, **ნედ ზელიჩი, მილოშ კრშკო, მარკო ჩარასი**, პლუს მწვრთნელები - **დუშან უჰრინი** და **რაინერ ცობელი**, - ყველანი ფიფას ლიცენზირებული აგენტის, უდროოდ გარდაცვლილი ახალგაზრდა კაცის, **აკა ტონიას** ჩამოყვანილები იყვნენ. კიდევ ერთხელ ღრმა მწუხარება გვინდა გამოვთქვათ ამ ტრაგედიის გამო - აკა ტონიას უკანასკნელ გზაზე დღეს გააცილებენ...

## ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!

ტურის ცენტრალური შეხვედრა დღეს ჩატარდება, დანარჩენი ოთხი კი - ხვალ; აქედან, არანაკლებ ინტერესს იწვევს ერთ-ერთი ლიდერის, ცხინვალის „სპარტაკის" და მოქმედი ჩემპიონის „ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირება. ჰო, აი, ამას კი ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა: ოთხი ტურის შემდეგ „სპარტაკი" ცხრილში უფრო მაღლა რომ იქნებოდა, ვიდრე მოქმედი ჩემპიონი! თუმცა, მეორე მხრივ, „სპარტაკის" ასეთი სახეცვლილებაც მთლად მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო: სეზონის წინ გუნდი საგრძნობლად გაძლიერდა და კლუბის ხელმძღვანელობაც მწვრთნელ-ფეხბურთელებს ყველა პირობას უქმნის წარმატებული ასპარეზობისთვის. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ „სპარტაკის" გამოცდილ მწვთნელს **ვლადიმერ ხაჩიძეს** საკმაოდ სოლიდური კონტინგენტი ჰყავს შეკრებილი და არ არის გამორიცხული, სატრანსფერო „ფანჯრის" დახურვამდე შემადგენლობა კიდევ უფრო გაძლიერდეს. თავად განსაჯეთ - „სპარტაკმა" რომ **ლევან ცქიტიშვილი** დაიმატოს, მაშინ ამ გუნდს უკვე პირველ სამეულში მოხვედრაც უნდა „მოვთხოვოთ"!

მოქმედი ჩემპიონის მძიმე სტარტიც არანაკლები მოულოდნელობა იყო; თუმცა, უფრო მეტად უცნაური **რამაზ მუმლაძის** გადადგომა (ასეთია ოფიციალური ვერსია) გახლდათ. ასეა თუ ისე, „ვიტ ჯორჯიას" ახალი თავკაცი ჰყავს და **მერაბ კოჭლაშვილმა** პირველსავე მატჩში („დინამოს" წინააღმდეგ) საფუძვლიანად შეცვალა გუნდის ტაქტიკური განლაგება. ამასთან, „დინამოსთან" მატჩის შემდეგ კოჭლაშვილმა საგანგებოდ ხაზი გაუსვა თავისი გუნდის ფეხბურთელთა არასახარბიელო ფიზიკურ მომზადებას; ეს კი, იმას გვაფიქრებინებს, რომ ტაქტიკური სქემის გარდა, „ვიტ ჯორჯიაში" შესაძლოა, საკადრო ცვლილებებიც მრავლად ვიხილოთ.

ხაჩიძე და კოჭლაშვილი ერთმანეთს კარგად იცნობენ; ბოლოს და ბოლოს, 2004 წელს, „ვიტ ჯორჯიას" საჩემპიონო სეზონში ხომ ორივე ერთად მუშაობდა! მაშინ, მთავარი მწვრთნელი კოჭლაშვილი იყო, ხაჩიძე კი - მეორე მწვრთნელი გახლდათ; დაიწყო თუ არა ახალი სეზონი, როლები გაცვალეს - ახლა ხაჩიძე გახდა „ვეტერინართა" თავკაცი, ხოლო კოჭლაშვილი - მისი ასისტენტი...

ამას გარდა, ხვალინდელ შეხვედრას გარკვეული ინტრიგაც აქვს: აბა, სხვა რა სახელი უნდა მოვუძებნოთ იმ ფაქტს, როცა ერთმანეთის პირისპირ... ძმები თამაშობენ?! „სპარტაკში" პავლე დათუნაიშვილი და გიორგი კვახაძე ასპარეზობენ, „ვიტ ჯორჯიაში" კი მათი უმცროსი ძმები - გიორგი დათუნაიშვილი და ალექსანდრე კვახაძე.

საინტერესოა, რომ ოთხივეს საფეხბურთო კარიერა „ვიტ ჯორჯიაში" დაიწყო, ოღონდ, კვახაძეებმა ერთად მხოლოდ ერთი არასრული სეზონი ჩაატარეს (გიორგი ძმაზე ექვსი წლით უფროსია), აი, დათუნაიშვილები კი ოთხი სეზონის განმავლობაში გვერდი-გვერდ თამაშობდნენ....

## ლუპით, ტელესკოპითა და... პროჟექტორით

ჯერ ერთი თვეც არ გასულა ჩემპიონატის დაწყებიდან და უკვე ათასი მითქმა-მოთქმა ისმის; წინა ტურის მატჩები არ იყო ჩატარებული და უკვე მაშინვე „ახმაურდნენ": „ოლიმპი"-"სიონის" მატჩს... ლუპით დასაკვირვებელი იქნებაო; კალენდარი ახალი გამოქვეყნებული იყო, არცთუ ფარულად რომ ახმოვანებდნენ თამამ პროგნოზს: „ოლიმპს" ჩემპიონატში განაღდებული 12 ქულა აქვს „კარის მეზობელ" ბოლნისის „სიონისგანო"...

ჰო, ხვალ, მართლაც უცნაური მატჩი გველოდება; უცნაური, კიდევ კარგი სიტყვაა: როგორი შედეგითაც არ უნდა დასრულდეს შეხვედრა, გარკვეული ეჭვები მაინც დარჩება. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ მდგომარეობაში არიან ამჟამად ორივე გუნდის მწვრთნელები თუ ფეხბურთელები; აი, ვთქვათ და, ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა მორიგი სამი ქულა მიუმატა თავის აქტივს - მაშინვე იტყვიან, რომ „სიონმა" შეხვედრა უბრძოლველად დათმოო; მატჩი რომ ფრედ დასრულდეს, აქაც მოიძებნება „სათქმელი" - „ოლიმპი" მაინც პირველ ადგილზეა და გაჭირვებაში მყოფ „კარის მეზობელს" ქულით დაეხმარაო; აი, „სიონმა" რომ მოინდომოს და სტუმრად დაამარცხოს „ოლიმპი", ამ შემთხვევაშიც ადვილი იქნება „ობიექტური შეფასების" მიცემა: ამ მოგებით ბოლნისური გუნდი აუტსაიდერობას თავს დააღწევს და „ვალს" დარჩენილ სამ შეხვედრაში დაუბრუნებსო!

ვერაფერს ვიტყვით - მართლაც ჩახლართული და არანაკლებ უცნაური სიტუაციაა; აბა, როგორია, ასეთი არასასურველი აჟიოტაჟის ფონზე (თან, არ დაგავიწყდეთ - ჯერ მხოლოდ პირველი წრის შეხვედრაზე ვლაპარაკობთ) ორივე გუნდის მწვრთნელმა, **ოთარ კორღალიძემ** და **თემურ მახარაძემაც** საკუთარი პროფესიული პრესტიჟის დაცვა მოახერხონ? მერე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორიც არ დაგვავიწყდეს - საქართველოს საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი თემურ მახარაძე უმუშევარი რომ იყო, სწორედ... ოთარ კორღალიძემ გამოთქვა საჯაროდ უკმაყოფილება კოლეგის დაუსაქმებლობის გამო. ეგ კი არა, კორღალიძე ჯერ კიდევ ..."სიონში" მუშაობდა, მახარაძეს კონსულტანტის პოსტი რომ შესთავაზა. მერე, მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით განვითარდა: კორღალიძე „ოლიმპის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, ხოლო „სიონში" კი... მახარაძე მივიდა. თანაც, იმავე კორღალიძისა და ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის **დავით კირკიტაძის** რეკომენდაციით. და ამისათვის ორივეს მადლობაც ეკუთვნის.

...საკუთარი თვალით წავიკითხეთ და საკუთარი ყურით მოვისმინეთ ქართულ ფეხბურთში სიწმინდის მოსურნეთაგან: „ოლიმპი"-"სიონის" შეხვედრას ლუპით დავაკვირდებითო; რაღა თქმა უნდა, რუსთაველი კლუბის პასუხმაც არ დააყოვნა და უფრო მასშტაბური „გამადიდებელი საშუალებებიც" შემოგვთავაზეს: ლუპით კი არა, გინდ - ტელესკოპით, გინდ კი პროჟექტორებით დაგვაკვირდითო!

ჰო, მართლა, ფეხბურთელებზეც არაფერი გვითქვამს - უკვე სათვალავიც აგვერია, თუ რამდენი ფეხბურთელი გადავიდა „სიონიდან" „ოლიმპში" (ან - პირიქით) უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში. აი, ამ ზაფხულს, რამდენი შემთხვევა იყო, როცა კონკრეტული ფეხბურთელი ერთი კვირა „ოლიმპში" რომ ვარჯიშობდა, მერე „სიონში" აღმოჩნდებოდა, შემდეგ ისევ რუსთავში დააბრუნებდნენ, თუმცა, საბოლოოდ მაინც ბოლნისში გაგზავნიდნენ და ასე შემდეგ...

**გია ტუხაშვილი**

***P.S.** სხვისი რა მოგახსენოთ და ჩვენ კი, რატომღაც გვგონია, რომ ხვალ ჩვეულებრივი მატჩი იქნება. უფრო ზუსტად, ამის დიდი იმედი გვაქვს; მაგრამ, მეორე მხრივ, სხვა საფიქრალიც გაგვიჩნდა: „ოლიმპი"-"სიონის" შეხვედრამ რომ მართლაც პატიოსან ბრძოლაში ჩაიაროს და ყველაფერი ეს მეორე დღისთვის „ლელოში" დაიბეჭდოს, ვინმე, ჩვენ ობიექტურობაშიც ხომ არ შეიტანს ეჭვს?..*



2009 წლის 25 თებერვალი. დინამო-ზესტაფონი 2:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ



გოგიტა გოგუა

# მე ნუ გამომიძახებენ, მაგრამ სხვებმა რაღა დააშავეს?!

## ნაკრების გამო, რუსულ პასპორტსა და ძლიერ გუნდზე უარი ვთქვი

**საქართველოს ეროვნული ნაკრების... ზუსტად აღარც ვიცით, ყოფილ წევრად, კანდიდატად თუ როგორ წარმოგიდგინოთ გოგიტა გოგუა. ფაქტია, ქვეყნის მთავარ გუნდში თამაშობდა, გულშემატკივართა გულიც მოიგო, მაგრამ... მწვრთნელები მოიმდურა და დიდი ხანია, ნაკრებში აღარ იწვევენ. და დიდი ხანია, ქართულ მედიასთანაც არ ულაპარაკია. არადა, სალაპარაკო უხვად დაგროვდა - ეროვნული ნაკრები, ახალ კლუბი... ინტერვიუ საკლუბო თემით დავიწყეთ...**

**- გოგიტა, ჯერ „სპარტაკიდან" წამოსვლაზე ვილაპარაკოთ. ალბათ, მოგბეზრდა ნალჩიკში თამაში...**

- მობეზრება არაფერ შუაშია, უბრალოდ, მე-16 ადგილზე მყოფი გუნდის ნაცვლად, მეათეადგილოსან „ტერეკში" მიმიწვიეს და წავედი. მშვენიერი პირობები შემომთავაზეს და „სპარტაკს" გათავისუფლება ვთხოვე. თუმცა ახლა ტურს ვტოვებ.

**- დაშავდი?**

- (იცინის) არა, მეოთხე ყვითელი ბარათი მივილე...

**- თუ დაგითვლია, რუსეთში თამაშის პერიოდში რამდენი წითელ-ყვითელი ბარათი გაქვს მიღებული?**

- მეხუთე სეზონია, რუსეთში ვთამაშობ, სამჯერ გამაგდეს და... დაახლოებით, 20 ყვითელი ბარათი მივილე.

**- მეტი არა?!**

- (იცინის) ამაზე მეტი როგორ უნდა მიმეღო?

**- „ტერეკის" გარდა, სხვა ვარიანტი გქონდა?**

- მიწვევები იყო. მაგალითად, ერთ-ერთი გუნდი რუსეთის ჩემპიონატში ახლა მეექვსე თუ მეშვიდე ადგილზეა.

**- გამოდის, რომ „ლოკომოტივი" ან „ზენიტი" გიწვევდა...**

- რაკი ახლა გროზნოში ვარ, დაკონკრეტებას მოვერიდები. „ტერეკში" ყველაზე საინტერესო წინადადება შემომთავაზეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნალჩიკთან ახლოსაა. კლუბში მშვენიერი პირობებია საიმისოდ, რათა კარგ შედეგს მივაღწიოთ.

**- როგორც შევიტყვეთ, ჯერ კიდევ „სპარტაკს" ეკუთვნი...**

- იჯარა სეზონის ბოლომდე გაფორმდა, მაგრამ ახალი სეზონიდან „ტერეკი" გამოსყიდვაზე უკვე შეუთანხმდა „სპარტაკს".

**- სეზონის დაწყებამდე „ტერეკს" სამეულში გასვლას უსახავდნენ მიზნად, თუმცა ახლა მეათე ადგილზეა...**

- კლუბი ფინანსურად ძლიერია, სასურველ ფეხბურთელებსც იოლად ყიდულობს, მაგრამ გუნდს ჯერ ისევ აკლია შეთამაშება. შედეგი ასე იოლად არ მოდის. „ტერეკის" პრეზიდენტ რამზან კადიროვს იმხელა ფული აქვს, გუნდს ჩემპიონობამდეც მიიყვანს. სხვათა შორის, ცსკა-სა და „ზენიტს" ბიუჯეტით ბევრად არ ჩამოვრჩებით.

**- „ტერეკის" მწვრთნელი ვიაჩესლავ გროზნი შენზე დიდ იმედებს ამყარებს. ეტყობა, დიდხანს გაკვირდებოდა...**

- მეხუთე სეზონია, რუსეთში ვთამაშობ. გროზნის არ ვიცი და, აქაურ საფეხბურთო სამყაროში უკვე კარგად მიცნობენ. სამწუხარო ის არის, რომ საქართველოს ნაკრების მწვრთნელი არ მაკვირდება...

**- ამ თემასაც მივადექით. ირლანდია-იტალიის შარშანდელი შეხვედრების შემდეგ ნაკრებში აღარ გიძახებენ...**

- 2008 წლის თებერვალში ლატვიასთან თბილისში 1:3 რომ წავაგეთ, მას მერე ნაკრებში აღარ მითამაშია. კუპერმა ირლანდიასა და იტალიასთან კი გამომიძახა, მაგრამ 18-კაციან განაცხადში არ შემიყვანა. არ მესმის მისი საკადრო პოლიტიკა, ვერ ვხვდები, რა მიზეზით არ მიწვევს. სხვათა შორის, შეკრების დროს ისეთ პოზიციაზე დამაყენა, მივხვდი, რომ არ მიცნობდა. მარჯვენა ნახევარმცველად მათამაშა, მაშინ, როცა კლუბში მარცხენა თავდამსხმელად მათამაშებდნენ. ნახევარდაცვაშიც ან საყრდენი ვარ, ან მარცხენა ფლანგის მოთამაშე. საყვედურით არ ვამბობ, უბრალოდ, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ კუპერს წარმოდგენა არ ჰქონდა ჩემზე. მე კი არა, ბევრ ღირსეულ ფეხბურთელს არ იწვევს და ეს არის გულდასაწყვეტი. რუსეთში რომ ჩამოვიდეს, ნახოს ჩემი თამაში და ნაკრებში თამაშის შანსი ერთხელ მაინც მომცეს, დავიჯერო, ასეთი პრობლემაა? მაგრამ ასეა ეტყობა - როცა ამა თუ იმ ფეხბურთელის გამოძახება არ გსურს, ნაკლს აუცილებლად მოუძებნი. უგულოდ თამაშს ვერავინ დამაბრალებს, მაგრამ მარტო ჩემშიც არ არის საქმე - ჩანს, კუპერი რუსეთში მოთამაშე ფეხბურთელებს არ სწყალობს. დავით კვირკველია რუსეთში ჩემპიონ „რუბინში" თამაშობს და იტალიასთან არ გამოიძახა. აბა, ამას ახსნის ვინმე? ლეგიონერებიც საქართველოს ჩემპიონატში გავიზარდეთ, მაგრამ რუსეთის პრემიერლიგა საქართველოს ჩემპიონატზე უარესია? ჩვენც გვინდა ქვეყნის ღირსების დაცვა და მგონი, ეს არავისზე ნაკლებად არ გამოგვივა. ნაკრების ხელმძღვანელობას ვთხოვ, რუსეთისკენაც გამოიხედოს, საქართველოს არც ისე ბევრი ფეხბურთელი ჰყავს, ვინც მაღალ დონეზე თამაშობს და ნუ დავკარგავთ მათ. კარგი, მე ნუ გამომიძახებენ, მაგრამ სხვებმა რაღა დააშავეს?! ნურავის უკვირს და სწყინს, რომ ამგვარი დამოკიდებულების შემდეგ კარგ გუნდში კონტრაქტსა და რუსეთის პასპორტს რომ სთავაზობენ და ბევრი თანხმდება.

> **ტოპმიოლერს მართლა ვთხოვე: მათამაშე, რუსეთიდან გაქცევა მინდა-მეთქი!**

**- აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის მოქალაქეობის მიღებას ახსნა აქვს?**

- მოიცათ, ვინმე საქართველოზე უარს ამბობს? ნაკრებში არ იწვევენ ბიჭებს და კარიერაზეც უარი თქვან? ყველას ვთხოვ, ნუ განიკითხავთ მათ. ეს არავის სურდა, მაგრამ გუნდში ხშირად ხდება - უნდათ, რომ გათამაშონ, მაგრამ ლეგიონერების ლიმიტის გამო სკამზე გსვამენ და შენზე სუსტ რუსს ათამაშებენ. მერე მწვრთნელი მეგობრულად გეტყვის - აი, მოქალაქეობა რომ გქონოდა, დღეს ხომ გათამაშებდიო?! ერთხელ არა და, მეორედ კი შეიძლება მართლა დაფიქრდე და ნაკრებს თუ არ სჭირდები, საკლუბო კარიერა მაინც აიწყო. სხვათა შორის, ჯანო ანანიძეს ვუთხარი, რუსეთის მოქალაქეობა არავითარ შემთხვევაში არ მიიღომეთქი. ჩემი რჩევა არც სჭირდება, ისედაც გულიანი და პატრიოტი ბიჭია.

**- ისე კი, გვიკვირს, ნაკრებიდან მოკვეთილმა რუსეთის მოქალაქეობა რომ არ მიიღე...**

- ასეთი არჩევანის წინაშე ნამდვილად ვიყავი შარშან, როცა მოქალაქეობის მიღების სანაცვლოდ ძალიან სოლიდურ რუსულ კლუბში მოწყობას მთავაზობდნენ, მაგრამ კატეგორიული უარი ვთქვი - შანსი არ არის-მეთქი! ჩემთვის ნაკრები ყველაზე ძვირფასია, მაგრამ გული მწყდება, რომ აღარ მიწვევენ. ქართველებისთვის რუსეთში თამაში ძნელია, ამის მიუხედავად, თავის გუნდში ლამის ყველა ლიდერია, მაგრამ ეროვნულ ნაკრებში არ იწვევენ. არავისთან მსურს ჩხუბი და დაპირისპირება, ამ ასაკიდან დიდი ხანია გამოვედი. მხოლოდ ის მინდა, რომ საქართველოს ნაკრები ბევრად უკეთესი, ძლიერი იყოს და ამის რესურსი ნამდვილად გვაქვს. იქნებ, რუსეთისკენაც გამოიხედონ, ეს საქართველოს სჭირდება და არა მხოლოდ გოგუას, ასათიანს, გვაზავას, ამისულაშვილს, სირაძეს ან ხოჯავას.

**- მოდი, პირადად შენზე ვთქვათ. როგორ შეიძლება, რაიმე მიზეზი არ არსებობდეს?**

- ერთ-ერთი მიზეზად იტალიასთან მატჩამდე ვარჯიშის დროს ლევან ყენიას წინააღმდეგ უხეშობას ასახელებენ, ვითომდაც, კუპერი ისე გამწარდა, ამიტომ აღარ იძახებს გოგუასო. სისულელეა! იმ შეჯახების შემდეგ ლევანმა მადლობაც კი გადამიხადა, ასეთი ვარჯიშებით უფრო გავიზრდებიო. კალაძისთვისაც მომირტყამს, მაგრამ არ გაბრაზებულა. თანამედროვე ვარჯიშები თამაშთანაა მიახლოებული, შენიანი არ უნდა დაამტვრიო, თორემ სიხისტე აუცილებელია. რა, ყენიას შეგნებულად ჩავარტყი? არ არის გამორიცხული, კუპერი დღემდე ვერ ხვდებოდეს, ვის უნდა დაეყრდნოს, რადგან ყველა ლეგიონერს არ იცნობს. სხვაგვარად, ვერავინ ახსნის ასათიანის გამოუძახებლობას. კაცი „ლოკომოტივს" ერთი თვის წინ დაუბრუნდა და კვლავ ლიდერი გახდა... ტოპმიოლერით უკმაყოფილო კი ვიყავი, მაგრამ ამას როგორ დავუკარგავ - რუსეთში მოთამაშეებს ის უფრო გვაფასებდა. მისი და ალენ ჟირესის ნაკრები დღევანდელზე ბევრად ძლიერი იყო და უკეთეს ფეხბურთსაც თამაშობდა. ბოლოს და ბოლოს, ვიგებდით და ზოგიერთ გრანდს ვეჭიდავებოდით კიდეც. საუკეთესოებზე უარს ასე ხელაღებით არც ერთი არ ამბობდა. ახლა კი გუნდში მისვლა მრცხვენია, მალტამდე თანაგუნდელი გამეხუმრა, დღეს რა ანგარიშით აგებთო?

**- მაინც არ ჩანს კონკრეტული მიზეზი...**

- ხომ გეუბნებით, წარმოდგენა არ მაქვს, რა შეიძლება იყოს მიზეზი. უშუალოდ მასთან არასოდეს მილაპარაკია და ვერ ვხვდები, რატომ ამითვალწუნა. არ გამოვრიცხავ, რაღაც გაუგებრობა მოხდა. სხვათა შორის, ასეთივე გაუგებრობები მოხდა შოტლანდიასთან მატჩის შემდეგაც - ტოპმიოლერმა ლამის მე დამაბრალა წაგება.

**- ინტერვიუს მომზადებამდე ამის შესახებ საგანგებოდ ვიკითხე. მაშინ ტოპმიოლერმა გასახდელში გისაყვედურა თურმე - დღეს ის გოგუა არ იყავი, რომელსაც მე ვიცნობო...**

- თავი არ დამიზოგავს, მაგრამ ვეთანხმები - შოტლანდიასთან კარგად ვერ ვითამაშე, თუმცა მოედანზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯები და ამაზე რომ მისაყვედურა, ძალიან მეწყინა. საქმე ისაა, რომ ყველა შეხვედრას ერთ დონეზე ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ ჩატარებს. რა დასამალია და, გლაზგოში სხვა რამ მოხდა - მაშინ ედინბურგის „ჰართსი" მიწვევდა და ტოპმიოლერს ვთხოვე, ხალხი ჩემზე დასაკვირვებლად ჩამოდის და იქნებ, მათამაშო-მეთქი.

**- ისე, უცნაური თხოვნაა...**

- ასეთი რამ არასოდეს გამიკეთებია, მაგრამ... მოდი, ბოლომდე გეტყვით - რუსეთიდან ევროპაში გაქცევა ყოველთვის მსურდა და მაშინ კონკრეტულ ხელშეკრულებაზე იყო ლაპარაკი. ამიტომაც ვთხოვე...

**- როცა მწვრთნელს ამას სთხოვ, რაღაც ულტიმატუმივით ხომ არ გამოდის?**

- არანაირი ულტიმატუმი! უბრალოდ, რუსეთიდან წასვლა ძალიან მსურდა. „ჰართსში" უკეთეს ხელფასს კი არ მპირდებოდნენ, მაგრამ ბრიტანეთში თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. ტოპმიოლერთან ისე მივედი, როგორც უფროს მეგობართან და იმედი მქონდა, გამიგებდა. ნაკრებში დაუმსახურებელ მოხვედრაზე კი არ ვფიქრობდი. მეგონა, გაიგებდა, რატომაც მინდოდა რუსეთიდან წასვლა... მან კი მხოლოდ მეორე ტაიმში შემიშვა და გუნდს ვერაფრით დავეხმარე. ეტყობა, ტოპმიოლერმა იფიქრა, რომ ძალები დავზოგე, სინამდვილეში კი, თამაში არ წამივიდა. გაუგებრობაა, აბა, სხვა რა ვუწოდო? შემდეგი შეხვედრა კი ფარერებთან გვქონდა, დავშავდი, ვერ ვითამაშე და „ჰართსთან" მოლაპარაკებაც ჩაიშალა.

**- სხვათა შორის, შენი გამოუძახებლობის მიზეზად არჩევნების დროს ფედერაციის ხელმძღვანელობის საწინააღმდეგოდ დაწერილ იმ ცნობილ განცხადებასაც ასახელებენ...**

- ეს უკვე წარსულია. მას შემდეგ ნოდარ ახალკაცი ვნახე და ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. ასე რომ, ჩვენ შორის არანაირი დაძაბულობა არ არსებობს. არა მგონია, კუპერს სიას ახალკაცი აძლევდეს...

**მერაბ მამულაშვილი**

■ ინტერვიუ

შოთა არველაძესთან

# მე და ქეცბაია მაისურების ნაცვლად, ჰალსტუხებს გავცვლით



» მე-5 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრანსფერი

# ფალავანდიშვილი

## კიდევ ერთი ქართველი შალკეში!

ორიოდე დღის წინ გაცნობეთ, რომ „შალკეს" 19-წლამდელთა შემადგენლობაში არჩილ ფალავანდიშვილი ვარჯიშობს. იგი გელზენკირხენულ კლუბში სინჯებზე იმყოფებოდა და ვფიქრობდით, რომ მწვრთნელებს გადაწყვეტილების მისაღებად გარკვეული დრო დასჭირდებოდათ. თუმცა საკითხი უჩვეულოდ მოკლე დროში და, რაც მთავარია, დადებითად გადაწყდა – ფალავანდიშვილმა „შალკესთან" წინასწარ კონტრაქტს მოაწერა ხელი. მასთან დაკავშირება ამ ამბიდან მოკლე ხანში შევძელით.

**- პირველ რიგში, ამ სასიხარულო მოვლენას გილოცავ. „შალკესთან" როგორი სახის კონტრაქტი გააფორმე?**

- ხელი ერთწლიან წინასწარ ხელშეკრულებაზე მოვაწერე და თუ ამ ერთი წლის განმავლობაში თავს გამოვიჩენ, გაისად სამწლიან კონტრაქტს გამიფორმებენ. მე და ლევან ყენიას საერთო მენეჯერი გვყავს და მან მირჩია, რომ ასე სჯობდა, თორემ უფრო ხანგრძლივ კონტრაქტზეც იყო საუბარი.

**- ყველა ფორმალობა უკვე მოგვარებულია?**

- დარჩენილია წვრილმანი დეტალები. რამდენიმე დღეში ჩამოვა გათავისუფლების ფურცელი თბილისის „სპარტაკიდან", სადაც ბოლოს ვთამაშობდი. ეს კლუბი დღეისათვის დაშლილია და მცირედი საფრთხეც კი არ არსებობს იმისა, რომ ჩემს „შალკეში" დარჩენას საფრთხე შეექმნას. წინაა სამედიცინო შემოწმებაც და არც იქ მგონია, რამე პრობლემა გამოჩნდეს.

**- „შალკეს" მწვრთნელებს თავი რამდენ დღეში მოაწონე?**

- ზუსტად ერთ კვირაში. კარგ ფორმაში ვარ, ვარჯიშებზე თავდაჯერებული ვიყავი და მწვრთნელების დავალებები ნორმალურად შევასრულე.

**- მღელვარების მომენტი საერთოდ არ გქონია?**

- რა თქმა უნდა, იოლი არაა უცხო გარემოსთან და ასეთი მაღალი დონის ფეხბურთთან უცებ ადაპტაცია, მაგრამ ასეთი შანსი ცხოვრებაში ერთხელ გეძლევა და მაქსიმალურად შევეცადე, ჩემი შესაძლებლობები სრულად წარმომეჩინა, რაც, ვფიქრობ, შევძელი კიდეც. ერთადერთი, რაც აქ მაწუხებს, ენის პრობლემაა, რასაც ლევან ყენიას დახმარებით აუცილებლად დავძლევ. მე და ლევანი ბავშვობის მეგობრები ვართ და „შალკეში" გასასინჯად მისი რეკომენდაციით მომიწვიეს. მას ამ სიკეთეს ცხოვრების ბოლომდე არ დავუვიწყებ. ასევე დიდ მადლობას ვუხდი ლევან კობიაშვილს, რომელიც ყენიას მსგავსად, ყველაფერში მეხმარება. „შალკეში" შესანიშნავი ატმოსფეროა, ყველამ კარგად მიმიღო, გუნდის ცნობილი ვარსკვლავებიც კი ძალიან გულღიად და მეგობრულად მექცევიან.

**- როგორც ვიცით, „შალკეს" მთავარ გუნდშიც ივარჯიშე.**

- დიახ, ფელიქს მაგათის ხელმძღვანელობით ორი ვარჯიში ჩავატარე და როგორც შევატყვე, იგი ჩემით კმაყოფილი დარჩა. 19-წლამდელებთან ერთად კი, ვარჯიშების გარდა, ერთ საკონტროლო მატჩშიც მივიღე მონაწილეობა, სადაც საგოლე პასი შევასრულე.

**- გერმანიაში ახლავე დარჩები თუ მოკლე ხნით თბილისში დაბრუნდები?**

- აქ ერთთვიანი ვიზით ვარ ჩამოსული. მისი გახანგრძლივება გერმანიაშივეა შესაძლებელი, ასე რომ, ვრჩები და შევეცდები, „შალკეს" მალე სრულყოფილად შევეწყო. თავიდან 19-წლამდელთა გუნდში ვივარჯიშებ და გერმანიის ასაკობრივ ჩემპიონატში ვითამაშებ. ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში მთავარ გუნდსაც გავუშინაურდები.

**- შენს შესახებ ქართველ გულშემატკივარს, ფაქტობრივად, არაფერი სმენია...**

- დავიბადე 1992 წელს, ამპლუით მარჯვენა ნახევარმცველი ვარ. ჩემს დადებით და უარყოფით მხარეებზე სჯობს, სხვებმა ისაუბრონ. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მოკლედ იმის თქმა შემიძლია, რომ ვარ სწრაფი და ტექნიკური, მიყვარს შეტევა, კარგად მეხერხება თამაშის გამწვავება. სიმაღლით 184 სანტიმეტრი ვარ, ვიწონი 66 კილოგრამს. ვარჯიში „ნორჩ დინამოელში" დავიწყე ვახტანგ კოპალეიშვილთან. შემდეგ თბილისის „სპარტაკში" ვთამაშობდი. ამ გუნდის ღირსებას პირველ ლიგაშიც ვიცავდი, რეგიონულ ლიგაშიც და ჭაბუკთა ლიგაშიც. „სპარტაკის" დაშლის შემდეგ ბევრმა ჩემმა თანაგუნდელმა „გაგრას" მიაშურა, მე კი ტრავმის გამო ნახევარი წელიწადი გამიცდა. ამდენი უსიამოვნების შემდეგ „შალკეში" მოხვედრა კი მართლაც ღვთის წყალობაა.

**- რომელიმე ასაკობრივ ნაკრებში თუ გითამაშია?**

- ჰერბერტ ცანკერმა ერთხელ გამომიძახა 17-წლამდელთა ნაკრებში და პალანგის შეკრებაზე წამიყვანა. მას შემდეგ აღარ მივუწვევივარ. ვგრძნობ, რომ სანაკრებო დონეზე საქართველოს ღირსების დაცვა შემიძლია. ახლა 19-წლამდელთა ნაკრების ასაკში ვარ და თუ შანსს მომცემენ, მწვრთნელებსა და გულშემატკივრებს იმედებს არ გავუცრუებ.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ტრანსფერი



**საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი გიორგი სეთურიძე იტალიასთან მატჩამდე რუსთავის „ოლიმპს" დაშორდა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ ეს მოულოდნელი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ფეხბურთელის მომზადების დონე არ აკმაყოფილებდა. სატრანსფერო სეზონი სამ დღეში იხურება, ეს უქმეები ამ დღეების გამოყენების შანსს კიდევ უფრო ამცირებს და ბუნებრივია, დავინტერესდით, სად ვარჯიშობს ნაკრების ფეხბურთელი სეთურიძე...**

# სეთურიძე აზერბაიჯანში, ქართველებთან...

## ივანაუსკასმა კარლ ცაისიდან გამიხსენა

- ის, რაც „ოლიმპში" შემემთხვა, ჩემთვის მოულოდნელი იყო, მაგრამ ასე სჯობია - ახლა ძალიან კარგ კლუბში ჩავირიცხე და მომხდარს სულაც არ ვნანობ.

**- ცნობილია, რომ ცხინვალის „სპარტაკი" გიწვევდათ...**

- „სპარტაკში" არ ჩავრიცხულვარ. ამ გუნდში კი მიწვევდნენ, მაგრამ ბაქოს „სტანდარდში" მიხმეს, სადაც მთავარ მწვრთნელად ვალდას ივანაუსკასი დანიშნეს. მასთან „კარლ ცაისში" მიმუშავია, კარგად მიცნობს და გადასვლაც ამიტომ შემომთავაზა. საქართველოში დარჩენა არ მსურდა და დავთანხმდი. „სპარტაკთან" კონტრაქტი რომ გამეფორმებინა, მაისამდე ვერსად წავიდოდი, სეზონში მესამე კლუბის შეცვლას ფიფა კატეგორიულად კრძალავს. გამიმართლა, კონტრაქტი სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე სამი დღით ადრე რომ შემომთავაზეს.

**- რამდენწლიან ხელშეკრულებაზე შეთანხმდით?**

- ერთწლიანზე, რაც ძალიან მაწყობდა. როგორც ვიცი, „სტანდარდში" ოთხი ქართველი თამაშობს - ლევან სილაგაძესა და დავით ჭიჭვეიშვილს, წელს ოლეგ გველესიანი და სერგი ორბელაძეც დაემატნენ. ყველას ახლოს ვიცნობ და ვმეგობრობ. თუმცა კონტრაქტი ჯერ არ გამიფორმებია, ჩავალ შაბათს ბაქოში და...

**- საიტალიო შეკრებაზე ჩამოსვლას მოახერხებ?**

- როგორ ვერ მოვახერხებ?! 31 აგვისტოს უნდა შევიკრიბოთ. ისე, ზოგი ჭირი მარგებელიაო და, „ოლიმპთან" ურთიერთობა რომ არ გამფუჭებოდა, „სტანდარდში" ვერ გადავიდოდი.

**- გულახდილად გვითხარით, რა მოხდა თქვენსა და „ოლიმპს" შორის?**

- სიმართლე გითხრათ, თავადაც ვერ გავიგე, რატომ ამითვალწუნა ოთარ კორღალიძემ. ზედიზედ ორ შეხვედრაში გამომცვალა და მივხვდი, რომ რაღაც არ მოსწონდა. ამის მერე არც ის იყო გამორიცხული, რომ სათადარიგოთა სკამზე დავესვი, ასეთ გუნდში დარჩენა კი არ მსურდა. ამიტომ, „გაგრასთან" მატჩის შემდეგ გუნდში ვიკითხე - თუ არ გჭირდებით, გამიშვი-მეთქი და... წადიო. ანუ, ინიციატივა ჩემგან მოდიოდა.

**- თითქოს, უჟგოროდის „ზაკარპატიე" გიწვევდათ...**

- სანამ უკრაინელებთან მოლაპარაკება მიმდინარეობდა, აზერბაიჯანელებმა კონტრაქტი გამიფორმეს და „ზაკარპატიეს" აღარ დაველოდე.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

## ბესიკ შეროზია

# ეს რთული, მაგრამ საინტერესო გზაა

**სეზონის წინ ორი ზუგდიდური გუნდი გაერთიანდა და უმაღლეს ლიგაში „მგლების" ნაცვლად უკვე „ბაიად" წოდებული კლუბი ასპარეზობს. წინა სეზონთან შედარებით, ზუგდიდელებს მთავარ ლიგაში სულ სხვა შემადგენლობა ჰყავთ, „მგლების" წევრთაგან გაერთიანებულ გუნდში მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელი დარჩა. სამაგიეროდ, „მგლებიდან" მოყოლებული, უცვლელი მთავარი მწვრთნელია ბესიკ შეროზია, რომელსაც პერსპექტიული ახალგაზრდებისგან მებრძოლი კოლექტივის ჩამოყალიბების დიდი გამოცდილება აქვს. ახალ სეზონში მას ანალოგიური ამოცანა აქვს. „ბაიას" სტარტი არცთუ დამაჯერებელი გამოუვიდა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მალე უკეთეს ფორმაში შევა და სატურნირო ცხრილში პოზიციებს განიმტკიცებს. შეროზიას მოლოდინიც სწორედ ამგვარია.**

**- ალბათ, თქვენთვის მოულოდნელი არაა, რომ საწყის ტურებში ქულათა სოლიდურ მარაგს ვერ მოუყარეთ თავი.**

- რა თქმა უნდა, ეს ნორმალურია. ჩვენს ფეხბურთელებს გამოცდილება აკლიათ და მხოლოდ ახლა ეჩვევიან უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს. მაგრამ სანერვიულო არაფერია, ჩვენ სწორი გზით მივდივართ და ჩვენი შრომის ნაყოფს აუცილებლად მოვიმკით. გვყავს ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებსაც დიდი ფეხბურთის თამაშის შანსი აქვთ. მალე პროგრესს გულშემატკივარი აუცილებლად დაინახავს და „ბაია" უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი საინტერესო გუნდი იქნება.

**- „ბაიას" პოლიტიკა გასაგებია, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ მომავალზე ფიქრით უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება გაჭირდება...**

- დიახ, ამას კარგად ვაცნობიერებთ. მართალია, ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებას წლები სჭირდება, მაგრამ თუ შედეგი დროულად არ ვაჩვენეთ, უმაღლეს ლიგაში მართლაც ვერ დავრჩებით და ჩვენი გეგმების განხორციელება შეფერხდება. ჩემი ვარაუდით, ცხრილში პოზიციების გაუმჯობესებას მოკლე ხანში დავიწყებთ. „ბაია" მალე გახდება ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა, ხოლო ისეთი გუნდის ჩამოყალიბებას, როგორიც ჩვენ გვაქვს ჩაფიქრებული, მართლაც წლები დასჭირდება.

**- მიმდინარე ჩემპიონატში ჩატარებული ოთხი მატჩიდან გუნდმა რომელში ითამაშა ყველაზე უკეთ?**

- სეზონის ჯერჯერობით საუკეთესო თამაში ლანჩხუთის „გურიასთან" ჩავატარეთ საქართველოს თასზე. 3:1 მოვიგეთ და ყველა ფეხბურთელმა ჩემი დავალებები ნორმალურად შეასრულა. პირველ ტურში „ოლიმპთან" მინიმალურად დავმარცხდით, მაგრამ თამაშის ხარისხმა არ დამაკმაყოფილა. მარცხის მიუხედავად, კმაყოფილი ვარ „სპარტაკთან" შეხვედრით. გასულ ტურში სტუმრად „სამტრედიასთან" 0:1 წავაგეთ. არადა, იღბალი ჩვენს მხარეს რომ ყოფილიყო და ანგარიში გაგვეხსნა, გამარჯვებას ხელიდან არ გავუშვებდით. დღეისათვის ჩვენს აქტივში მხოლოდ „ლოკომოტივთან" მოგებაა, მაგრამ მონაგარს მალე გავზრდით.

**- გუნდის შემადგენლობის გაძლიერება იგეგმება თუ პირველ წრეს არსებული კონტინგენტით ჩაატარებთ?**

- სურვილი გვაქვს და ვნახოთ, რა გამოვა. თუმცა არც არსებული კადრებით ვარ უკმაყოფილო. განსაკუთრებით ისაა მნიშვნელოვანი, რომ ახალგაზრდების გვერდით ისეთი გამოცდილი ფეხბურთელი თამაშობს, როგორიც ვალტერ გუჩუაა. ასეთი მაგალითის მიმცემი ყველა ჭაბუკს სჭირდება. გამოცდილი მოთამაშეების დამატება არ გვაწყენდა.

**- ლეგიონერების მომზადების დონით კმაყოფილი ხართ?**

- ჩისამბა ლუნგუმ იოლად შეძლო ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება და „ბაიასთვის" უკვე მნიშვნელოვანი ძალაა. კარგი ფეხბურთელია დენის შუჩკინიც, რომელსაც ალბათ, მალე მიეცემა სასტარტოში მოხვედრის შანსი. დუბლების თამაშებს სისტემატურად ვაკვირდები და ნებისმიერი მოთამაშე, რომელიც იქ თავს გამოიჩენს, უმალ ამოჩნდება მთავარ გუნდში.



**- რევაზ ჯიქიამ თავდასხმა საგრძნობლად გააძლიერა?**

- მოხარული ვარ, რომ მისი დამატება შევძელით. იგი კარგი მონაცემების ფორვარდია. დარწმუნებული ვარ, მალე შევა ფორმაში და დიდ სამსახურს გაგვიწევს. „გურიასთან" მან დუბლი შეასრულა და ეჭვი არ მეპარება, რომ მალე ეროვნულ ჩემპიონატშიც დაიწყებს გატანას.

**- ალბათ, შემდგომშიც შეტევ ფეხბურთს მიანიჭებთ უპირატესობას.**

- ჩემი გუნდები ყოველთვის შეტევ ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ ბუნებრივია, „ბაიას" სათამაშო სქემა ვითარებიდან გამომდინარე შეიცვლება ხოლმე. ბევრს ეგონა, რომ „სამტრედიასთან" დაცვაში ჩავჯდებოდით, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა. მაყურებელმა ძალიან სანახაობრივი ფეხბურთი იხილა, რაც ჩვენი დამსახურებაცაა – სამი მცველით ვითამაშეთ.

**- კლუბის ფინანსური მდგომარეობა თუ იძლევა ხანგრძლივი გეგმების განხორციელების საშუალებას?**

- ხელმძღვანელობის მხრიდან ყურადღება არ გვაკლია. ყველა პირობა გვაქვს იმისთვის, რომ ვიშრომოთ და ჩვენს მიზნებს ხორცი შევასხათ.

**- როგორც ჩანს, ეს საქმე თქვენთვის განსაკუთრებული გამოწვევაა.**

- დიახ, ასეა. ჩემს ადგილზე, ალბათ, ბევრი მწვრთნელი ვერ ითავებდა ამდენი გამოუცდელი ფეხბურთელით შედეგზე პასუხისმგებლობის აღებას, მაგრამ მე ვიცი, რასაც ვაკეთებ. დიდი შედეგები უცებ არ მოდის, მაგრამ მე მზად ვარ, ამ ბიჭებს დიდი ფეხბურთის თამაშში ხელი შევუწყო, „ბაია" უმაღლეს ლიგაშიც დავტოვო და შემდგომში გაცილებით დიდ მიზნებს შევეჭიდო. ეს რთული, მაგრამ საინტერესო გზაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

## შოთა არველაძე

# მე და ქეცბაია მაისურების ნაცვლად პალსტუხებს გავცვლით

### შოთა არველაძის აზრით, კუპერის შემდეგ ნაკრები ისევ უცხოელმა მწვრთნელმა უნდა ჩაიბაროს

გუშინწინ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართა და ორი ქართველი მწვრთნელი ერთმანეთს გადაჰყარა - H ჯგუფში თემურ ქეცბაიას „ოლიმპიაკოსთან“ ერთად მოხვდა ჰოლანდიური „ალკმაარი“, რომლის თავკაც რონალდ კუმანის პირველი თანაშემწე შოთა არველაძეა. ქართული ფეხბურთის ეს ორი დიდი ფიგურა ადრეც დაპირისპირებია ერთმანეთს, ოლონდ ფეხბურთელობისას. აი, მწვრთნელის რანგში კი მათ დუელი პირველად 16 სექტემბერს, პირეოსში შედგება.

გუშინ შოთას დავუკავშირდით და სხვადასხვა თემაზე ვესაუბრეთ...

**- საუბარი ჩემპიონთა ლიგის წილისყრით დავიწყოთ. რამდენად კმაყოფილი ხართ შედეგებით?**

- ცუდი ჯგუფი ნამდვილად არ არის. შეიძლებოდა, უფრო ძლიერი მეტოქეებიც გვყოლოდა. ისიც ცხადია, რომ ჩვენს კვარტეტს „სიკვდილის ჯგუფი“ ნამდვილად არ ეთქმის. ყველა გუნდს თავისი შანსი აქვს. ჩვენც ვეცდებით ჩვენი შანსის გამოყენებას.

**- მეტოქეთა ტრიოდან ერთ-ერთი „ოლიმპიაკოსია“. წილისყრის შემდეგ თემურ ქეცბაიასთან ხომ არ გისაუბრიათ?**

- არა, ჯერ არ დამირეკავს. გუშინ ბევრი საქმე მქონდა, დღეს დავუკავშირდები.

**- როგორც მახსოვს, ფეხბურთელობისას ერთმანეთის წინააღმდეგ გითამაშიათ...**

- კი, იყო ასეთი შემთხვევა, „აიაქსში“ რომ ვთამაშობდი მაშინ... ინგლისში ერთ-ერთ ტურნირზე „ნიუკასლს“ შევხვდით. თემური მაშინ გუნდის ლიდერი იყო. პირველ ტაიმში მეტოქემ გვაჯობა, მაგრამ სამი რეალური საგოლე მომენტიდან ვერც ერთი ვერ გამოიყენეს. მეორე ტაიმი კი ჩვენი კარნახით წარიმართა და საბოლოოდ 3:0 მოვიგეთ.

**- თქვენც გაუტანეთ ქეცბაიას გუნდს?**

- არა, მე არ გამიტანია, მაგრამ სამიდან ორი გოლი ჩემი პასებით გავიდა.

**- ქეცბაიასთან საუბარში უთუოდ ამ თამაშსაც გაიხსენებთ...**

- რა თქმა უნდა, გავიხსენებთ... მაშინ მე და თემურმა მატჩის მერე მაისურები გავცვალეთ... ახლა მწვრთნელის ამპლუაში მოგვიწევს ერთმანეთთან დაპირისპირება და... რა შეიძლება გავცვალოთ? ჰო, ჰალსტუხებს გავცვლით... აბა, თემურის პიჯაკი დიდი მექნება...

**- მწვრთნელის ამპლუაში ესოდენ დიდ საკლუბო ტურნირში დებიუტი გაქვთ...**

- ...და ძალიან მინდა, წარმატებით ვიასპარეზოთ. ჩემპიონთა ლიგა არა მარტო ევროპაში, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი გამორჩეული ტურნირია და როგორც ფეხბურთელებისთვის, ასევე მწვრთნელებისთვისაც დიდი გამოცდა და გაკვეთილია. ეს ტურნირი, როგორც მწვრთნელს, ნამდვილად ბევრს შემძენს.

**- ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ „ალკმაართან“ არაფერი გაკავშირებთ. როგორ ფიქრობთ, რომელი გუნდები გავლენ ჯგუფიდან?**



- ვფიქრობ, აუცილებლად გავა „არსენალი“, ხოლო თუ ვინ იქნება მეორე, ამის თქმა ძალიან გამიჭირდება. რა ვიცი, „ოლიმპიაკოსი“ ან „ალკმაარი“ გავა...

**- არადა, პირველივე მატჩი „ოლიმპიაკოსთან“ გიწევთ, თანაც სტუმრად...**

- ვერ ვიტყვი, რომ ცუდი კალენდარია... თან ჩვენი ჯგუფი მგზავრობის თვალსაზრისითაც მოსახერხებელია. ლონდონი ახლოსაა, ლიეჟში სულაც ავტობუსით გადავალთ. ეგ არის, ათენია ცოტა შორს, მაგრამ არა უშავს, რახან თემურთან შესახვედრად მივდივარ, დაღლას ვერ ვიგრძნობ.

**- ამ ზაფხულსაც ხომ არ შეხვდით ერთმანეთს?**

- კი, ივლისში „ოლიმპიაკოსს“ ჰოლანდიაში ჰქონდა შეკრება. ერთ დღესაც ჩავაკითხე თემურს, მისი გუნდის ვარჯიშსაც დავესწარი და საკონტროლო თამაშიც ვნახე... ყოველგვარი პირფერობის გარეშე ვამბობ - ნამდვილად კარგი გუნდი ჰყავს და ღმერთმა ხელი მოუმართოს.

**- ახლა „ალკმაარზე“ ვთქვათ. მოქმედმა ჩემპიონმა სტარტზე წაიფორხილა, მერე კი ზედიზედ სამი მატჩი მოიგო. როგორ შეაფასებდით ჩემპიონატის პირველ ოთხ ტურს?**

- ჩემპიონატი მართლაც ცუდად დავიწყეთ. თუმცა მანამდე, თასის მფლობელ „ჰეერენვეენს“ სუპერთასზე დიდი ანგარიშით 5:1 მოვუგეთ. სეზონი 1 აგვისტოს დავიწყეთ და „ჰერაკლესთან“ სტუმრად დავმარცხდით. აშკარა იყო, რომ ჩვენმა ფეხბურთელებმა მეტოქე სათანადოდ არ შეაფასეს, რალაცნაირად მოდუნებულები იყვნენ და გონს რომ მოვიდნენ, „ჰერაკლესი“ უკვე 3:0-ს გვიგებდა. მატჩის დასრულებამდე ნახევარი საათი იყო დარჩენილი, ორი ბურთი მალევე კი შევაგდეთ, მაგრამ მეტის გატანა ველარ მოვახრხეთ და 3:2 წავაგეთ. ამ თამაშის შემდეგ ფეხბურთელები შევაფუცხუნეთ და დაეტყოთ კიდეც - მერე ერთმანეთის მიყოლებით სამი მატჩი მოვიგეთ, „სპარტა“, „ვალვაიკი“ და „ჰეერენვეენი“ დავამარცხეთ, თანაც ისე, რომ ერთი გოლიც არ გაგვიშვია, იქით კი 10 შევაგდეთ. ახლა მე-3 ადგილზე ვართ და ქულით ჩამოვრჩებით ლიდერებს - „ფეიენოორდსა“ და „ტვენტეს“... შაბათს „ვილემს“ ვუმასპინძლებთ, მერე სანაკრებო პაუზაა, შემდეგ ერთი მატჩი გვაქვს ჩემპიონატში, სექტემბრის შუა რიცხვებში კი ქეცბაიასაც ვესტუმრებით.

**- ამ სეზონში რა მიზნისთვის იბრძვით?**

- მინიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზური მაინც უნდა მოვიპოვოთ. ტიტულის შენარჩუნება იოლი არ იქნება, მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ. ძალიან გვინდა, რომ თასიც მოვიგოთ.

**- ახლა უკეთესი გუნდი გყავთ თუ წინა სეზონში?**

- სეზონი ახლა დაიწყო და ჯერ ძნელია ამის თქმა. ერთი შეხედვით, გასულ სეზონზე ნაკლები გუნდი ნამდვილად არ გვყავს. შვედი ნახევარმცველი გადავიბირეთ, იანვრიდან პარაგვაელი მცველი დაგვემატება... მთავარია, მობილიზებით ვითამაშოთ და ცუდი შედეგები არ გვექნება.

**- ეროვნულ ნაკრებზეც გკითხავთ...**

- ძალიან კარგია, კალაძე რომ დაბრუნდა. სამწუხაროდ, ისევ არ იქნება ასათიანი...

**- რაც უფრო ახლოვდება წლის ბოლო, მით უფრო აქტუალური ხდება ნაკრების თავკაცის საკითხი. კუპერს კონტრაქტი დეკემბერში ეწურება. ზოგი მიიჩნევს, რომ არგენტინელი სპეციალისტი უნდა დარჩეს, ზოგიც მის შემცვლელს ეძებს. თქვენ რა აზრის ხართ?**

- მხოლოდ შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ, ახალი მწვრთნელის ძებნა მოგვიწევს. თუმცა ეს საკითხი კომპლექსურად უნდა განვიხილოთ. დასრულდეს ეს ციკლი და ჯობია, მერე ვილაპარაკოთ ამაზე. თავად კუპერის აზრიც საინტერესოა - მინდა, გავიგო რა დაინახა, რა შეცვალა, ან რა არის მომავალში შესაცვლელი... მაგრამ მოდი, დაველოდოთ შესარჩევის დამთავრებას.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ საქართველოს ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი ჯერ არ სჭირდება. ამაზე რას ფიქრობთ?**

- კუპერი ნაკრების თავკაცია და ჩემი გადასაწყვეტი არ არის, რამდენ ხანს იქნება ამ პოსტზე. როგორც არ უნდა იყოს, ჯობია ნაკრებს ისევ უცხოელმა სპეციალისტმა უხელმძღვანელოს. ქართველ მწვრთნელებს დიდად ვაფასებ და ყველა ძალიან მიყვარს, მაგრამ... ჩემი აზრით, ასე უკეთესი იქნება.

დავით ცაგაძე

ლეგიონი

# იაშვილი დაბრუნდა, მაგრამ...

რუსეთის პირველი დივიზიონის 27-ე ტურის მატჩში **ომარ თეთრაძის** „ანჟიმ“ სტუმრად 1:0 დაამარცხა „კრასნოდარი“ და ლიდერობა შეინარჩუნა. „ანჟი“ 50 ქულით პირველ ადგილზეა, ხოლო „ალანია“ 49 ქულით - მეორეზე. თეთრაძემ სასტარტოში ათამაშა: **ედიკ საჯაია, ზურაბ არზიანი, კახაბერ ალადაშვილი, ოთარ მარცვალაძე** და **სანდრო იაშვილი**. იაშვილი შესვენებაზე შეცვალეს, არზიანი კი მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე. **გოჩა ხოჯავა** მოედანზე 69-ე წუთზე გამოჩნდა. **გიორგი ნავალოვსკი** ტრავმირებულია. ანგარიში მე-12 წუთზე **ნიკოლაი ჟოსანმა** გახსნა, მასპინძლებმა 86-ე წუთზე ვერ გამოიყენეს პენალტი.

გუშინ გერმანიის მეორე ბუნდესლიგის მე-4 ტურში მოედანს დაუბრუნდა „კარლსრუეს“ კაპიტანი **ალექსანდრე იაშვილი**. იაშვილმა პირველი ტურის მატჩში ხელი მოიტეხა, თუმცა ტრავმა საკმაოდ მალე მოირჩინა. აი, მისი გუნდის საქმე კი ვერაა კარგად - სეზონის წინ ბუნდესლიგაში გადასვლის უპირველეს კანდიდატად შერაცხულ „კარლსრუეს“ 4 თამაშიდან მხოლოდ 4 ქულა აქვს. ქართველის გუნდი „ზანკტ პაულის“ მასპინძლობდა, იაშვილი მოედანზე მას შემდეგ გამოვიდა, რაც 57-ე წუთზე „კარლსრუემ“ მეორე გოლი გაუშვა, ამან ვერ უშველა მასპინძლებს, მათ კიდევ 2 გოლი გაუშვეს და 0:4 განადგურდნენ. „როტ ვაისისა“ და „მიუნხენის“ შეხვედრაში განაცხადშიც არ ყოფილა **მათე ღვინიანიძე**.

ნიკოლოზ ნეფარიძე



სანდრო იაშვილი



ფელეტონი

# ფრთხილად, წინ ბრინჯია

ამას წინათ ხმა დაირხა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი... გადადგაყენესო. ასეთი რამ, ალბათ, პირველად გესმით. მოდით, განვმარტოთ - ესე იგი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი საკუთარი სურვილით გადადგა, მაგრამ ვინაიდან გადადგომის სურვილი არ ჰქონდა, გადააყენესო. მაგრამ როგორ გადააყენებდნენ, თუკი გადაყენება არ შეიძლება? გამოდის, რომ საკუთარი სურვილით უნდა გადამდგარიყო და ვინაიდან გადადგომის სურვილი არ ჰქონდა, უნდა გადაეყენებინათ. ჰოდა, თითქოს, ამიტომაც... გადადგაყენეს.

მაგრამ, ეს ყველაფერი ტყუილი გამოდგა: ჭორები ჭორებად დარჩა, საქართველო საქართველოდ, ფეხბურთი ფეხბურთად, ფედერაცია ფედერაციად და პრეზიდენტი პრეზიდენტად. და საერთოდ, ეს ამბავი რომ გაიგო, ერთმა ნაცნობმა მკითხა, დავუშვათ ფეხბურთის ფედერაციას ახალი პრეზიდენტი დაუნიშნეს, მერე რაო? როგორ თუ რა?! აბა, შენ იმ ახალ პრეზიდენტს ჰკითხე, თუ მერე რა-მეთქი... თუმცა ფედერაციას პრეზიდენტს როგორ დაუნიშნავენ, ამ თანამდებობაზე კაცის დანიშვნა ხომ არ შეიძლება? პრეზიდენტი შეიძლება აირჩიონ, მაგრამ... უნდა აირჩიონ ის, ვისაც ზემოდან დანიშნავენ და თუკი დანიშვნა არ შეიძლება, გამოდის, რომ ის ან უნდა აირჩნიშნონ ან დანიშნევრჩიონ - სხვა გზა არ არის.

ის ნაცნობი კი არ მომეშვა, როგორც გინდა ისე მოხდეს, მაგით საქმეს რა ეშველებაო? რას-მეთქი? რას და, საქმესო. ეგ რომელია-მეთქი. ეგო, ის არის, საქართველოს ნაკრებმა მალტას მაინც რომ მოუგოსო - მოუნდა, რა. მალტა რა არის-მეთქი. რა არის და, მოლდოვაო. მალტა მოლდოვა როგორ არის-მეთქი? ტაბლოს შეხედე და მიხვდებიო. შევხედე. იქ ეწერა: საქართველო-შვედეთი 82:72. აჰა, რა გინდა, მოგვიგია-მეთქი. ეგ კალათბურთიაო. დიახაც კალათფეხბურთია-მეთქი. ეხლა, ნერვებს ნუ მიშლიო. მე შენ გაჩვენებ ნერვების მოშლას, დაიცა, ნებისმიერი გუნდი ჩამოვიდეს-მეთქი. და რას მიზამო? მე რა უნდა გიქნა, შენი საკუთარი ფეხბურთელები რომ გიზამენ-მეთქი. ჰოდა, მეც მაგას გეკითხები, პრეზიდენტის შეცვლით მაგ საქმეს თუ ეშველებაო? - არ მეშვება და არ მეშვება. პრეზიდენტი როგორ უნდა შეცვალო, იმ კაცს გადადგომა არ უნდა-მეთქი. გადააყენონო. არ შეიძლება-მეთქი. მაშინ, რამე მოიფიქრონო. რატომ უნდა მოიფიქრონ, ახალი რომ მოვა, ამით, ვითომ რა შეიცვლება-მეთქი? აბა, შენ იმ ახალს ჰკითხე, თუ არ შეიცვლებაო...

მოკლედ, ვიყაყანეთ, ვიყაყანეთ და სახლებში წავედით. მე ჩემი „მანჩესტერი“ მელოდა, იმას თავისი. მერე რა, რომ არც ერთი იყო ქართული გუნდი და არც - მეორე, მე და ჩემი ნაცნობი ხომ ვიყავით ბედკრული საქართველოს შვილები. ვიყავით და ასეთებად ვრჩებით კიდეც, მაგრამ ის ვერ გაგვიგია, ამასწინათ ხმა რომ დაირხა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მოხსნესო, სინამდვილეში რას ნიშნავდა. მერე ხომ გაირკვა, რომ არავინაც არ მოუხსნიათ: საქართველო საქართველოდ დარჩა (ნუ, თითქმის. ცოტა ნაკლებია), ფეხბურთი ფეხბურთად (ნუ თითქმის. ჩვენთან რომ თამაშობენ და „იქ“ რომ თამაშობენ, წესებით ჰგავს ერთმანეთს), ფედერაცია ფედერაციად და პრეზიდენტი პრეზიდენტად. მაშ, რას ნიშნავდა თავის ეს ერთდღიანი მოგიჟიანება? თან, ყველამ იცის, რომ პრეზიდენტის მოხსნა არ შეიძლება, თუ წავა, თავისი ნებით უნდა წავიდეს, ხოლო თუ არ მიდის, მაშინ უნდა მოხსნა.

ან იმ ახლის მოსვლით რა შეიცვლება? რა შეიცვლება და, მიდი, აბა, იმ ახალს ჰკითხე...

*აი, ასე დაიბნა ფერდინანდ კუთხურსკი (ნამდვილი გვარი კუთხურეიშვილი) ბრინჯივით. მიდიოდა ქუჩაში და ხელებს პარჭყავდა, შემდეგ კი თავისი ნააზრევი ფურცელზე ჩაწერა და*

რედაქციაში
ილია ბაბუნაშვილს
გაატანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსაზრება

# რატომ არ შეიძლება, ფეხბურთიც კაცებმა ითამაშონ?!



## კითხვა: რა აკლია საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს? პასუხი: ზაზა ფაჩულია

**ლუქსემბურგთან** თამაშის წინა დღეს საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია ტელეკომპანია „იმედის" საინფორმაციო გადაცემა „ქრონიკის" პირდაპირ ეთერში ჩაერთო. ბუნებრივია, კითხვები ძირითადად მოახლოებულ თამაშსა და მის მნიშვნელობას ეხებოდა. საუბრის დასასრულს, „ქრონიკის" ერთ-ერთმა წამყვანმა მანანა მანჯგალაძემ ზაზას ჰკითხა - მე სპორტისგან შორს ვარ და მაინტერესებს, ხვალ ისეთი თამაში თუ იქნება, ჩემნაირი ადამიანიც ინტერესში ჩააგდოს და სპორტის სასახლეში მიიყვანოსო? ზაზას პასუხი მოკლე და ტევადი იყო - რა მნიშვნელობა აქვს, როგორი თამაში იქნება, ხვალ საქართველოს ნაკრები თამაშობსო...

...ეს მხოლოდ ერთი ფრაგმენტია **ზაზას ფაჩულიას** ერთი ინტერვიუდან. ეს დღეები საქართველოს საკალათბურთო ნაკრების კაპიტნის ყველა ინტერვიუ ამ სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. ეს დღეები ის ამ გაგებითა და აზრით ცხოვრობს და ცდილობს, თითოეულ ჩვენგანს, თითოეულ გულშემატკივარს იგივე განწყობა გადასდოს. რა კითხვაც არ უნდა დაუსვათ, მისი ყველა პასუხი საბოლოოდ ამ აზრისკენ მიდის. აქედან გამომდინარე, წარმომიდგენია როგორია, კაპიტნის საუბარი თანაგუნდელებთან. როგორი მუხტი აქვს ამ საუბრებს. ისიც წარმომიდგენია, რა ენერგიას იღებენ თანაგუნდელები ზაზასგან...

ალბათ, თქვენც მარტივად შეგიძლიათ ამის წარმოდგენა. აბა, ახლა სცადეთ და, წარმოიდგინეთ ჩვენი საფეხბურთო ნაკრების კაპიტან **კახა კალაძის** საუბარი თანაგუნდელებთან, - მე გამიჭირდება. გამიჭირდება, წარმოვიდგინო, რა მუხტი შეიძლება ჰქონდეს ამ საუბარს, ან არის კი საერთოდ რაიმე მუხტი? ეუბნება კი კალაძე თანაგუნდელებს რამეს თამაშის წინ? კალაძე საერთოდ არ ჩანს იმ ტიპის ადამიანი, რომელიც ზოგადად ვინმეს დამუხტავს და აყოლიებას შეძლებს. ის წყნარი და მშრომელი კაცია, მაგრამ აკლია ხასიათი, აკლია ლიდერის თვისებები, რომლითაც ფაჩულია უხვადაა დაჯილდოებული. შეიძლება, ზაზა მოედანზე ყოველთვის საუკეთესო არც იყოს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გასახდელში ის ყოველთვის თავის სიმაღლეზეა...

მაგრამ ამას მარტო ხასიათი არ სჭირდება, აუცილებელია გონება და შეგნება, თხემით ტერფამდე შეგრძნება იმისი, რომ შენი ქვეყნისთვის თამაშობ. არც ის არის აუცილებელი, ამ თვისებებით მაინცდამაინც კაპიტანი იყოს აღჭურვილი, მაგრამ მე დღეს გამიჭირდება, დავასახელო საქართველოს საფეხბურთო ნაკრების რომელიმე წევრი, ამ თვისებების მატარებელი რომ იყოს. აქ სულაც არ ვსაუბრობ პატრიოტიზმის ნაკლებობაზე (შეიძლება, არც უამისობა იყოს). გამიჭირდება, გავიხსენო საქართველოს ნაკრების რომელიმე წევრი, ვისგანაც ქვეყნის ნაკრებისთვის თავდადების სურვილის შესახებ მხოლოდ საუბარს კი არ გავიგებდი, არამედ ამ სურვილს ვიგრძნობდი კიდეც, თორემ ინტერვიუებში, იცოცხლე, ჩვენი ფეხბურთელებიც მუდმივად იცემენ მჯილს მკერდში, მაგრამ ეს მხოლოდ „მორიგე" ფრაზებია, თითქოს, დაზეპირებული, სულ ერთი და იგივე. არ იგრძნობა, რომ რომელიმე მათგანი, როგორც ზაზა, იმ დღეებში ამაზე ფიქრით ცხოვრობს, ამით სულდგმულობს...

არ ვიცი, ჩვენი საკალათბურთო ნაკრები გადავა თუ არა A დივიზიონში, მაგრამ მათ სასაყვედუროდ ენა მაინც არ მომიბრუნდება, რადგან მათ გულშემატკივრობის საშუალება მომცეს. შვედეთთან თამაშის ბოლო წუთებზე, პირველად ჩემს სიცოცხლეში, მივხვდი და ვიგრძენი, რატომ შეიძლება ქომაგს გული გაუსკდეს. მე სულაც არ ვამტკიცებ, რომ ბიჭების ასეთი ჯიგრიანი თამაში მხოლოდ კაპიტნის სულისკვეთების დამსახურებაა, - არა, რა თქმა უნდა. საქართველოს საკალათბურთო ნაკრებში თითქოს ყველა ნამდვილი კაცი შეიკრიბა, მაგრამ როცა შვედეთთან თამაშის ბოლო წუთებზე, თითოეული ჩაგდებული ბურთის შემდეგ, ფაჩულია თავის გოლიათურ მკერდზე მჯილს იცემდა, მე ტრიბუნაზე მჯდომს მემატებოდა ენერგია და ბრძოლის ჟინი. სწორედ ამ სულისკვეთებამ, რომლითაც ამ დღეებში საქართველოს საკალათბურთო ნაკრების თითოეული წევრი იყო დამუხტული, გამოიღო ის შედეგი, რომ სპორტის სასახლეში უპრეცედენტო რაოდენობის გულშემატკივარი მივიდა და საბოლოოდ დაინგრა მითი იმის შესახებ, რომ ქართველებმა კარგი გულშემატკივრობა არ ვიცით. ამან გამოიღო ის შედეგიც, რომ ამერიკელი **ტაირონ ელისი** გაცილებით თავდადებით იბრძოდა საქართველოსთვის, ვიდრე რომელიმე ქართველი ფეხბურთელი, რომლის თამაშიც ცოცხლად მინახავს. როცა ელისს თამაშის ბოლოს საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადასცეს, ის კი ემოციამოძალებული ტრიბუნებისკენ შებრუნდა და ხალხს ხელით მაისურაზე წაწერილ „ჯორჯიაზე" მიუთითა, ცრემლების შეკავება გამიჭირდა. ეს ბიჭებისგან გადადებული ენერგიისა და მუხტის შედეგი იყო, თორემ არ შეიძლება, მას თუნდაც რიგით ქართველ ფეხბურთელზე მეტად უყვარდეს ჩვენი სამშობლო...

ზევით გონება და შეგნება ვახსენე და არცთუ შემთხვევით. მეჩვენება, რომ დღეს საქართველოს საფეხბურთო ნაკრებში არა კლასის ან ოსტატობის (თუმცა არც უამისობაა), არამედ უფრო შეგნების ნაკლებობაა (მგონი, სიტყვა „დღეს" ამ წინადადებაში ზედმეტია). ნაკრებს აკლია შეგნებული და ჩამოყალიბებული კაცები. ამას წინათ, ტელეკომპანია „მზის" ეთერში ლაშა დვალიშვილს სტუმრად ჰყავდა საქართველოს საფეხბურთო ნაკრების აწ უკვე ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე **ბექა გოცირიძე**. თემა ის საშინელი ავარია იყო, რომელიც ფეხბურთელს შეემთხვა. ჩემდა გასაოცრად, შევამჩნიე, რომ ბექა, როცა ამ შემთხვევის შესახებ ჰყვებოდა, სიცილს ვერ იკავებდა - მძიმე ავარიაზე ჰყვებოდა და თან იცინოდა. წარმოიდგინეთ ადამიანი, რომელსაც სერიოზულობის შენარჩუნება ასეთი შემთხვევის გახსენების დროსაც კი უჭირს? უცებ დავფიქრდი და ჩემს თავს კითხვა დავუსვი: აქვს კი ასეთ დროს მაღალ იდეალებსა და სამშობლოს სიყვარულზე საუბარს აზრი? ამ შემთხვევაში პირადად გოცირიძეს არ ვგულისხმობ (შეიძლება, რომელიმე კონკრეტულ მატჩში ბექა ყველაზე თავდადებულიც იყოს), მრჩება შთაბეჭდილება, რომ ნაკრების ფეხბურთელების ძირითად ნაწილს სწორედ სერიოზულობის პრობლემა უდგას. მესმის, რომ მათი უმეტესობა ჯერ ჭაბუკია, მაგრამ რა ვუყოთ, რომ საქართველოს ნაკრების ბირთვს დღეს სწორედ ჭაბუკები შეადგენენ. არც ჩვენს საკალათბურთო ნაკრებს აკლია ახალგაზრდები, მაგრამ რატომღაც, მათთვის ასეთი არასერიოზულობა არ შემიტყვია. საკალათბურთო ნაკრებში, ისევე, როგორც ჩვენს რაგბის ნაკრებში, თითქოს ნაადრევად დაკაცებული ბიჭები თამაშობენ, საფეხბურთო ნაკრებში კი კაცებიც ვერ გამოდიან ბიჭობის ასაკიდან...

კალაძე ვახსენე და, კიდევ ერთი სტაჟიანი ფეხბურთელი, რომელიც ნაკრებში მუდმივად ხვდება, **ლევან კობიაშვილია**, მაგრამ რატომღაც ლიდერად ვერც ის იქცა. რატომ? იმიტომ, რომ მასაც აკლია ინიციატივის საკუთარ თავზე აღების უნარი, ან უბრალოდ ამის გაკეთება არ სურს.

ნაკრების ერთ-ერთი იმედი **ლევან ყენიაა**. ბევრისგან განსხვავებით მას მოედანზე თავდადებას ვერ დაუწუნებ, მაგრამ ის ჯერ ძალიან პატარაა საიმისოდ, რომ გუნდის აყოლიება შეძლოს. ერთია, როცა შენ გაქვს მუხტი და მეორე - როცა ამ მუხტის სხვებისთვის გადადებას ახერხებ. არავინ იცის, როცა ის გაიზრდება, ექნება თუ არა ლიდერისთვის აუცილებელი თვისებები.

გოცირიძის შემხედვარეს კი აღარ გამკვირვებია, როცა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** განაცხადა - მალტის ნაკრებთან წაგების შემდეგ ჩვენმა ბიჭებმა თვითმფრინავში მთელი გზა სიცილხარხარში გაატარესო. აქ მხოლოდ პატრიოტიზმის ნაკლებობაზე აღარ არის ლაპარაკი, აქ პრობლემა კომპლექსურია. უგულავას კი ამ სიტყვების გამო თავს დაესხნენ - აქაოდა, წაგებაში ფეხბურთელების დადანაშაულება როგორ გაბედაო; უნდა, რომ ფედერაციას პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს და ფეხბურთელებს ამიტომაც შეახოცა ხელებიო. არ ვიცი, რა ამოძრავებდა ფედერაციის მაღალჩინოსანს, როცა მოთამაშეებს აკრიტიკებდა და ვერც ფედერაციის ადვოკატად გამოვდგები, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მზად ვარ, უგულავას ყველა სიტყვაზე ხელი მოვაწერო.

დრომ ერთი რამ გამოაჩინა - ჩვენ რამდენჯერმე გამოვცვალეთ ფედერაციის ხელმძღვანელობა, უამრავჯერ გამოვცვალეთ მწვრთნელი, გვყავდა როგორც უცხოელი, ისე ქართველი, გვყავდნენ (ერთი ახლაც გვყავს) როგორც ნაკლებად ცნობილი, ისე სახელოვანი მწვრთნელები, მაგრამ მაინც არაფერი გვეშველა. რატომ გვგონია, რომ მწვრთნელის შეცვლით ახლა გვეშველება რამე? შეიძლება, ზოგმა იკითხოს - აბა, ფეხბურთელებს ხომ ვერ გამოვცვლით, ეს არის, რაც გვყავსო. მე კი ვფიქრობ, რომ საქმე ასე სულაც არ არის. ჩემი აზრით, შედეგს მხოლოდ მაშინ მივიღებთ, თუ ნაკრების კანდიდატთა შერჩევის დროს საფეხბურთო მონაცემებზე არანაკლები ყურადღება მოთამაშის პიროვნულ თვისებებს მიექცევა (ამიტომ, **ექტორ კუპერს** ორივე ხელით ვუჭერ მხარს **მალხაზ ასათიანის** „საქმეში"). თუ საქართველოში კალათბურთსა და რაგბის თამაშობენ კაცები, რატომ არ შეიძლება, ფეხბურთიც კაცებმა ითამაშონ?

**P.S.** თუ კარგად დააკვირდებით, სტატიის სათაურში გრამატიკული შეცდომაა დაშვებული. ფაჩულია სულიერი არსებაა და ჩვენებური გრამატიკის წესით, მას უნდა დაესვას კითხვა „ვინ" და არა - „რა". თუმცა ეს შეგნებულად გავაკეთე. სტატიის სათაურში ფაჩულია არა როგორც კონკრეტულ ადამიანად, არამედ როგორც მოვლენად, ხასიათის თვისებად გამოვიტანე. საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს ერთი ფაჩულიასნაირი ადამიანი კი არა, ისეთი საბრძოლო სულისკვეთება აკლია, როგორიც ფაჩულიას აქვს. ერთიც რომ გამოჩნდეს ასეთი, ვინ იცის, შეიძლება, სხვებსაც ეშველოთ. აკი ზემოთ ვამტკიცებდი - ეს მუხტი და სულისკვეთება გადამდებია-მეთქი. ამიტომ, ნუ დაელოდებით საქართველოს საფეხბურთო ნაკრებში ლეო მესის გამოჩენას, დაელოდეთ „ზაზა ფაჩულიას"!

**მერაბ მეტრეველი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია — სერია A II ტურის წინ

# გალიანი: 98 პროცენტი ჩვენია!

## ბერლუსკონი ლეონარდოს ურჩევს: წინ პატო და რონალდინიო

| დღეს | |
|---|---|
| ბარი-ბოლონია | 20:00 |
| მილანი-ინტერი | 22:45 |
| **ხვალ** | |
| რომა-იუვენტუსი | 20:00 |
| ატალანტა-ჯენოა | 22:45 |
| კალიარი-სიენა | 22:45 |
| კიევო-ლაციო | 22:45 |
| ფიორენტინა-პალერმო | 22:45 |
| ნაპოლი-ლივორნო | 22:45 |
| პარმა-კატანია | 22:45 |
| სამპდორია-უდინეზე | 22:45 |


შარშანდელი მადონინა. რონალდინიოს გოლი ინტერის კარში

ფორტუნამ ასე ინება - სერია A-ს მეორე ტურშივე ორი დიდი დაპირისპირება გველოდება - შაბათს მილანური დერბია, კვირას კი არანაკლებ საინტრიგო „რომა“-„იუვენტუსი“. ამათგან, პირველ ტურში მხოლოდ „მილანმა“ და „იუვემ“ გაიმარჯვეს, „ჯალოროსი“ გენუაში დამარცხდა (2:3), „ინტერმა“ კი შინ ვერ შეძლო ელიტაში დაბრუნებული „ბარის“ დამარცხება (1:1).

მაგრამ ეს ვერ იქნება არგუმენტები საიმისოდ, რომ რომელიმე წყვილში ფავორიტი გამოვარჩიოთ - ამ ტიპის პაექრობები ყოველთვის სუფთა ფურცლიდან იწყება. რა თქმა უნდა, „ინტერისთვის“ სულ სხვა მოტივაციაა ისტორიულ მტერთან ჯახი, ვიდრე, თუნდაც, კერკეტი „ბარის“ წინააღმდეგ. ამ თამაშის შემდეგ **ჟოზე მოურინიომ** თქვა - რაც უფრო მალე დავივიწყებთ სასტარტო დანაკარგს, მით უკეთ მოვემზადებით „როსონერისთან“ საბრძოლველადო.

ჯერჯერობით, ჟოზე მილანელ კოლეგა **ლეონარდოს** თავს არ დასხმია, რაც მნიშვნელოვანი თამაშების წინ მას ყოველთვის ახასიათებს ხოლმე. ფსიქოლოგიური შეტევის პირველი მცდელობა უფრო საწინააღმდეგო ბანაკიდან იყო. გუშინ საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს **ადრიანო გალიანის** კომენტარი, რომელშიც „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი დარწმუნებით ამბობს, „მადონინაში“ (მილანურ დერბის ხომ ასე მოიხსენიებენ) გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო, თუმცა იქვე აზუსტებს - დაახლოებით 98 პროცენტითო.

ახლა ვნახოთ, რა ხდება მოწინააღმდეგე ბანაკებში. გასაგები მიზეზების გამო, მოურინიო ჯერაც ძიების პროცესშია. მაგალითად, „ბარისთან“ მატჩში მან სამჯერ შეცვალა გუნდის განლაგება. **ზლატან იბრაჰიმოვიჩის, ერნან კრესპოსა** და **ხულიო კრუსის** წასვლის შემდეგ მას თითქოს აღარ დარჩა არჩევანი თავდასხმაში. სასტარტო შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში დაიწყეს ახალწვეულებმა - **დიეგო მილიტომ** და **სამუელ ეტოომ.** ეჭვგარეშეა, რომ „მილანთანაც“ ასე იქნება, თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ახლა ძირითადში **მარიო ბალოტელის** გამოჩენასაც ელიან. პირველი ტურის მატჩში ბალოტელიმ 28-ე წუთზე **სულეიმან მუნტარი** შეცვალა. ამასთან დაკავშირებით, მოურინიომ ასეთი კომენტარი გააკეთა - რამადანის დღესასწაულის გამო განელ ნახევარმცველს ფიზიკური მომზადება აკლდაო. დიდი ალბათობით, მუნტარი დღესაც არ იქნება. ჰოდა, გამოიკვეთა კიდეც სასტარტო 4-3-3, თავდასხმაში ბალოტელის, ეტოოსა და მილიტოს სახით.

„ინტერისთვის“ სერიოზული პრობლემაა **ესტებან კამბიასოს** ტრავმაც. მიუხედავად ამისა, ექსპერტები ნაკლებად ელიან სასტარტოში **პატრიკ ვიეირას** გამოჩენას. შესაძლოა, ვერ ითამაშოს **მარკო მატერაციმაც,** რომელსაც ტრავმა აწუხებს. ასეთ შემთხვევაში, მას **ვალტერ სამუელი** შეცვლის.

პირველ მატჩში გამარჯვების მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ „მილანმა“ საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა. ეს უფრო **ალეშანდრე პატოსა** და **რონალდინიოზე** ითქმის - პირველმა დუბლი შეასრულა, ხოლო მეორემ ასისტენტობა გაუწია. გამოჩნდა, რომ პატოც და რონალდინიოც სტარტზევე მშვენიერ ფორმაში არიან და ეს იქნება სწორედ „მილანის“ მთავარი კოზირი. რაკი რონალდინიოზე ვთქვით, აქვე უნდა გავიხსენოთ შარშანდელი დერბი, რომელიც „მილანმა“ მისი თავურის წყალობით 1:0 მოიგო და ეს იყო „რონის“ პირველი იტალიური გოლი...

საინტერესოა, ვინ იქნება პატოს პარტნიორი წინა ხაზზე - ისევ **მარკო ბორიელო** თუ **კლაას-იან ჰუნტელაარი,** რომელმაც პირველ ტურში ტრავმის გამო ვერ ითამაშა, ან **ფილიპო ინძაგი.** „პიპო“ ჯანზე კია, მაგრამ „სიენასთან“ მატჩში სკამზე იჯდა და ჩანდა, რომ ამის გამო ერთობ უხასიათოდაც იყო.

ეს არჩევანი ლეონარდომ უნდა გააკეთოს. თუმცა საინტერესოა **სილვიო ბერლუსკონის** მოსაზრება. „მილანის“ პატრონი ხშირად აძლევდა რჩევებს **კარლო ანჩელოტის** და მით უმეტეს, ამას არ დაიზარებს გამოუცდელი ლეონარდოსთვის. მას მიაჩნია, რომ პატოსთან ერთად მეორე ფორვარდის როლი რონალდინიომ უნდა შეასრულოს, ხოლო მათ უკან **კლარენს ზეედორფი** უნდა მოქმედებდეს. იტალიის პრემიერის აზრით, კაკას მაგივრობა სწორედ ზეედორფმა უნდა გასწიოს. თუმცა წინასწარი ვარაუდებით ზეედორფი საერთოდ არ მოიაზრება ძირითად შემადგენლობაში...

საინტერესოა, გაითვალისწინებს ლეო ბერლუსკონის რჩევას? ჩვენი მოკრძალებული აზრით კი, არა გვგონია, რონალდინიოს თავდასხმაში მოცდენა მართებული იყოს - ის არის ფიგურა, რომელზეც უნდა აიგოს „მილანის“ შეტევითი სტრატეგია. თუმცა ჩვენ ვინ გვკითხავს...

არ ველოდებით, რომ თამაშის საშუალება მიეცემა **კახა კალაძეს.** ჯერ ერთი, ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვერ არის იმ ფორმაში, დერბი რომ ანდონ, და ესეც არ იყოს, ლეონარდო ალბათ არ მოისურვებს გამარჯვებული შემადგენლობის შეცვლას.

### სავარაუდო შემადგენლობები

მილანი (4-3-1-2): **სტორარი - ძამბროტა, ნესტა, ტიაგო სილვა, იანკულოვსკი - გატუზო, პირლო, ფლამინი - რონალდინიო - პატო, ჰუნტელაარი (ან ბორიელო).**

ინტერი (4-3-3): **ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ - ხ. ძანეტი, სტანკოვიჩი, ტიაგო მოტა - ბალოტელი, მილიტო, ეტოო.**

კვირას გაიმართება „რომა“-„იუვეს“ დედაქალაქური შერკინება, რომელშიც ბევრი ფავორიტად მიიჩნევს ტურინულ გრანდს, თუმცა ამგვარი შეფასება ცოტა გადაჭარბებული ჩანს. იხსენებენ „ოლიმპიკოს“ შარშანდელ დაპირისპირებას, რომელიც „ბებერმა ქალბატონმა“ 4:1 მოიგო. ერთი მხრივ, ალსანიშნავია, რომ იმ თამაშის მერე „ჯალოროსი“ ნამდვილად არ გაძლიერებულა (საკადრო თვალსაზრისით), „იუვემ“ კი პირიქით, სერიოზული შევსება მიიღო. მაგრამ რაც არ უნდა იყოს, საკუთარ მოედანზე „რომას“ უდავოდ მეტი შანსი აქვს. ამას გარდა, სასტარტო ტურში დამარცხების გამო **ლუჩანო სპალეტის** სამწყსო შეიძლება უფრო მეტადაც იყოს მოტივირებული.

წინა ტურისგან განსხვავებით, „რომას“ თავკაცი, ალბათ, ძირითადში გაამწესებს **მირკო ვუჩინიჩს,** რომელსაც „ჯენოასთან“ მატჩი ტრავმის გამო გაუცდა. თუ ახლაც ასე მოხდა, სუფთა ფორვარდი იქნება **ფრანჩესკო ტოტი,** რომელსაც ეგრეთ წოდებული „ტრექვარტისტას“ (სამი-მეოთხედი, ანუ წინ წაწეული ნახევარმცველი) პოზიციიდან ახალწვეული **სტეფანო გუბერტი** აუბამს მხარს. ასევე ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ ძირითადი მეკარე **ალეშანდრე დონი,** მარჯვენა **მცველი სისინიო** და ნახევარმცველი **სიმონე პეროტა.** ეს უკანასკნელი, შეიძლება, მეორე ტაიმში გამოჩნდეს მოედანზე, თუ „რომასთვის“ ამის აუცილებლობა დადგა.

აი, **ჩირო ფერარას** კი საკადრო პრობლემები ნაკლებად აწუხებს. პირველ ტურში დაშავებული **ალესანდრო დელ პიერო** დიდი ალბათობით სასტარტოში იქნება **კარვალიო ამაურისთან** ერთად. **კლაუდიო რანიერის** არ იყოს, როგორც ჩანს, **დავიდ ტრეზეგეს** არც ფერარა სწყალობს. ძირითადში ელიან **მაურო კამორანეზის.** შესაძლოა, ამის მიზეზი **ჰასან სალიჰამიჯიჩის** ტრავმაც იყოს. სიახლეს არ უნდა ველოდოთ შუა ხაზის სხვა წერტილებში - „იუვეს“ ორი ახალი ბრაზილიელი, **დიეგო** და **ფელიპე მელო,** ჯერჯერობით უკონკურენციოდ არიან.

### სავარაუდო შემადგენლობები

რომა (4-4-2): **არტური - მ. მოტა, მექსე, ბურდისო, რიისე - დე როსი, პისარო, ტადეი, მენეზი - ტოტი, ვუჩინიჩი (ან გუბერტი).**

იუვენტუსი (4-4-2): **ბუფონი - გრიგერა, ფ. კანავარო, კიელინი, დე ჩელიე - კამორანეზი, ფელიპე მელო, მარკიზიო, დიეგო - დელ პიერო, ამაური.**

სხვა მატჩებიდან ყურადღების ღირსია „ფიორენტინა“-„პალერმო“. სიცილიელთა განაცხადში ვერ ვხედავთ **ლევან მჭედლიძეს,** რომელიც კვლავ ტრავმირებულია. ორივე გუნდი საბრძოლო შემადგენლობით იქნება.

„ატალანტა“-„ჯენოას“ დაპირისპირებაში სტუმარი გუნდი ვერ დაიხმარს ფორვარდ **სერჯო ფლოკარის,** რომელსაც შარშან სწორედ ბერგამოელთა სახელით გაჰქონდა გოლები. „ატალანტას“ კი დაშავებული ჰყავს წამყვანი ნახევარმცველი **ფერეირა პინტუ.**

„ბოლონია“ „ბარის“ ვეტერანი ფორვარდის **მარკო დი ვაიოს** გარეშე ეწვევა. ამას გარდა, **ჯუზეპე პაპადოპულოს** ძირითადი შემადგენლობის კიდევ 3 მოთამაშე არ ეყოლება. საეჭვოა, „ბარის“ ნახევარდაცვაში დებიუტი ჰქონდეს „იუვედან“ იჯარით მოსულ **სერხიო ალმირონს.**

შესუსტებული შემადგენლობით ითამაშებს „ლაციოც“, რომელსაც „კიევოსთან“ გასვლით მატჩში **კრისტიან ლედესმა, გორან პანდევი, კრისტიან მანფრედინი** და **გილერმო სტენდარდო** დააკლდებიან.

**გიორგი გელაშვილი**

ინგლისი — პრემიერლიგა. IV ტურის წინ

# არსენიზმები და სხვა წვრილმანები

| დღეს | |
|---|---|
| ჩელსი-ბარნლი | 15:45 |
| ბლექბერნი-ვესტ ჰემი | 18:00 |
| ბოლტონი-ლივერპული | 18:00 |
| სტოკი-სანდერლენდი | 18:00 |
| ტოტენჰემი-ბირმინგემი | 18:00 |
| ვულვზი-ჰალი | 18:00 |
| მანჩესტერ იუნ-არსენალი | 20:15 |
| **ხვალ** | |
| პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი | 16:30 |
| ევერტონი-ვიგანი | 18:00 |
| ასტონ ვილა-ფულჰემი | 19:00 |

მეოთხე ტურში მთავარი შეხვედრა გამოკვეთილია: „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედი“ „არსენალს“ მასპინძლობს. ეს მატჩი დღეს, საქართველოს დროით 20 საათსა და 15 წუთზე დაიწყება.

„არსენალი“, მოგეხსენებათ, ახალ სეზონში დაფრინავს. ორი შეხვედრა ჩაატარა, ორივე მოიგო და თან, დახეთ, ბურთების როგორი სხვაობით: 10 გაიტანა და 2 გაუშვა - ძალიან შთამბეჭდავი შედეგია. მიმომხილველები ამბობენ, რომ ეს „მეთოფეთა“ მწვრთნელის, **არსენ ვენგერის** მიერ ჩატარებული ტაქტიკური რეორგანიზაციის შედეგია. გასულ სეზონში ჩრდილოლონდონელები თითქოს უფრო უკანმოუხედავნი იყვნენ, მოედანზე გაფანტულები მოქმედებდნენ, რაც სქემატურად ასე გამოისახებოდა: 4-4-1-1. წლეულს გუნდს მეტი სიფრთხილე და შეკრულობა დაეტყო, ეს კი ასე იწერება: 4-3-3. თუმცა, რასაკვირველია, ვენგერი ვენგერია და შესაბამისად „არსენალს“ შეტევისთვის არ უღალატია. აკი მოგახსენეთ, რომ პრემიერლიგის სულ რაღაც ორ შეხვედრაში „მეთოფეებმა“ 10 გაიტანეს და 2 გაუშვეს. შეგიძლიათ ამას ჩემპიონთა ლიგის მონაგარიც დაამატოთ: „სელტიკთან“ შინ და სტუმრად, ორი შეხვედრის ჯამში, ვენგერის ბიჭებმა 5:1 გაიმარჯვეს და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავიდნენ.

„იუნაიტედის“ საქმე ცოტა სხვანაირადაა. ბოლო ტურში სერ **ალექს ფერგიუსონის** სამწყსომ „უიგან ატლეტიკს“ 5:0 გადაუარბინა, მაგრამ ეს მანამდე ნაწნევი შოკური მარცხის გამოსწორება გახლდათ და არა მორიგი რიხიანი ნაბიჯი ჯერ ძალიან შორეული ტიტულისკენ. ვფიქრობთ, „იუნაიტედის“ მიერ ნაწნევ შოკურ მარცხს დიდი შეხსენება არ უნდა, მაგრამ მაინც გავიმეოროთ: მანჩესტერელებმა პრემიერლიგის დებიუტანტ „ბარნლისთან“ წააგეს 1:0.

*„ორი წლის წინ ჩვენ 83 ქულა დავაგროვეთ, მაგრამ ჩემპიონის ტიტულს ვერ შევწვდით. გასულ სეზონში „ლივერპულმა“ კიდევ უფრო მეტი შეძლო, 86 ქულა მოიპოვა, მაგრამ ვერც ის გახდა ინგლისის ჩემპიონი. ეს იმას ნიშნავს, რომ პრემიერლიგაში ძალიან მაღალი სტანდარტებია და თუ პირველობისთვის ბრძოლას აპირებ, პირველი დღიდან ბოლო დღემდე მაქსიმალურად მობილიზებული და წარმატებული უნდა იყო. სხვა გუნდებზე დაკვირვება, ვინ დასუსტდა და ვინ არა, არაფერს გვარგებს“* - განაცხადა „არსენალის“ ვებსაიტზე ვენგერმა.

ჩრდილოლონდონელთა მწვრთნელის ამ განცხადებასთან დაკავშირებით, ერთხელაც ჩავხედოთ პრემიერლიგის ცხრილს და დავაკვირდეთ, რომ ჯერჯერობით ასპროცენტიანი შედეგით მიდიან „ტოტენჰემ ჰოთსპური“, „ჩელსი“, „არსენალი“ და „მანჩესტერ სიტი“ ოღონდ ჩამოთვლილ გუნდებს თამაშების რაოდენობა არ აქვთ ტოლად - „ტოტენჰემსა“ და „ჩელსის“ სამსამი აქვთ ჩატარებული, „არსენალსა“ და „მანჩესტერ სიტის“ კი ორ-ორი.

„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ დღევანდელ თამაშზე საუბრისას არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ამ ორი ინგლისური გუნდის საგაზაფხულო დაპირისპირება ჩემპიონთა ლიგის გასული გათამაშების ნახევარფინალში. მაშინ „იუნაიტედში“ **კრისტიანო რონალდო** თამაშობდა და თან დიდებულად. მნიშვნელოვანწილად, სწორედ პორტუგალიელი ვარსკვლავის წყალობით დაამარცხა მაშინ „მანჩესტერმა“ „არსენალი“ ჯამური ანგარიშით 4:1, მაგრამ მას მერე ვითარება შეიცვალა. ჯერ ერთი, „იუნაიტედს“ გამოაკლდნენ ხსენებული რონალდო და **კარლოს ტევესი,** ამას დაამატეთ **ედვინ ვან დერ სარის, რიო ფერდინანდის** და რამდენიმე სხვა ფეხბურთელის ტრავმაც, ლონდონელთა გუნდს კი სულ ფრენაფრენით დაუბრუნდა გახორვატებული ბრაზილიელი **ედუარდო და სილვა** და შესაძლოა დღეს მოედანზე გამოჯანმრთელებული ჩეხი **ტომაშ როსიცკიც** კი ვიხილოთ.

თუმცა, უდანაკარგოდ არც „არსენალია“ - კაპიტან **სესკ ფაბრეგასს** ორთავა კუნთი აქვს დაჭიმული, ხოლო **თეო უოლკოტს** ზურგი სტკივა და ვერ ითამაშებს.

„ლივერპულსაც“ დღეს, ოღონდ ცოტა ადრე, საქართველოს დროით 18 საათზე, ელის ბოლტონში თამაში და, რასაკვირველია, თუ ჩემპიონობაზე ჯერ კიდევ ოცნებობს, დამარცხების უფლება არ აქვს. ის კი არა, სასურველზე სასურველია მოიგოს კიდეც. შეგახსენებთ: რაფა ბენიტესის ამბიციურმა გუნდმა, სამ ტურში ორჯერ წააგო... საშინელი შედეგია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ წინა ჩემპიონატში ორი მარცხის მეტი სულ არ ჰქონია - „ლივერპული“ ხომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემდეგ მეორე ადგილზე გავიდა.

*„ორი აზრი არ არის, გუნდმა თამაში უნდა გამოასწოროს,* - დაწერა ბენიტესმა მერსისაიდელთა ვებსაიტზე.

„ჩელსი“ სასწაულმოქმედ „ბარნლის“ მასპინძლობს - „ბარნლიმ“ ბოლო ორი თამაში მოიგო, თუმცა კარლო ანჩელოტის „ლურჯები“ ჯერ ერთი, შინ არიან და მეორეც... საზღვარი ხომ ყველაფერს აქვს? თან, თუკი ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, „ბარნლის“ მცველი **რიჩარდ ეკერსლი** არ ეყოლება - დისკვალიფიცირებულია.

„ტოტენჰემი“ „ბირმინგემს“ მასპინძლობს და წესით, უნდა მოუგოს. ვითომ მარცხენა მცველის, **გრეგორი ვინიალის** შემადგენლობაში დაბრუნება ბირმინგემელებს ასე გამოაცოცხლებს? „მანჩესტერ სიტიში“ კი ხვალ **ჯოლიონ ლესკოტს** ექნება დებიუტი - ისტლენდელები პორტსმუთში თამაშობენ, გუნდთან, რომელსაც ჯერჯერობით სამივე თამაში წაგებული აქვს და... ვინ იცის, სწორედ ამიტომაც არის საშიში. თუმცა, ფავორიტი, რაღა თქმა უნდა „სიტია“.

„ვულვერჰემპტონმა“ „ჰალთან“ თამაშის წინ გაარკვია, რომ წინა ტურში, „მანჩესტერ სიტისთან“ შეხვედრაში დაშავებული **სტივენ უორდიც** გამოჯანმრთელდა და **გრეგ ჰელფორდიც,** „ბლექბერნს“ კი „ვესტ ჰემთან“ „ტოტენჰემიდან“ გადაყვანილი ახალწვეული, **პასკალ შიმბონდა** ჰყავს გამოსაცდელი.

ხვალ „ევერტონი“ „უიგანს“ მასპინძლობს და დიდი იმედი აქვს, რომ პირველ ქულებს მოიპოვებს. როგორც ამბობენ, უიგანელთა თავკაცი **რობერტო მარტინესი** ამ შეხვედრაში შემადგენლობას მნიშვნელოვნად, უფრო ზუსტად კი, ცხრა კაცით გადაახალისებს. „ბლექპულთან“ ნათამაშები სათასო შეხვედრის შემდეგ უიგანელთაგან მოედანზე მხოლოდ მცველი **პოლ შარნერი** და ნახევარმცველი **მოჰამედ დიამე** გავლენო...

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-3 | 9 |
| 2. ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| 3. არსენალი | 2 | 2 | 0 | 0 | 10-2 | 6 |
| 4. მანჩესტ. იუნ | 3 | 2 | 0 | 1 | 6-1 | 6 |
| 5. მანჩესტ. სიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 6. სანდერლენდი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-4 | 6 |
| 7. ბარნლი | 3 | 3 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 8. ბირმინგემი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-1 | 4 |
| 9. სტოკი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 10. ლივერპული | 3 | 1 | 0 | 2 | 6-5 | 3 |
| 11. ვესტ ჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 12. ასტონ ვილა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 13. ფულჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 14. ვულვზი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |
| 15. ჰალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 3 |
| 16. უიგანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-6 | 3 |
| 17. ბოლტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-2 | 0 |
| 18. ბლექბერნი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 19. პორტსმუთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |
| 20. ევერტონი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-7 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეფორმა


ედუარდოს თეატრალური ვარდნა

# თაღლითი პლატინის მეხუთე ელემენტი

ინგლისში ამას ყვინთვას ეძახიან: იმისათვის, რომ მსაჯს პენალტი ან ჯარიმა გამოსტყუოს, ფეხბურთელი თეატრალურად ვარდება, ვითომ მოწინააღმდეგემ კვანტი გამოსდო. შესაბამისად, ფეხბურთელებს, რომლებიც ასეთ თაღლითობას ხშირად მიმართავენ, „მყვინთავები" შეარქვეს - მორბიან „მყვინთავები", მორბიან და უცებ, ახლომახლო მდგომ მოთამაშეთა ფეხებში ისე ბუნებრივად ჩაყვინთავენ, ვერავინ გაიგებს, რა მოხდა. აი, ოთხშაბათს, „არსენალისა" და „სელტიკის" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ლონდონელთა გუნდის ბრაზილიელმა ხორვატმა **ედუარდომ** რომ გააკეთა და მთელი მსოფლიო ალაპარაკა...

*„მე კარგად ვიცი, რატომაც „ყვინთავენ" ფეხბურთელები. თავადაც „ჩამიყვინთავს",* - განუცხადა საზოგადოებას, არც მეტი, არც ნაკლები, უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ, - *ჩვენ ამას იმიტომ ვაკეთებდით და ვაკეთებთ, რომ ვიცით, იმ მომენტში მსაჯი ხრიკს ვერ მიგვიხვდება. კიდევ, ჩვენს დროს ამდენი ტელეკამერა არ იყო. მახსოვს, პირველად რომ ვითაღლითე, მთელმა გუნდმა შემაქო, ეს რა კარგად გააკეთეო. მას მერე ყოველთვის და ყველასთვის ასე იყო - თუ გაგვიდიოდა, უნდა „ჩაგვეყვინთა". მაგრამ ახლა დროა „მყვინთავობას" ბოლო მოვუღოთ და ამას მეხუთე მსაჯით გავაკეთებთ. რეფორმის შემდეგ, თუ შეამჩნევთ, რომ „მყვინთავმა" თავისი მაინც გაიტანა, ესე იგი მსაჯმა ვერ ივარგა, ანუ კონკრეტული დამნაშავე ცნობილია".*

რეფორმატორ პრეზიდენტს მეხუთე მსაჯის იდეა კარგა ხანია გამოცხადებული აქვს. პლატინის სურს, დღეს არსებულ სამ მსაჯს კიდევ ორი დაამატოს. ისინი კარების უკან განლაგდებიან და დააკვირდებიან, იყო თუ არა სინამდვილეში პენალტი. უნდა აღინიშნოს, რომ **მიშელ პლატინის** ექსპერიმენტი თეორია და შორეული გეგმა აღარ არის. ყველაფერი კონკრეტული გახლავთ და ხუთმსაჯიანობის ავ-კარგს უახლოეს ხანს, ევროლიგის შეხვედრებში შევამოწმებთ. რასაკვირველია, კარსუკანა თანამსაჯების ფუნქცია იმის ზუსტად დადგენაც იქნება, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ დღეს არსებულ მეოთხე მსაჯს, რომელიც მოედანზე მომუშავე სამეულს კიდიდან ეხმარება, მომავალში მეექვსეს დაუძახებენ - ის, თავის ადგილზე დარჩება.

პლატინიმ ერთი ძველი „ცოდვაც" აღიარა: *„მახსოვს, 1982 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში, მას მერე, რაც გერმანელების მეკარე ჰარალდ შუმახერი ჩვენს პატრიკ ბატისტონს საჯარიმოს გარეთ ისე დაეჯახა, რომ იგი საკაცით გახდა გასაყვანი, თავად კი დაუსჯელი დარჩა, ძალიან მინდოდა გერმანელების საჯარიმოში „ჩამეყვინთა" და მსაჯი მომეტყუებინა. უსამართლობას ვერ ვიტან და ვფიქრობდი, რომ ასე ყველაფერს თავის ადგილს მივუჩენდი. ძალიან ბევრი ვეცადე, მოწინააღმდეგის საჯარიმოში მეთაღლითა, მაგრამ არ გამომივიდა. თუმცა, ამიერიდან თაღლითობას ბოლო მოეღება, რადგან ფეხბურთელებს ეცოდინებათ, რომ დამატებით მსაჯს ვერაფერს გამოაპარებენ. ადრეც მითქვამს და ახლაც მინდა გავიმეორო: სჯობს, ფეხბურთს მსაჯები დავამატოთ, ვიდრე სასჯელები გავზარდოთ ან ვიდეოტექნიკა ავამოქმედოთ".*

შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა შეფმა **გორდონ სმიტმა** კი მსაჯის მოტყუებისა და პენალტის გამოძალვისთვის უეფას ედუარდოს დასჯა მოსთხოვა. აღსანიშნავია, რომ ამის პრეცედენტი არსებობს - ორი წლის წინ, იმავ შოტლანდიაში, „ჰემპდენ პარკზე", სქოთებისა და ლიტვის ნაკრებთა შეხვედრაში, ლიტველმა **საულიუს მიკოლიუნასმაც** სცადა თერთმეტმეტრიანის იოლი გზით მოპოვება და ორმატჩიან დისკვალიფიკაციას გამოჰკრა ხელი. სმიტმა თქვა:

*„ედუარდო საოცარი ფეხბურთელია, რომელმაც შემაძრწუნებელი ტრავმის შემდეგ მოედანზე დაბრუნების ძალა გამონახა, მაგრამ ის, რაც მან „ემირეიტ სტედიუმზე" გააკეთა, ფეხბურთის, როგორც სახეობის უპატივცემლობა გახლდათ და მეტი არაფერი. მას მერე, რაც თანამდებობაზე დამნიშნეს, ისევე როგორც ჩემს სამშობლოში, ფიფასა და უეფაშიც სიმულაციის წინააღმდეგ ვიბრძვი, ამ დღეს კი კიდევ ერთხელ გამოჩნდა თუ რატომ უნდა მივუდგეთ ბრძოლას უკიდურესი სერიოზულობით".*

**ილია ბაბუნაშვილი**

ტრანსფერები

## პორტსმუთი ყიდის და ყიდულობს: დისტენი იქით, სმიტი და ბრაუნი აქეთ

„პორტსმუთის" მცველმა სილვენ **დისტენმა** „ევერტონს" მიაშურა. ლივერპულურმა კლუბმა 32 წლის ცენტრალურ მცველს 3-წლიანი ხელშეკრულება დაუდო. ასე რომ, „პომპეიმ" კიდევ ერთი ძლიერი ფიგურა დაკარგა. შეგახსენებთ, რომ მანამდე გუნდი **პიტერ კრაუჩმა** და **გლენ ჯონსონმა** დატოვეს. „ევერტონის" თავკაც **დევიდ მოიესს** კი დისტენი „მანჩესტერ სიტიში" წასული **ჯოლეონ ლესკოტის** შემცვლელად სჭირდება.

დავუბრუნდეთ „პორტსმუთს". ამხელა დანაკარგების ფონზე, ქვედადივიზიონური (ჩემპიონშიფი) „უოტფორდიდან" 29 წლის **ტომი სმიტისა** და უიგანელი ნახევარმცველის **მაიკლ ბრაუნის** (32 წლის) გადაბირება ვერაფერი კომპენსაციაა.

## ვესტ ჰემი: ფორვარდი ლივორნოდან

**ჯანფრანკო ძოლამ** თანამემამულე **ალესანდრო დიამანტი** გადაიბირა. ტრანსფერი ოფიციალურად დაადასტურა „ლივორნომ", სადაც 26 წლის ფორვარდი მანამდე ირიცხებოდა. „ჩაქუჩებთან" მან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. გასული სეზონის 37 შეხვედრაში (თასის ჩათვლით) დიამანტიმ მეკარეები 18-ჯერ გაანბილა. იტალიელმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ გადაწყვეტილების მიღებაში ძოლას ფაქტორი დაეხმარა.

**ილია ბაბუნაშვილი**

გერმანია

ბუნდესლიგა. IV ტურის წინ

# რეკორდმაისტერი მაისტერის წინააღმდეგ

## არიენ რობენი დღესვე ძირითადში?

| | |
|---|---|
| **გუშინ** | |
| ბორუსია (მ)-მაინცი | იხ. გვ.19 |
| **დღეს** | |
| აინტრახტი-ბორუსია (დ) | 17:30 |
| ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი | 17:30 |
| შალკე-ფრაიბურგი | 17:30 |
| ლევერკუზენი-ბოხუმი | 17:30 |
| შტუტგარტი-ნიურნბერგი | 17:30 |
| ბაიერნი-ვოლფსბურგი | 20:30 |
| **ხვალ** | |
| ჰერტა-ვერდერი | 17:30 |
| ჰამბურგი-კიოლნი | 19:30 |

დღეს მთელი საფეხბურთო გერმანიის ყურადღება მიუნხენისკენ იქნება მიმართული, სადაც „ბაიერნი" ტურის ცენტრალურ შეხვედრაში მოქმედ ჩემპიონ „ვოლფსბურგს" მასპინძლობს. თუმცა ეს მატჩი ოდნავ მოგვიანებითაა, მანამდე კი საკმოდ დიდ ინტერესს იწვევს ბუნდესლიგის ახალწვეულების, „ნიურნბერგისა" და „ფრაიბურგის" გასვლითი მატჩები შტუტგარტსა და გელზენკირხენში. გათამაშების ლიდერი „ლევერკუზენი" „ბოხუმს" მასპინძლობს და წესით, **იუპ ჰაინკესის** შეგირდებმა ლიდერობა უნდა შეინარჩუნონ. ხვალ კი ევროლიგის წარმომადგენლების დუელია: „ჰერტა" ბრემენის „ვერდერს" ხვდება. ასევე ევროლიგაში მოასპარეზე და ბუნდესლიგის ერთ-ერთი ლიდერი „ჰამბურგი" კი „კიოლნს" დაუპირისპირდება.

ბუნდესლიგაში აღზევებული სამი გუნდიდან, ორს დღეს ძალიან რთული მისია აქვს შესასრულებელი. „ნიურნბერგი" შტუტგარტში ჩადის და ხვდება გუნდს, რომელიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა. შვაბებმა ევროელიტაში მოხვედრა უკვე იზეიმეს და ახლა შიდა სარბიელზე არიან კონცენტრირებულები. გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ „შტუტგარტის" მეკარე **იენს ლემანს** წინა ტურში დორტმუნდელ **ნევენ სუბოტიჩთან** კინკლაობისთვის დისკვალიფიკაცია არ მიუსაჯა. ასე რომ, ვეტერანი ლემანი დღესაც შვაბთა კარს დაიცავს. დიდი შანსია, რომ „ნიურნბერგის" თავკაცმა **მიხაელ იონინგმა** „შტუტგარტთან" შედარებით დაცვითი ტაქტიკა აირჩიოს და მხოლოდ ერთი თავდამსხმელი ათამაშოს, რომელიც, სავარაუდოდ, **ანგელოს ხარისტეასი** იქნება.

მართალია, „შალკეს" 3 ტურის შემდეგ 7 ქულა აქვს და ლიდერებშია, მაგრამ ეს კვირა გელზენკირხენული კლუბისთვის ძალიან რთული იყო, რადგან გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „შალკეს" ვალები აქვს, თანაც საკმაოდ ბევრი. მერე იყო სპეკულაციები **რაფინიას** წასვლასთან დაკავშირებით („იუვენტუსში" ან „მილანში"), მაგრამ ბრაზილიელი გუნდშია, ითამაშებს და ალბათ „შალკეში" დარჩება. „ხუმარებისთვის" „ფრაიბურგთან" გამარჯვებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გელზენკირხენელთა თავკაცი **ფელიქს მაგათი** „ფრაის" საკმაოდ უფრთხის და ამბობს, ბუნდესლიგაში ამოსული სამი გუნდიდან, ყველაზე სანახაობრივ ფეხბურთს სწორედ ბრაისგაუელები აჩვენებენო. წინა ტურში მაგათს გამთამაშებლის პოზიციაზე იმედები ვერც **ივან რაკიტიჩმა** გაუმართლა და ვერც ჩვენებურმა **ლევან ყენიამ**. შესაძლოა, „დესპოტმა ფელიქსმა" ამჯერად „დირიჟორობის" შანსი **ჰალილ ალთინთოფს** ან **ჯეფერსონ ფარფანს** მისცეს. ფაქტი ის არის, რომ მაგათს კატეგორიულად არ სურს ფლეიმეიკერზე უარის თქმა და სხვა, უგამთამაშებლო სქემით თამაში.

სამი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში „ლევერკუზენი" უდგას. მიუხედავად იმისა, რომ „ფარმაცევტებმა" წინა ტურში „ფრაიბურგი" 5:0 გაანადგურეს, მთავარი მწვრთნელი **იუპ ჰაინკესი** ამბობს, რომ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი აქვს სამუშაო იმისათვის, რომ გუნდი ოპტიმალურ ფორმაში ჰყავდეს. მწვრთნელს კაპიტანი **სიმონ როლფესიც** ეთანხმება, რომლის თქმითაც, „ბაიერი" არაერთ ასპექტში უნდა გაუმჯობესდეს. პროგრესი კი ლევერკუზენელებმა დღეს „ბოხუმთან" უნდა დაიწყონ. ფაქტია, რომ ჰაინკესის შეგირდები „ბოხუმთან" სამ ქულას ადვილად ვერ მოიპოვებენ. მაგალითად, წინა ტურში „ბოხუმმა" „ჰერტას" მოუგო...

„ჰანოვერმა" დროებითი თავკაცის, **ანდრეას ბერგმანის** ხელში პირველი სამი ქულა მოიპოვა, დღეს „ჰოფენჰაიმს" მასპინძლობს და ფაქტია, რომ ბერგმანი ისევ ყურადღების ცენტრში იქნება. თუ „წითლები" ზედიზედ მეორე შეხვედრასაც მოიგებენ, ბერგმანს შანსი ექნება, პოსტი სეზონის ბოლომდე შეინარჩუნოს. „ჰოფენჰაიმმა" წელს ვერ აიღო ისეთი სტარტი, როგორიც შარშან (მხოლოდ 2 ქულა სამი ტურის შემდეგ), მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „სოფლელებს" სამივე ტურში საკმაოდ რთული მეტოქეები ჰყავდათ. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ შარშან „ჰოფენჰაიმმა" „ჰანოვერი" სტუმრად 5:2 გაანადგურა.

ისევე როგორც ლემანი, წინა კვირას იდაყვების ქნევისთვის დაუსჯელი დარჩა სუბოტიჩიც, რომელიც დორტმუნდის „ბორუსიას" ფრანკფურტში მიჰყავება. თუმცა ვესტფალიელებმა ახალგაზრდა მცველი თვითონ დასაჯეს და 5 000 ევრო გადაახდევინეს. „აინტრახტს" კი მცველი **პატრიკ ოხსი** არ ეყოლება, რომელიც წინა ტურში მოედნიდან გააძევეს. აღსანიშნავია, რომ ოხსს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. დიდი შანსია, რომ მის ნაცვლად ფრანკფურტელთა ძირითად შემადგენლობაში ახალწვეულმა **მაიკ ფრანცმა** ითამაშოს, რომელმაც „აინტრახტს" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებულ „კარლსრუედან" მიაშურა.

ტურის მშვენება კი დღეს, 20 საათსა და 30 წუთზეა: „ბაიერნი"-„ვოლფსბურგი". ფაქტი ის არის, რომ რეკორდმაისტერს ქულების დაკარგვის უფლება აღარ აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბავარიელები ლიდერებთან „კონტაქტს" სრულიად დაკარგავენ. მიუნხენელთა დამრიგებელმა **ლუის ვან გაალმა** ბოლოს რამდენჯერმე შეცვალა ტაქტიკა, მაგრამ შედეგი მაინც ვერ მიიღო. საინტერესოა, დღეს როგორ სქემას აირჩევს ჰოლანდიელი. გამორიცხული არ არის, რომ ვან გაალმა კარში ამჯერად **ჰანს-იორგ ბუტი** დააყენოს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ „ბაიერნს" მეკარის პრობლემა აქვს. გამორიცხული არც ისაა, რომ უკვე დღესვე რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ **არიენ რობენიც**, რომელიც მიუნხენელებმა გუშინ ოფიციალურად წარადგინეს. „ვოლფსბურგს" კაპიტანი **ჟოსუე** აკლია, რომელმაც ტრავმა მიიღო და მუხლის ოპერაცია გაიკეთა. ეს „მგლებისთვის" უდიდესი დანაკლისია. მის ნაცვლად ძირითადში, საყრდენის პოზიციაზე, სავარაუდოდ, **სანტანას** ვიხილავთ, რომელიც ნახევრად მემარჯვენე საყრდენი იქნება. შუაში კი, ჟოსუეს ადგილზე, ალბათ **აშკან დეჟაგა** იქნება გამწესებული, რომელიც უნივერსალია და დაცვის ხაზის გარდა, ნებისმიერ პოზიციაზე (ნახევარდაცვაშიც და თავდასხმაშიც!) შეუძლია თამაში (და საჭიროების შემთხვევაში ფლანგის მცველის მოვალეობების შესრულებასაც კარგად გაართმევს თავს). მწვრთნელი **არმინ ფეე**, სავარაუდოდ, დასჯის და არ ათამაშებს **ქარიმ ზიანის**, რომელმაც შუა კვირაში ფორვარდ **ედინ ჯეკოს** „მუშტიკრივი გაუმართა". ამ ამბის შემდეგ, ტანმორჩილ ალჟირელ ნახევარმცველს თანაგუნდელები ცუდი თვალით უყურებენ.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ბაიერნი:** რენზინგი - ლამი, ვან ბუიტენი, ბადშტუბერი, პრანიჩი - ტიმოშჩუკი, შვაინშტაიგერი - თ. მიულერი, რიბერი - ოლიჩი, გომესი.

**ვოლფსბურგი:** ბენალიო - რიტერი, მადლუნგი, ბარძალი, მ. შეფერი - სანტანა, დეჟაგა, გენტნერი - მიშიმოვიჩი - ჯეკო, გრაფიტე.

კვირას პირველი მატჩი ევროლიგელების ჯახია: „ჰერტა" „ვერდერს" მასპინძლობს. „მუსიკოსები" ყაზახეთიდან დაბრუნდნენ, სადაც „აქტიობე" 2:0 დაამარცხეს და უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდნენ. ისევე როგორც ბუნდესლიგის წინა ტურში (3:0 „გლადბახთან"), ყაზახეთიდანაც დუბლით დაბრუნდა **კლაუდიო პისარო**. ტურის უკანასკნელი მატჩი კი „ჰამბურგისა" და „კიოლნის" დუელია. **ბრუნო ლაბადიას** გუნდმა დაამტკიცა, რომ შესანიშნავ ფორმაშია - ჰამბურგელებმა წინა ტურში ვოლფსბურგში 4:2 გაიმარჯვეს და საგოლე მომენტები რომ გამოეყენებინათ, მოქმედ ჩემპიონს უფრო დიდი ანგარიშითაც დაამარცხებდნენ. ევროლიგის მატჩში კი, „გენგამთან" ლაბადიამ ფაქტობრივად მეორე შემადგენლობა ათამაშა და ამრიგად, ჩრდილოელები დაღლილები ნამდვილად არ იქნებიან.

**გოტფრიდ ლენცი**


ბაიერნის მცველი ფილიპ ლამი და ვოლფსბურგის გოლეადორი გრაფიტე. ვინ ახტება უფრო მაღლა?

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევერკუზენი | 3 | 2 | 1 | 0 | 8-2 | 7 |
| 2. ჰამბურგი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 3. შალკე | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 4. ვოლფსბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 7-5 | 6 |
| 5. მაინცი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-4 | 5 |
| 6. აინტრახტი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 7. ვერდერი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| 8. ჰანოვერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 9. შტუტგარტი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 10. ბორუსია (მ) | 3 | 1 | 1 | 1 | 5-7 | 4 |
| 11. ბოხუმი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-6 | 4 |
| 12. ბორუსია (დ) | 3 | 1 | 1 | 1 | 3-5 | 4 |
| 13. ჰერტა | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 14. ბაიერნი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| 15. ჰოფენჰაიმი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |
| 16. ნიურნბერგი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 17. კიოლნი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-4 | 1 |
| 18. ფრაიბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-10 | 1 |

ბაიერნი

# ათიანი არიენ რობენს!

## მიუნხენურმა გრანდმა ჰოლანდიელი ოფიციალურად წარადგინა

გახდა თუ არა ცნობილი, რომ მადრიდის „რეალის" ჰოლანდიელი ნახევარმცველი **არიენ რობენი** მიუნხენის „ბაიერნში" გადადიოდა, მაშინვე გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, რომ შეთანხმებაში ჩაიდო პუნქტი, რომლის თანახმადაც, გაისად, ბავარიელები მადრიდელებს **ფრანკ რიბერის** ზედმეტი ლაპარაკის გარეშე დაუთმობენ. ეს ინფორმაცია ესპანურმა პრესამ გაავრცელა და მიუხედავად „ბაიერნის" მენეჯერ **ული ჰიონესის** არაერთგზის უარყოფისა, ესპანელები ჯიუტად ამტკიცებენ, რომ რიბერი გაისად „რეალში" გადავა. თვითონ ფრანგი ფეხბურთელი მხოლოდ დღევანდელ მატჩსა და „ბაიერნზეა" კონცენტრირებული.

დღეს „ვოლფსბურგთან" უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში განაცხადში იქნება რობენიც. ჰიონესის თქმით, ჰოლანდიელი ძალიან კარგ ფორმაშია და თავისუფლად შეუძლია, „ვოლფსბურგთან" ითამაშოს. თუმცა ული ამბობს, ახალ თანაგუნდელებს საერთოდ არ იცნობს და ალბათ მთავარი მწვრთნელი ლუის ვან გაალი ძირითად შემადგენლობაში არ ათამაშებსო. ეს **ვან გაალის** გადასაწყვეტია, მაგრამ ფაქტია, რომ რობენი „ბაიერნის" განაცხადში იქნება.

ჰოლანდიელმა გარემარბმა მიუნხენში სამედიცინო შემოწმება გუშინ გაიარა, რის შემდეგაც ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მერე კი, „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა ოფიციალურად წარადგინეს ახალწვეული, რომელშიც 25 მილიონი ევრო გადაიხადეს. ეს თანხა ოფიციალურად არ დასტურდება, მაგრამ ჩვენი გერმანელი და ესპანელი კოლეგები ერთხმად ამტკიცებენ, რომ „ბაიერნს" რობენი სწორედ ამდენი დაუჯდა.

*„არიენს ნამდვილად შეუძლია, რომ „ვოლფსბურგთან" ითამაშოს, მაგრამ თანაგუნდელებთან შეთამაშებული ჯერ არ არის. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ის მოედანზე გავიდეს,"* - ეს ვან გაალის სიტყვებია.

*„საუკეთესო ფორმაში ვარ, „რეალთან" ერთად ახალი სეზონისთვის იდეალურად მოვემზადე,"* - ეს კი 25 წლის რობენის განცხადება გახლავთ, რომელმაც იქვე დასძინა: *„ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. რამდენიმე საკითხზე სერიოზულად დავფიქრდი, რის შემდეგაც „ბაიერნის" ხელმძღვანელებს თანხმობა განვუცხადე. მათ დამარწმუნეს იმაში, რომ მიუნხენურ კლუბს ძალიან ვჭირდები. ეს უდიდესი ისტორიისა და ტრადიციების ევროპული გრანდია და მეც ბედნიერი ვარ, რომ ბაიერნელი გავხდი!"*

რაც შეეხება რიბერის: ვან გაალის თქმით, ფრანგმა ამ კვირაში ძალიან ნაყოფიერად ივარჯიშა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის „ვოლფსბურგთან" აუცილებლად იასპარეზებს. თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ჰოლანდიელმა რიბერი ძირითად შემადგენლობაში ისევ არ გაამწესოს და მოედანზე მხოლოდ მეორე ტაიმში შეუშვას. ესპანურ მედიაში გავრცელებულ ცნობას კი, რომლის თანახმადაც რიბერი გაისად გარკვეული თანხის სანაცვლოდ „რეალში" გადავა, ჰიონესი კატეგორიულად უარყოფს. *„ჩვენ რობენი რიბერის სანაცვლოდ კი არ ვიყიდეთ, არამედ იმისათვის, რომ რობენმა და რიბერიმ ერთად ითამაშონ. ჰოლანდიელი იმისათვის შევიძინეთ, რომ მან ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგი გააძლიეროს. არიენის ყიდვა ადრეც გვსურდა. ის ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გარემარბია,"* - ამბობს ული.

საინტერესოა ისიც, რომ „ბაიერნის" შეფებმა რობენს ათნომრიანი მაისურა გადასცეს. რეკორდმაისტერში „ათიანი" ბოლოს არიენის თანამემამულე **როი მაკაი** იყო. მისი წასვლის შემდეგ, ბავარიელები ამ ნომერს ახალგაზრდა **ტონი კროოსს** უნახავდნენ, მაგრამ ამ უკანასკნელმა „ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და ახლა „ლევერკუზენშია" განათხოვრებული. რობენმა გუშინ ახალ თანაგუნდელებთან ერთად პირველად ივარჯიშა.



არიენ რობენი ბაიერნის ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ წარადგინა

**გოტფრიდ ლენცი**

საფეხბურთო ბიზნესი

# აბრამოვიჩი ხარჯვის წინააღმდეგ!

რას არ გაიგებ კაცი: **რომან აბრამოვიჩი** უეფას „მანჩესტერ სიტის" შებოჭვაში უჭერს მხარს - როგორც ეტყობა, დიდძალი ფულის ხარჯვასა და ახალ-ახალი ვარსკვლავების შეძენაში კონკურენტები რომ გამოუჩნდა, აღარ მოეწონა, ან კიდევ, დიდძალი ფულის ფეხბურთში ხარჯვა აღარ სიამოვნებს.

დავიწყოთ უეფას გეგმით. ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი **მიშელ პლატინი** ბრძანებს, რომ კარგი იქნება, თუკი საფეხბურთო კლუბები ფეხბურთელებს ვილაცის მიერ მიცემული ფულით კი არ იყიდიან, არამედ იმ თანხებით, რომლებიც მათ საკუთარი ბიზნესით ანუ ფეხბურთით შემოუვიდათ. და თუ ასეთი რამ დაკანონდება, რომან აბრამოვიჩი, რასაკვირველია, მოგებული დარჩება, რადგან იმ ექვსი წლის განმავლობაში, როდესაც ის „ჩელსის" 700 მილიონ ფუნტს ახარჯავდა, არანაირი აკრძალვა არ არსებობდა, ხოლო დღეს, როდესაც თავად ჯიბეში ხელის ჩაყოფა მობეზრდა, პრემიერლიგაში კი კონკურენტებმა წამოყვეს თავი, აკრძალვა უკვე მოპოვებულ უპირატესობას შეუნარჩუნებს.

ის, რომ რუს ოლიგარქს ფულის ხარჯვა მიზანშეწონილად აღარ მიაჩნია, ამ ზაფხულს გაღებული თანხებინადაც კარგად ჩანს: „ჩელსიმ" ახალ ფეხბურთელებში სულ 23 მილიონი ფუნტი გადაიხადა, „მანჩესტერ სიტიმ" კი 120 მილიონი. ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ ორიოდ დღის წინ შემოგთავაზეთ ინგლისური კლუბების სია, რომელთაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში სატრანსფერო ბაზარზე ყველაზე მეტი ფული დახარჯეს. ამ სიაში 216 მილიონით პირველ ადგილზე სწორედ „სიტი" ეწერა, აბრამოვიჩის „ლურჯი" გუნდი კი 29 მილიონით მხოლოდ და მხოლოდ მეშვიდეზე იყო.

*„ხარჯვის შეზღუდვას უპირველეს ყოვლისა მსხვილი კლუბების მეპატრონეები ითხოვენ: რომან აბრამოვიჩი, სილვიო ბერლუსკონი, მასიმო მორატი და სხვები. მათ მეტის ხარჯვა აღარ სიამოვნებთ* - განმარტა უეფას პრეზიდენტმა, როდესაც ჟურნალისტებთან საუბრისას სიტყვამ „ფინანსური ფეარ-პლეი" მოიტანა, - *მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედს" დღესვე შეუძლია სატრანსფერო ბაზარზე 300 მილიონი დახარჯოს, მაგრამ ჩვენ გვინდა შემოვიღოთ წესი, რომლის მიხედვითაც, თუ კლუბი თუნდაც სამი წლის მერე ამ დანახარჯის გამო წაგებას ნახავს, მას ჩემპიონთა ლიგასა და ევროლიგაში თამაში აეკრძალება. მე პირადად შევხვდი ბატონ აბრამოვიჩს. ის ფეხბურთის მოყვარული კაცია და რაიმეს მოფიქრება მთხოვა. მოეწონება თუ არა ჩვენი პროექტი რომელიმე ერთ კლუბს, მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, უმრავლესობას რა სურს. თუ რომელიმე კლუბი ფეხბურთელების საყიდლად ბანკიდან სესხს გამოიტანს და ამ თანხას გაისტუმრებს, პრობლემა არ არის, მაგრამ თუ კლუბი რომელიმე დიდი მხარდამჭერისგან ვეებერთელა სუბსიდიებს მიიღებს და ორ წელიწადში მოგებაზე მაინც ვერ გადავა, ეს აღარ მოგვეწონება".*

**ილია ბაზუნაშვილი**

ჰერთა


გოიკო კაჩარს მთხოვნელების რიგი უდგას

# კაჩარი ბარსაში?

## ბერლინელებმა კოლუმბიელი თავდამსხმელი იყიდეს

როგორც ჩვენი გერმანელი და ესპანელი კოლეგები იუწყებიან, „ბარსელონას" ბერლინის „ჰერთას" 22 წლის ვარსკვლავის, ნახევარმცველ **გოიკო კაჩარის** გადაბირება უნდა. ახალგაზრდა ნახევარმცველს, რომელსაც უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მისი ბიძა **მილან კაჩარი** უწევს აგენტობას, რომელმაც „ბერლინერ ცაითუნგს" განუცხადა: *„მეც ვიცი, რომ „ბარსელონა" დაინტერესებულია, მაგრამ კატალონიიდან კონკრეტული წინადადებით არავის მოუმართავს."*

ფაქტი ის არის, რომ კაჩარით არა მარტო „ბარსელონა", არამედ სხვა ევროპული ტოპკლუბებიც არიან დაინტერესებულები. გოიკოს ბუნდესლიგის 45 მატჩში 9 გოლი აქვს გატანილი და „ჰერთას" წამყვანი ფეხბურთელია. როგორც ირკვევა, კატალონიელმა სკაუტებმა სერბი ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე შეამჩნიეს და ძალიან მოეწონათ. სერბული გამოცემების მტკიცებით, „ბარსელონას" კაჩარის გადაბირება ზამთარში სურს. ამას წინათ „ჰერთას" კაჩარის სანაცვლოდ „შტუტგარტმა" 12 მილიონი ევრო შესთავაზა, რაზეც ბერლინელებმა უარი თქვეს.

ამასობაში, „ჰერთამ" თავდამსხმელი იყიდა - როგორც იცით, **ლუსიენ ფავრის** გუნდს ყველაზე მეტად სწორედ წინა ხაზში უჭირს. ბერლინში ითამაშებს 23 წლის კოლუმბიელი თავდამსხმელი **ადრიან რამოსი**, რომელიც „ჰერთაში" „ამერიკა დე კალიდან" გადადის და სამწლიან კონტრაქტს აფორმებს. ხსენებული კლუბის მენეჯერმა **ჟაირ კორტესმა** ჩვენს გერმანელ კოლეგებს დაუდასტურა, რომ „ჰერთასთან" შეთანხმება მიღწეულია. თუ 1.85 მეტრი სიმაღლის კოლუმბიელი ამ უქმეებზე დაგეგმილ სამედიცინო შემოწმებას უპრობლემოდ გაივლის, კონტრაქტი გაფორმდება და „ჰერთა" მასში 1.4 მილიონ ევროს გადაიხდის. რამოსმა 2009 წელს 16 მატჩში 11 გოლი გაიტანა. შეგახსენებთ, რომ გასული სეზონის მიწურულს „ჰერთამ" მთავარი გოლეადორები, **ანდრეი ვორონინი** და **მარკო პანტელიჩი** დაკარგა და ახალ სეზონში ცუდი სტარტი აიღო. ახალწვეული ფორვარდი **არტურ ვიხნიარეკი** ტრავმირებულია.

**გოტფრიდ ლენცი**

კლუბის ცხოვრებიდან

# საოცარი საქციელი


ჯეკ კოლისონი

„ვესტ ჰემ იუნაიტედის" ნახევარმცველმა, **ჯეკ კოლისონმა** ლონდონური კლუბის ქომაგებს მისი ცხოვრების უმძიმეს დღეებში მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა შეუთვალა. მოგეხსენებათ, გასულ კვირას, „ვესტ ჰემისა" და „ტოტენჰემ ჰოთსპურის" მატჩის დღეს, კოლისონის მამა **იან კოლისონი** ვაჟის თამაშის სანახავად სტადიონისკენ მოტოციკლით მიიჩქაროდა, როდესაც M25-ზე ავარია შეემთხვა და დაიღუპა. ძალიან მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დიდი ოჯახური ტრაგედიის მიუხედავად, ფეხბურთელმა სამშაბათს, „მილუოლთან" ქარლინგის თასზე თამაში ითხოვა და გუნდის ხელმძღვანელობამ თხოვნა დააკმაყოფილა, ხოლო მატჩის შემდეგ (ეს სწორედ ის შეხვედრაა, რომლის დროსაც ხულიგნები რამდენჯერმე გადავიდნენ მოედანზე) კოლისონი მთელი ხუთი წუთის განმავლობაში იდგა ტრიბუნის პირას და ფანებს მადლობას უძღვნიდა.

*„მინდა ჩვენი გუნდის ქომაგებს წარმოუდგენელი მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა გადავუხადო. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ხომ უმძიმესი განსაცდელის დღეებია,* - თქვა 20 წლის ნახევარმცველმა, ორიოდ დღის მერე მიცემულ ინტერვიუში, - *ამას არასდროს დავივიწყებ. ამიერიდან ფანების წინაშე ვალში ვარ და ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ეს ვალი ჩემი თამაშით გადავიხადო".*

ფეხბურთელის ხასიათის სიმტკიცით გაოცებული გახლდათ „ვესტ ჰემის" იტალიელი თავკაცი **ჯანფრანკო ძოლაც**.

*„ჯეკმა ჯიქურ განმიცხადა, რომ „მილუოლთან" თამაში უნდოდა,* - თქვა ლონდონელთა მწვრთნელმა, - *მას მოედანზე ყოფნა სურდა და მეც გადავწყვიტე, მეთამაშებინა. ამ დღეს კოლისონმა გვაჩვენა, თუ რა ბიჭია სინამდვილეში. ასეთ რამეს ბევრი ვერ გააკეთებდა".*

**ილია ბაზუნაშვილი**

# ესპანეთი. ლა ლიგა 2009/10



## ბარსელონა

**დაარსდა:** 1899
**სტადიონი:** კამპ ნოუ (98 000)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ვიქტორ ვალდესი | 14.01.82 |
| 13. ხოსე მანუელ პინტო | 15.11.75 |
| 25. ალბერტ ხორკერა | 03.03.79 |
| 30. რუბენ მინიო | 18.01.89 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. დანიელ ალვეში (ბრა) | 06.05.83 |
| 3. ხერარდ პიკე | 02.02.87 |
| 4. რაფაელ მარკესი (მექ) | 13.02.79 |
| 5. კარლეს პუიოლი | 13.04.78 |
| 18. გაბრიელ მილიტო (არგ) | 07.09.80 |
| 19. მაქსველი (ბრა) | 27.08.81 |
| 22. ერიკ აბიდალი (საფ) | 11.07.79 |
| 23. ენრიკე (ბრა) | 14.10.86 |
| 29. მარკ ბარტა | 15.01.91 |
| 33. მარკ მუნიესა | 27.03.92 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 6. ჩავი ერნანდესი | 25.01.80 |
| 8. ანდრეს ინიესტა | 11.05.84 |
| 10. ლეონარდო მესი (არგ) | 24.06.87 |
| 15. სეიდუ კეიტა (მალ) | 16.01.80 |
| 16. სერხი ბუსკეტსი | 16.07.88 |
| 24. იაია ტურე (კ-დივ) | 13.05.83 |
| 26. მარტინ მონტია | 14.04.91 |
| 28. ჯონათან დოს სანოსი (მექ) | 26.04.90 |
| 31. გაი ასულინი (ისრ) | 09.04.91 |
| 32. ანდრეუ ფონტასი | 14.11.89 |
| 34. ტიაგო ალკანტარა | 11.04.91 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. ეიდურ გუდიონსენი (ისლ) | 15.09.78 |
| 9. ზლატან იბრაჰიმოვიჩი (შვედ) | 03.10.81 |
| 11. ბოიან კრკიჩი | 28.08.90 |
| 14. ტიერი ანრი (საფ) | 17.08.77 |
| 27. პედრო | 28.07.87 |
| 35. ხეფრენ სუარესი | 20.01.88 |

***მწვრთნელი:*** ხოსეპ გვარდიოლა

## რეალი

**დაარსდა:** 1902
**სტადიონი:** სანტიაგო ბერნაბეუ (87 000)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. იკერ კასილიასი | 20.05.81 |
| 25. იერჟი დუდეკი (პოლ) | 23.03.73 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. მიგელ ტორესი | 28.01.86 |
| 3. პეპე (პორ) | 26.02.83 |
| 4. სერხიო რამოსი | 30.03.86 |
| 12. მარსელო (ბრა) | 12.05.88 |
| 16. ალვარო არბელოა | 09.01.88 |
| 18. რაულ ალბიოლი | 04.09.85 |
| 21. კრისტოფ მეცელდერი (გერ) | 05.11.80 |
| 24. ესეკიელ გარაი (არგ) | 10.10.86 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 5. ფერნანდო გაგო (არგ) | 10.04.86 |
| 6. მაჰამადუ დიარა (მალ) | 18.05.81 |
| 8. კაკა (ბრა) | 22.04.82 |
| 10. ლასანა დიარა (საფ) | 10.03.85 |
| 14. გუტი | 31.10.76 |
| 15. როისტონ დრენტე (ჰოლ) | 08.04.87 |
| 22. ჩაბი ალონსო | 25.11.81 |
| 23. ესტებან გრანერო | 02.07.87 |
| რაფაელ ვან დერ ვაარტი (ჰოლ) | 11.02.83 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. რაული | 27.06.77 |
| 9. კრისტიანო რონალდო (პორ) | 05.02.85 |
| 17. რუუდ ვან ნისტელროოი (ჰოლ) | 01.07.76 |
| 19. კარიმ ბენზემა (საფ) | 19.12.87 |
| 20. გონსალო იგუაინი (არგ) | 10.12.87 |

***მწვრთნელი:*** მანუელ პელეგრინი

## სევილია

**დაარსდა:** 1905
**სტადიონი:** სანჩეს პისხუანი (45 500)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ანდრეს პალოპი | 22.10.73 |
| 13. ხავი ვარასი | 10.09.82 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ფედერიკო ფასიო (არგ) | 17.03.87 |
| 3. ივიცა დრაგუტინოვიჩი (სერ) | 13.11.75 |
| 4. სებასტიან სკილაჩი (საფ) | 11.08.80 |
| 14. ჟულიან ესკუდე (საფ) | 17.08.79 |
| 17. სერხიო სანჩესი | 03.04.86 |
| 18. ფერნანდო ნავარო | 25.06.82 |
| 23. ლოლო | 22.08.84 |
| 24. აბდულაი კონკო (საფ) | 09.03.84 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 5. ალდო დუშერი (არგ) | 22.03.79 |
| 6. ადრიანო კორეია (ბრა) | 26.10.84 |
| 7. ხესუს ნავასი | 21.11.85 |
| 8. დიდიე ზოკორა (კ-დივ) | 14.12.80 |
| 11. რენატო (ბრა) | 15.05.79 |
| 15. ალეხანდრო ალფარო | 23.11.86 |
| 16. დიეგო კაპელი | 16.02.88 |
| 20. დუდა (პორ) | 27.06.80 |
| 21. ლაუტარო აკოსტა (არგ) | 14.03.88 |
| 22. ნ'დრი რომარიკი (კ-დივ) | 04.06.83 |
| 25. დიეგო პეროტი (არგ) | 26.07.88 |
| 30. ხოსე კარლოსი | 13.10.86 |
| ტომ დე მული (ბელ) | 04.03.86 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. არუნა კონე (კ-დივ) | 11.11.83 |
| 10. ლუის ფაბიანო (ბრა) | 08.11.80 |
| 12. ფრედერიკ კანუტე (საფ) | 09.02.77 |
| 19. ერნესტო ჩევანტონი (ურუ) | 12.08.80 |
| 30. ხოსე კარლოსი | 17.07.87 |
| ენრიკე კარენიო | 27.11.86 |
| ალვარო ნეგრედო | 20.08.85 |

***მწვრთნელი:*** მანოლო ხიმენესი




ახალ სეზონში ესპანელები ამ ბურთს გააგორებენ

## ატლეტიკო

**დაარსდა:** 1903
**სტადიონი:** ვისენტე კალდერონი (56 142)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. სერხიო ასენხო | 28.06.89 |
| 13. რობერტო | 10.02.86 |
| 26. ხოელი | 17.06.90 |
| 31. დავიდ დე გეა | 07.11.90 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ხუან ვალერა | 21.12.84 |
| 3. ანტონიო ლოპესი | 13.09.81 |
| 4. მარიანო პერნია | 04.05.77 |
| 5. ჯონი ჰეიტინგა (ჰოლ) | 15.11.83 |
| 16. ხუანიტო | 23.07.76 |
| 17. ტომაშ იუფალუში (ჩეხ) | 24.03.78 |
| 18. ალვარო დომინგესი | 15.05.89 |
| 21. ლუის პერეა (კოლ) | 30.01.79 |
| 22. პაბლო | 03.08.81 |
| 24. ლეანდრო კაბრერა (ურუ) | 17.06.91 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 6. იგნასიო კამაჩო | 04.05.90 |
| 8. რაულ გარსია | 11.07.86 |
| 9. ხოსე მანუელ ხურადო | 29.06.86 |
| 11. მაქსი როდრიგესი (არგ) | 02.01.81 |
| 12. პაბლო ასუნსაო (ბრა) | 25.01.80 |
| 19. ხოსე ანტონიო რეიესი | 01.09.83 |
| 23. კლებერ სანტანა (ბრა) | 27.06.81 |
| 28. კოკე | 08.01.92 |
| 29. კეკო | 28.12.91 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. დიეგო ფორლანი (ურუ) | 19.05.79 |
| 10. სერხიო აგუერო (არგ) | 02.06.88 |
| 14. ფლორან სინამა-პონგოლე (საფ) | 20.10.84 |
| 20. სიმაო საბროზა (პორ) | 31.10.79 |
| 27. ბორხა ბასტონი | 25.08.92 |

***მწვრთნელი:*** აბელ რესინო

## ვილიარეალი

**დაარსდა:** 1923
**სტადიონი:** ელ მადრიგალი (26 000)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ხავი ოლივა | 29.05.76 |
| 13. დიეგო ლოპესი | 03.11.81 |
| 26. ხუან კარლოსი | 27.07.87 |
| 29. ვისენტე ფლორი | 05.11.87 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. გონსალო როდრიგესი (არგ) | 10.04.84 |
| 4. დიეგო გოდინი (ურუ) | 16.02.86 |
| 5. ხოან კაპდევილა | 03.02.78 |
| 15. ფაბრისიო ფუენტესი (არგ) | 13.10.76 |
| 17. ხავი ვენტა | 13.12.75 |
| 18. ანხელი | 10.03.81 |
| 20. ივან მარკანო | 23.06.87 |
| 27. ედუ | 02.10.81 |
| 28. მარკო რუბენი (არგ) | 26.10.86 |
| 32. კიკო | 21.08.88 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 6. სებასტიან ეგურენი (ურუ) | 08.01.81 |
| 7. რობერ პირესი (საფ) | 29.01.73 |
| 8. სანტი კასორლა | 13.12.84 |
| 10. კანი | 03.08.81 |
| 11. არიელ იბაგასა (არგ) | 27.10.76 |
| 14. დავიდ ფუსტერი | 03.02.82 |
| 19. მარკოს სენა | 17.07.76 |
| 21. ბრუნო | 12.06.84 |
| 24. დამიან ესკუდერო (არგ) | 20.04.87 |
| 30. მარკოს გულონი | 20.02.89 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. ხოსება ლორენტე | 24.11.79 |
| 12. ნილმარი (ბრა) | 14.07.84 |
| 22. ჯუზეპე როსი (იტა) | 01.02.87 |
| 23. ჯონათან პერეირა | 12.05.87 |

***მწვრთნელი:*** ერნესტო ვალვერდე

## ვალენსია

**დაარსდა:** 1919
**სტადიონი:** მესტალია (53 000)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. სესარ სანჩესი | 02.09.71 |
| 25. მიგელ ანხელ მოია | 02.04.84 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ბრუნო სალტორი | 01.10.81 |
| 4. დავიდ ნავარო | 25.05.80 |
| 5. კარლოს მარჩენა | 31.07.79 |
| 11. ასიერ დელ ორნო | 19.01.81 |
| 12. ტიაგო კარლეტო (ბრა) | 24.03.89 |
| 15. ანხელ დეალბერტი | 01.01.83 |
| 20. ალექსისი | 04.08.85 |
| 22. ჟერემი მატიო (საფ) | 29.10.83 |
| 23. მიგელი (პორ) | 04.01.80 |
| 31. არტურო | 13.03.89 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 3. ედვინჯეს მადურო (ჰოლ) | 13.02.85 |
| 6. დავიდ ალბელდა | 01.09.77 |
| 8. რუბენ ბარახა | 11.07.75 |
| 14. ვისენტე | 16.07.81 |
| 17. ხოაკინი | 21.07.81 |
| 18. მანუელ ფერნანდესი (პორ) | 05.02.86 |
| 19. პაბლო ერნანდესი | 11.04.85 |
| 21. დავიდ სილვა | 08.01.86 |
| 24. ევერ ბანეგა (არგ) | 29.06.88 |
| 26. მიკუ (ვენ) | 19.08.85 |
| 28. ხორდი ალბა | 21.03.89 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. დავიდ ვილია | 03.12.81 |
| 9. ნიკოლა ჟიგიჩი (სერ) | 25.09.80 |
| 16. ხუან მანუელ მატა | 28.04.84 |
| 27. მიჩელი | 29.07.88 |
| 29. დანიელ ოლსინა | 25.02.89 |

***მწვრთნელი:*** ემერი უნაი

## დეპორტივო

**დაარსდა:** 1906
**სტადიონი:** რიასორი (34 611)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. დანიელ არანსუბია | 18.09.79 |
| 13. მანუ | 09.05.86 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. მანუელ პაბლო | 25.01.76 |
| 3. ფილიპე ლუისი (ბრა) | 09.08.85 |
| 4. პიშუ | 25.02.87 |
| 5. ზე კასტრო (პორ) | 13.01.83 |
| 7. ალბერტო ლოპო | 05.05.80 |
| 12. ბრაიან ანგულო (კოლ) | 02.11.89 |
| 15. ლაურე | 22.03.85 |
| 19. დიეგო კოლოტო (არგ) | 10.03.81 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 6. ჟუკა (ბრა) | 19.11.79 |
| 8. სერხიო გონსალესი | 10.11.76 |
| 14. პაბლო ალვარესი | 14.05.80 |
| 16. ანტონიო ტომასი | 19.01.85 |
| 17. ანხელ ლაფიტა | 07.08.84 |
| 18. ანდრეს გუარდადო (მექ) | 28.09.86 |
| 21. ხუან კარლოს ვალერონი | 17.06.75 |
| 22. ხუან როდრიგესი | 01.04.82 |
| 23. ივან პერესი | 16.11.85 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. როდოლფო ბოდიპო | 25.10.77 |
| 10. ადრიან ლოპესი | 08.01.88 |
| 11. რიკი | 11.08.80 |
| 20. ლასად ნუიუი (ტუნ) | 08.03.86 |
| 24. მისტა | 12.11.78 |

***მწვრთნელი:*** მიგელ ანხელ ლოტინა

## მალაგა

**დაარსდა:** 1948
**სტადიონი:** ლა როსალედა (37 151)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ფრანსესკ არნაუ | 23.03.75 |
| 13. გუსტავო მუნუა (ურუ) | 27.01.78 |
| 25. ფრანი | 19.01.88 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ხესუს გომესი | 10.04.85 |
| 3. ველინგტონი (ბრა) | 26.08.79 |
| 14. ელდერ როსარიო (პორ) | 09.03.80 |
| 15. მილან სტეპანოვი (სერ) | 02.04.83 |
| 20. მანოლო | 03.02.81 |
| 26. მანუ | 14.08.89 |
| 28. პედრო ალკალე | 19.03.89 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 4. პედრო მარტი | 22.01.82 |
| 6. ხავი ტორესი | 21.11.86 |
| 8. ფერნანდო | 02.06.79 |
| 11. ვალდო | 23.04.81 |
| 18. ხორდი პაბლო | 01.01.90 |
| 19. პატრიკ მტილიგა (დან) | 28.01.81 |
| 24. ხუანიტო | 17.02.8 |
| 27. ედუ რამოსი | 17.02.92 |
| 30. დავიდ გონსალესი | 20.01.9 |
| 32. პორტილიო | 13.06.9 |
| 33. პოპო | 25.01.88 |
| 34. ოსკარი | 12.07.88 |
| 36. ხავი ლოპესი | 20.04.88 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 5. ალბერტ ლუკე | 11.03.78 |
| 7. ნაბილ ბაა (საფ) | 12.08.81 |
| 9. ფერნანდო ფორესტიერი (იტა) | 16.01.90 |
| 22. ედინიო (პორ) | 07.07.82 |
| 23. ხოსე ხუან ლუკე | 16.10.77 |
| 29. ალექს რუისი | 30.08.90 |
| 31. პედრიტო | 28.04.89 |

***მწვრთნელი:*** ხუან რამონ მუნიოსი

## მალიორკა

**დაარსდა:** 1916
**სტადიონი:** სონ მოისი (23 142)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ხერმან ლუქსი (არგ) | 06.07.82 |
| 13. დუდუ ავატე (ისრ) | 17.10.77 |
| 30. ნასუსეტ პერესი | 01.03.85 |

| მცველები | |
|---|---|
| 3. ხოსემი | 15.11.79 |
| 4. ივან რამისი | 25.10.84 |
| 5. რუბენ გონსალესი | 29.01.82 |
| 7. ფერნანდო ვარელა | 01.09.79 |
| 16. ჟოზე ნუნიესი (პორ) | 07.03.77 |
| 17. აიოსე | 25.05.82 |
| 23. ენრიკე კორალესი | 01.03.82 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 6. მარიო სუარესი | 24.02.87 |
| 15. ტუნი | 14.06.82 |
| 19. ხოსე ლუის მარტი | 28.04.75 |
| 22. ბრუნო ჩინა (პორ) | 05.08.82 |
| 26. დანი კასტელანო | 02.11.87 |
| 28. ალბერტო ლოპესი | 09.03.88 |
| 29. სერხიო ტეხერა | 28.05.90 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. პიერ ვებო (კამ) | 20.01.82 |
| 11. გონსალო კასტრო (ურუ) | 14.09.84 |
| 14. ალასანე კეიტა (გვი) | 26.06.83 |
| 18. ვიქტორი | 28.02.85 |
| 21. არიტს ადურისი | 11.02.81 |
| 27. სერხი ენრიჩი | 26.02.90 |

***მწვრთნელი:*** გრეგორიო მანსანო

## ესპანიოლი

**დაარსდა:** 1900
**სტადიონი:** ლუის კომპანისი (55 000)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. იდრის კარლოს კამენი (კამ) | 18.02.84 |
| 13. ხავი რუისი | 15.03.80 |
| 25. კრისტიან ალვარესი (არგ) | 13.11.85 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ჩიკა | 17.05.85 |
| 3. დავიდ გარსია | 16.01.81 |
| 5. ივან პილუდი (არგ) | 24.04.86 |
| 12. ფაკუნდო რონკალია (არგ) | 10.02.87 |
| 16. ნიკოლას პარეხა (არგ) | 19.01.84 |
| 30. ვიქტორ რუისი | 25.01.89 |
| 31. გილემ სავალი | 26.06.89 |
| 35. დიდაკი | 09.06.89 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 4. ხავი მარკესი | 11.05.86 |
| 7. შუნსუკე ნაკამურა (იაპ) | 24.06.78 |
| 9. ივან დე ლა პენია | 06.05.76 |
| 11. მილან სმილიანიჩი (სერ) | 19.11.86 |
| 14. ანხელი | 31.01.86 |
| 18. ხოან ვერდუ | 05.05.83 |
| 22. მოისეს ურტადო | 20.02.81 |
| 27. ხულიანი | 27.02.87 |
| 28. ოსკარ სილვა | 06.08.91 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 8. ხოსე კალეხონი | 11.02.87 |
| 10. ლუის გარსია | 06.02.81 |
| 17. ბენ საარი (ისრ) | 10.08.89 |
| 20. ფერან კორომინასი | 05.01.83 |

# ესპანეთი. ლა ლიგა 2009/10

| | |
|---|---|
| 23. რაულ ტამუდო | 19.10.77 |
| 24. ივან ალონსო (ურუ) | 10.04.79 |

*მწვრთნელი:* მაურიციო პოჩეტინო

## ალმერია

**დაარსდა:** 1989
**სტადიონი:** ესტადიო მედიტერანეო (15 000)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. დიეგო (ბრა) | 24.06.85 |
| 13. ესტებანი | 27.06.75 |
| 31. ალვარო | 16.08.88 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ერნან პელერანო (არგ) | 04.06.84 |
| 3. გილერმე (ბრა) | 05.02.88 |
| 6. დომინგო სისმა | 09.02.82 |
| 16. მიჩელი (ბრა) | 15.02.90 |
| 18. სანტიაგო აკასიეტე (პერ) | 22.11.77 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 4. ჩიკო | 06.03.87 |
| 7. მიგელ ანხელ ნიეტო | 12.01.86 |
| 8. ალბერტ კრუსატი | 13.05.82 |
| 14. ხულიო ალვარესი | 01.05.81 |
| 15. მიგელ ანხელ კორონა | 12.02.81 |
| 17. ხუან მანუელ ორტისი | 01.03.82 |
| 22. ფაბიან ვარგასი (კოლ) | 17.04.80 |
| 23. ფერნანდო სორიანო | 24.09.79 |
| 25. ერნან ბერნანდელო (არგ) | 03.08.86 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 5. კალუ უჩე (ნიგ) | 15.11.82 |
| 9. ესტებან სოლარი (არგ) | 02.06.80 |
| 10. ხოსე ორტისი | 04.08.77 |
| 11. პაბლო პიატი (არგ) | 31.03.89 |
| 19. ნატალიო ლორენსო | 18.09.84 |
| 21. დავიდ როდრიგესი | 14.02.86 |

*მწვრთნელი:* უგო სანჩესი

## რასინგი

**დაარსდა:** 1913
**სტადიონი:** ელ სარდინერო (22 271)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ფაბიო კოლტორტი (შვეიც) | 03.12.80 |
| 13. ტონიო | 17.12.79 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ნასიეფ მორისი (ს. აფრ) | 16.04.81 |
| 3. ხოსე ანხელ კრესპო | 09.02.87 |
| 4. ლასლო სეპსი (რუმ) | 07.06.86 |
| 14. პაბლო პინილიოსი | 09.07.74 |
| 19. მარკ ტორეხონი | 18.02.86 |
| 21. ზე ანტონიო (პორ) | 14.03.77 |
| 22. ხოსე მორატონი | 14.07.79 |
| 23. კრისტიანი | 15.10.85 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 6. მეჰდი ლასენი (ალჟ) | 15.05.84 |
| 8. გონსალო კოლსა | 05.04.79 |
| 11. ოსკარ სერანო | 30.09.81 |
| 12. მანუელ არანა | 03.12.84 |
| 15. პაპა კული დიოპი (სენ) | 19.03.86 |
| 20. ტონი მორალი | 21.08.81 |
| 27. სერხიო კანალესი | 02.04.91 |
| 28. ედუ ბედია | 23.03.89 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 5. ლუის გარსია | 04.06.78 |
| 7. მოჰამედ ჩიტე | 31.01.84 |
| 10. პედრო მუნიტისი | 19.06.75 |
| 16. ხუანხო | 20.10.85 |
| 17. ალეხანდრე გეიხო (შვეიც) | 05.09.82 |
| 18. ბრიან სარმიენტო (არგ) | 22.04.90 |
| 24. ივან ბოლადო | 03.07.89 |

*მწვრთნელი:* ხუან კარლოს მანდია

## ბილბაო

**დაარსდა:** 1898
**სტადიონი:** სან მამესი (46 500)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. გორკა ირაისოსი | 06.03.81 |
| 13. არმანდო | 16.01.71 |
| 30. იაგო ერერინი | 25.01.88 |
| 35. აიტორ ფერნანდესი | 03.05.91 |

| მცველები | |
|---|---|
| 3. კოიკილი | 23.12.80 |
| 4. უსტარიტისი | 16.02.83 |
| 5. ფერნანდო ამორებიეტა | 21.03.85 |
| 12. მიკელ სან ხოსე | 30.05.89 |
| 15. ანდონი ირაოლა | 22.06.82 |
| 19. ივან სუბიაური | 22.01.83 |
| 20. აიტორ ოსიო | 28.11.76 |
| 22. ჩაბიერ კასტილიო | 29.03.86 |
| 29. ენეკო ბოვედა | 14.12.88 |
| 32. უნაი მედინა | 16.02.90 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 2. გაისკა ტოკერო | 09.08.84 |
| 6. ჩაბიერ ეჩეიტა | 31.10.87 |
| 7. დავიდ ლოპესი | 10.09.82 |
| 8. ინიაკი მუნიოსი | 05.07.78 |
| 10. ფრანსისკო იესტე | 06.12.79 |
| 11. იგორ გაბილონდო | 10.02.79 |
| 14. მარკელ სუსაეტა | 14.12.87 |
| 16. პაბლო ორბაისი | 06.02.79 |
| 18. კარლოს გურპეგი | 19.09.80 |
| 24. ხავი მარტინესი | 02.09.88 |
| 26. ანდერ იტურასპე | 08.03.89 |
| 28. ოსკარ დე მარკოსი | 14.04.89 |
| 31. ადრიენ გონი | 25.08.88 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. ფერნანდო ლორენტე | 26.02.85 |
| 17. ხოსება ეჩებერია | 05.09.77 |
| 21. იონ ველესი | 17.02.85 |
| 23. ინიგო დიას დე სერიო | 15.05.84 |
| 27. იკერ მუნიაინი | 19.12.92 |
| 33. ისმაელ ლოპესი | 29.01.90 |
| 34. იონ ეჩანისი | 10.01.91 |

*მწვრთნელი:* ხოაკინ კაპაროსი

## სპორტინგი

**დაარსდა:** 1905
**სტადიონი:** ელ მოლინიონი (25 885)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ხუან პაბლო | 02.09.78 |
| 13. ივან კუელარი | 25.05.84 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ალბერტო ბოტია | 27.01.89 |
| 3. ხოსე ანხელი | 05.09.89 |
| 12. გრეგორი ამორიმი (საფ) | 10.11.80 |
| 16. ხერარდი | 08.10.78 |
| 22. რაფაელ სასტრე | 22.10.75 |
| 24. სერხიო მატაბუენა | 12.02.79 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 4. ანდრეუ | 17.06.83 |
| 5. ალბერტო რივერა | 19.02.78 |
| 6. კარმელო | 09.07.83 |
| 7. პედრო | 10.03.84 |
| 8. მიჩელი | 09.11.85 |
| 10. ფრანსისკო მალდონადო | 02.06.81 |
| 11. ალბერტო ლორა | 25.03.87 |
| 14. ივან ერნანდესი | 27.02.80 |
| 15. რობერტო კანელა | 07.02.88 |
| 19. დიეგო კამაჩო | 03.10.76 |
| 20. მიგელი | 19.06.86 |
| 21. კიკე მატეო | 30.12.79 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. მატე ბილიჩი (ხორ) | 23.10.80 |
| 17. დიეგო კასტრო | 02.07.82 |
| 18. ლუის მორანი | 26.07.87 |
| 23. დავიდ ბარალი | 10.05.83 |

*მწვრთნელი:* მანუელ პრესიადო

## ვალიადოლიდი

**დაარსდა:** 1928
**სტადიონი:** მუნისიპალ ხოსე სორილა (26 512)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ხუსტო ვილარი (პარ) | 30.06.77 |
| 13. ფაბრისიო | 31.12.87 |
| 25. ხაკობო | 10.07.83 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ანტონიო ბარაგანი | 12.06.87 |
| 3. ალბერტო მარკოსი | 15.02.74 |
| 4. ნივალდო (ბრა) | 23.06.80 |
| 8. ხავიერ ბარახა | 24.08.80 |
| 16. პედრო ლოპესი | 01.01.83 |
| 17. ლუის პრიეტო | 19.02.79 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 5. ჰარის მედუნიანინი (ჰოლ) | 08.03.85 |
| 6. პელე (პორ) | 14.09.87 |
| 7. ასიერი | 28.03.87 |
| 10. ბორხა ფერნანდესი | 14.01.81 |
| 12. ალვარო ანტონი | 28.12.83 |
| 14. ექტორ ფონტი | 15.06.84 |
| 18. ალვარო რუბიო | 18.04.79 |
| 19. ჯონათან სესმა | 14.11.78 |
| 20. ფაბიან კანობიო (ურუ) | 08.03.80 |
| 22. ნაუსეტ ალემანი | 25.02.85 |
| 23. მარკიტოსი | 21.03.87 |
| 24. სესარ არსო | 21.01.86 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. მანუჩო (ანგ) | 07.03.83 |
| 11. ალბერტო ბუენო | 20.03.88 |
| 15. დიეგო კოსტა (ბრა) | 07.10.88 |
| ბარტოლომეუ ოგბეჩე (ნიგ) | 01.10.84 |

*მწვრთნელი:* ხოსე ლუის მენდილიბარი

## ოსასუნა

**დაარსდა:** 1920
**სტადიონი:** რეინო დე ნავარა (25 000)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. რიკარდო | 30.12.71 |
| 13. რობერტო | 25.01.79 |

| მცველები | |
|---|---|
| 3. ნაჩო მონრეალი | 26.02.86 |
| 4. მიგელ ფლანიო | 19.08.84 |
| 5. როვერსიო (ბრა) | 17.01.84 |
| 14. ხოსეტო | 25.02.75 |
| 23. სერხიო ფერნანდესი | 23.05.77 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 2. სესარ ასპილიკუეტა | 28.08.89 |
| 6. ჯავად ნექუნამი (ირან) | 07.09.80 |
| 7. ლუდოვიკ დელპორტი (საფ) | 06.02.80 |
| 8. მასუდ შოჯაეი (ირან) | 09.06.84 |
| 10. პაჩი პუნიალი | 06.09.75 |
| 12. ხუანფრანი | 09.01.85 |
| 15. ოიერ სანხურხო | 25.05.86 |
| 19. ხავიერ კალეხა | 12.05.78 |
| 21. კრისტიან ვადოჩი (უნგ) | 30.05.85 |
| 22. რუპერი | 04.06.87 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. ხავიერ პორტილიო | 30.03.82 |
| 11. ვალტერ პანდიანი (ურუ) | 27.04.76 |
| 16. ხორხე გალანი | 22.01.89 |
| 18. დადი (კ-ვერ) | 13.08.81 |
| 20. კარლოს არანდა | 27.07.80 |

*მწვრთნელი:* ხოსე ანტონიო კამაჩო

## ხეტაფე

**დაარსდა:** 1983
**სტადიონი:** კოლიზეუმ ალფონსო პერესი (15000)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ოსკარ უსტარი (არგ) | 03.07.86 |
| 13. ხორდი კოდინა | 27.04.82 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. დანიელ დიასი (არგ) | 13.03.79 |
| 3. მანე | 22.12.81 |
| 4. დავიდ ბელენგერი | 17.12.72 |
| 5. პედრო მარიო | 02.02.82 |
| 11. კოზმინ კონტრა (რუმ) | 15.12.75 |
| 12. ლუკას ლიხტი (არგ) | 06.04.81 |
| 15. რაფა | 09.04.85 |
| 19. ფრანკ სინიორინო (იტა) | 19.09.81 |
| 20. იბრაჰიმ ქაში (თურ) | 20.09.86 |
| 21. დავიდ კორტესი | 29.08.79 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 6. ფაბიო სელესტინი (შვეიც) | 31.10.75 |
| 8. ხაიმე გავილანი | 12.05.85 |
| 10. ხუან ალბინი (ურუ) | 17.07.86 |
| 16. პედრო რიოსი | 12.12.81 |
| 17. დანიელ პარეხო | 16.04.89 |
| 18. დერეკ ბოატენგი (გან) | 02.05.83 |
| 22. ხავი კასკერო | 19.08.76 |
| 23. ადრიან გონსალესი | 25.05.88 |
| 24. ნაჩო | 24.06.80 |
| 25. პედრო ლეონი | 24.11.86 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. კეპა | 13.01.84 |
| 9. რობერტო სოლდადო | 27.05.85 |
| 14. მანუ დელ მორალი | 25.02.84 |

*მწვრთნელი:* მიჩელი

## ხერესი

**დაარსდა:** 1947
**სტადიონი:** დეჩაპინი (20 742)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ჩემა | 25.04.80 |
| 13. რენანი (ბრა) | 24.01.85 |
| 30. ტონი | 15.02.88 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. ხუან ლუის რედონდო | 17.01.77 |
| 3. ხესუს მენდოსა | 23.02.77 |
| 5. ლეანდრო ხიოდა (არგ) | 01.10.84 |
| 14. ვიქტორ სანჩესი | 08.09.87 |
| 18. დავიდ პრიეტო | 02.01.83 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 6. ვისენტე მორენო | 26.10.74 |
| 7. ფრანსისი | 17.12.81 |
| 10. ემილიო ხოსე ვიკეირა | 20.09.74 |
| 11. მომო | 15.07.82 |
| 16. ემილიანო არმენტეროსი (არგ) | 18.01.86 |
| 19. კარლოს კალვო | 18.09.85 |
| 20. აბელი | 20.02.82 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 8. ანტონიტო | 02.02.78 |
| 9. მარიო ბერმეხო | 07.10.78 |
| 17. მიჩელი | 03.08.77 |

*მწვრთნელი:* ხოსე ანხელ სიგანდა

## ტენერიფე

**დაარსდა:** 1922
**სტადიონი:** ელიოდორო როდ. ლოპესი (24 000)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ლუის გარსია | 23.04.79 |
| 13. სერხიო არაგონესესი | 01.02.77 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. მარკ ბერტრანი | 22.05.82 |
| 3. ექტორი | 31.03.85 |
| 6. პაბლო სიცილია | 10.09.81 |
| 19. ესეკილ ლუნა (არგ) | 19.11.86 |
| 24. ხოსე ანტონიო კულებრასი | 16.01.79 |
| 26. აიტორ ნუნიესი | 02.10.87 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 4. კარლოს ბელვისი | 24.04.85 |
| 5. მანოლო | 15.06.80 |
| 8. რიკარდო | 08.02.83 |
| 10. აიოსე | 22.11.85 |
| 14. დანიელ ნგომ კონე (კამ) | 19.05.80 |
| 15. რომან მარტინესი (არგ) | 27.03.83 |
| 17. ხუანლუ | 07.02.84 |
| 23. მიკელ ალონსო | 16.05.80 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 7. ნინიო | 10.06.80 |
| 9. ანხელი | 26.04.87 |
| 11. გაისკა საისარი | 22.07.80 |
| 20. რიჩი | 14.04.77 |

*მწვრთნელი:* ხოსე ლუის ოლტრა

## სარაგოსა

**დაარსდა:** 1932
**სტადიონი:** ლა რომარედა (34 596)

| მეკარეები | |
|---|---|
| 1. ლოპეს ვალიეხო | 22.09.75 |
| 13. ხუან პაბლო კარისო (ურუ) | 06.05.84 |

| მცველები | |
|---|---|
| 2. კარლოს დიოგო (ურუ) | 18.07.83 |
| 3. ხავიერ პარედესი | 05.07.82 |
| 4. რობერტო აიალა (არგ) | 14.04.73 |
| 5. პაბლო ამო | 15.01.78 |
| 6. რაულ გონი | 07.10.83 |
| 15. ფრანსისკო პავონი | 09.01.81 |
| 22. ჯულიდო | 02.02.79 |
| 26. ვიქტორ ლაგარდია | 30.11.89 |
| პაბლო დე ბაროსი (ბრა) | 03.08.89 |
| ივან ობრადოვიჩი (სერ) | 25.07.88 |

| ნახევარმცველები | |
|---|---|
| 7. ხორხე ლოპესი | 19.09.78 |
| 8. ანდერ ერერა | 14.08.89 |
| 11. ჯერმეინ პენანტი (ინგ) | 15.01.83 |
| 12. ფრანკ სონგო'ო (კამ) | 05.02.85 |
| 14. გაბი | 10.07.83 |
| 16. აბელ აგილარი (კოლ) | 06.01.85 |
| 17. ანტონიო იდალგო | 08.02.79 |
| 20. მარკო ბაბიჩი (ხორ) | 28.01.81 |
| 23. ლეონარდო პონსიო (არგ) | 29.01.82 |
| პეტერ ლუქსენი (საფ) | 09.04.79 |

| თავდამსხმელები | |
|---|---|
| 9. უჩე იკეჩუკვუ (ნიგ) | 05.01.84 |
| 10. ბრაულიო | 18.09.85 |
| 19. არისმენდი | 03.03.84 |
| 21. ევერტონი (ბრა) | 10.06.81 |

*მწვრთნელი:* მარსელინო გარსია ტორალი

## ზაფხულის ესპანური ტრანსფერები

### ბარსელონა

**მივიდნენ:** იბრაჰიმოვიჩი (ინტერი), მაქსველი (ინტერი), კეირისონი (პალმეირასი), ენრიკე (ლევერკუზენი), ჩიგრინსკი (შახტარი).

**წავიდნენ:** ეტო'ო (ინტერი), გლები (შტუტგარტი), კასერესი (იუვენტუსი), კეირისონი (ბენფიკა), სილვინიო (მანჩესტერ სიტი), ხავი ტორესი (მალაგა), ვიქტორ სანჩესი (ხერესი), ბოტია (სპორტინგი), ხორკერა.

### რეალი

**მივიდნენ:** კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნ), კაკა (მილანი), ბენზემა (ლიონი), რაულ ალბიოლი (ვალენსია), ნეგრედო (ალმერია), გრანერო (ხეტაფე), არბელოა (ლივერპული), ჩაბი ალონსო (ლივერპული), გარაი (რასინგი).

**წავიდნენ:** კანავარო (იუვენტუსი), ჰუნტელაარი (მილანი), ჰაინცე (მარსელი), სავიოლა (ბენფიკა), ფობერი (ვესტ ჰემი), კოდინა (ხეტაფე), ბუენო (ვალიადოლიდი), ხავი გარსია (ბენფიკა), პარეხო (ხეტაფე), ნეგრედო (სევილია), პალანკა (კასტელონი), დე ლა რედი, მიჩელ სალგადო (ბოლტონი), რობენი (ბაიერნი), სნეიდერი (ინტერი).

### სევილია

**მივიდნენ:** ზოკორა (ტოტენჰემი), სერხიო სანჩესი (ესპანიოლი), ნეგრედო (რეალი), დუდა (მალაგა), ლოლო (მალაგა), დე სანქტისი (გალათასარაი), დე მული (გენკი), ალფარო (ტენერიფე), რუისი (კორდობა).

**წავიდნენ:** კრესპო (რასინგი), მოსკერა (ამერიკა), მარესკა (ოლიმპიაკოსი), დე სანქტისი (ნაპოლი), პრიეტო (ხერესი), არმენტეროსი (ხერესი), ხავი ნავარო (დაასრულა კარიერა).

### ატლეტიკო

**მივიდნენ:** ხუანიტო (ბეტისი), ხურადო (მალიორკა), კლებერ სანტანა (მალიორკა), რეიესი (ბენფიკა), ვალერა (რასინგი), ლეანდრო კაბრერა (დეფენსორი), სერხიო ასენხო (ვალიადოლიდი), სებასტიან გალიეგოსი (დანუბიო), რობერტო ხიმენესი (რეკრეატივო).

**წავიდნენ:** მანიშე (კიოლნი), ლეო ფრანკო (გალათასარაი), დე ლას კუევასი (სპორტინგი, ხ), გრეგორი კუპე (პსჟ), დიეგო კოსტა (ვალიადოლიდი), აიტორი ნუნიესი (ტენერიფე), ევერ ბანეგა (ევერტონი), ლუის გარსია (რასინგი), ხერმან პაჩეკო (ვალენკანო), ბერნაბე (სალამანკა), სეიტარიდისი.

### ვილიარეალი

**მივიდნენ:** ნილმარი (ინტერნასიონალი), მარკანო (რასინგი), მონტერო (ინდეპენდიენტე ხოსე ტარანი), ოლივე (კასტელონი), ფუსტერი (ელჩე), პერეირა (რასინგი), ესკუდერო (ვალიადოლიდი), მარკიტოსი (სოსიედადი), რუბენი (რეკრეატივო), სომოსა (ველესი).

**წავიდნენ:** მატიას ფერნანდესი (სპორტინგი, ლ), ნიჰათი (ბეშიქთაში), მარკიტოსი (ვალიადოლიდი), არსო (ვალიადოლიდი), ალტიდორი (ჰალი), სიგანი (კარტახენა).

### ვალენსია

**მივიდნენ:** დეალბერტი (კასტელონი), მატიო (ტულუზა), ბრუნო (ალმერია), მოია (მალიორკა), ჟიგიჩი (რასინგი), ბანეგა (ატლეტიკო), ნავარო (მალიორკა), სანი (ოსასუნა), მონტორო (მურსია), გონსალესი (ნიუკასლი).

**წავიდნენ:** რაულ ალბიოლი (რეალი), ბელვისი (ტენერიფე), ედუ (კორინთიანსი), გუაიტა (რეკრეატივო), მორეტი (ჯენოა), რენანი (ხერესი), უგო ვიანა (ბრაგა), სანი (ბეტისი), კურო ტორესი (ხიმნასტიკი), მორიენტესი (მარსელი).

### დეპორტივო

**მივიდნენ:** ჟუკა (პარტიზანი), ჩიკო ანგულო (ლეიქსოეში), ადრიანი (მალაგა), ბრავო (ტიგრესი), ტაბორდა (ალიკანტე), არტილესი (ხერესი).

**წავიდნენ:** ვერდუ (ესპანიოლი), ბარაგანი (ვალიადოლიდი), ფაბრისიო (ვალიადოლიდი), რუბენ კასტრო (ვალეკანო), კრისტიანი (ერკულესი).

### მალაგა

**მივიდნენ:** ხავი ტორესი (ბარსელონა), ალვარო სილვა (ხერესი), მტილიგა (ბრედა), ვალდო (ესპანიოლი), ომარი (სპორტინგი, ხ), ფორესტიერი (ჯენოა), სტეპანოვი (პორტუ), ედინიო (აეკ), ლუკე (აიაქსი), ხორდი პაბლო (ვილიარეალი), ხუანიტო (ალმერია), მუნუა, ბენაშური.

**წავიდნენ:** გოიტია (ბეტისი), კალეხა (ოსასუნა), ნაჩო (ხეტაფე), მიგელ ანხელი (ხიმნასტიკი), ელისეუ (ლაციო), ალვარო სილვა (კადისი), დუდა (სევილია), ლოლო (სევილია), ადრიანი (დეპორტივო), დე ბაროსი (სარაგოსა), ადრიანო (ინტერნასიონალი), ლუკე (აიაქსი).

### მალიორკა

**მივიდნენ:** ტეხერა (ჩელსი), რუბენ გონსალესი (სელტა), ჩინა (ლეიქსოეში), ნსუე (კასტელონი), კრესპი (ხერესი), ადროვერი (ერკულესი), დიასი (სელტა), კასადესუსი (ხიმნასტიკი), გუერა (ალავესი).

**წავიდნენ:** არანგო (ბორუსია, მ), მოია (ვალენსია), კასტანიო (სარაგოსა), ნსუე (სოსიედადი), ხავი გერო (ლევანტე), კარმონა (რეკრეატივო), ნავარო (ვალენსია).

### ესპანიოლი

**მივიდნენ:** ვერდუ (დეპორტივო), ნაკამურა (სელტიკი), კამაჩო (კარაკასი), ველიტონი (იგუასუ), ბენ საარი (ჩელსი), პილუდი (ტირო ფედერალი), რონკალია (ბოკა ხუნიორსი), ფორლინი (ბოკა ხუნიორსი), ჟონათასი (ფლამენგო), ლოპესი (პანთრაკიკოსი).

**წავიდნენ:** ლაკრუსი, ველიტონი (პანიონიოსი), ხორდი გომესი (უიგანი), ვალდო (მალაგა), ტორეხონი (რასინგი), სერხიო სანჩესი (სევილია), ფინენი, ედუარდო კოსტა (მონაკო), რუფეტე (ერკულესი), ჟონათასი (ბოტაფოგო), სიტო რიერა (პანიონიოსი), კასილია (კადისი), ნენე (მონაკო)

### ალმერია

**მივიდნენ:** დავიდ როდრიგესი (სელტა), დომინგო სისმა (ნუმანსია), ერნან ბერნარდელიო (ნიუელსი), გოიტომი (ვალიადოლიდი), ნიკიტა ანდრეევი (ლევადია).

**წავიდნენ:** მანე (ხეტაფე), ბრუნო სალტორი (ვალენსია), კარლოს გარსია (ბეტისი), ირინეი (ბეტისი), ალვარო ნეგრედო (რეალი), ხუანიტო (მალაგა), ნატალიო (მურსია), სოლარი.

### რასინგი

**მივიდნენ:** არანა (კასტელონი), მორისი (პანათინაიკოსი), ტორეხონი (ესპანიოლი), გეიხო (ლევანტე), ლუის გარსია (ატლეტიკო), დიოპი (ხიმნასტიკი), სმოლიარეკი (ბოლტონი), ვიტოლო (არისი), სარმიენტო (ხერესი), ხუანხო (ალავესი), ისმოდესი (ეიბარი), ბოლადო (ელჩე), ვალიე, პორტილია (პონფერადინა), შეტელა (ბრეშია)

**წავიდნენ:** გონკალვეში (გიმარაეში), მარკანო (ვილიარეალი), პორტილია (სპორტინგი ხ), ვიტოლო, სმოლიარეკი, ისმოდესი (სპორტინგ კრისტალი), ვალიე (სპორტინგი ხ), გარაი (რეალი), პერეირა (ვილიარეალი), პერეირა (ვალენსია), ჟიგიჩი (სარაგოსა), ლუის ფერნანდესი.

### ბილბაო

**მივიდნენ:** დიას დე სერიო (სოსიედადი), სუბიაური (ელჩე), ტიკო (ეიბარი), ჩაბიერ კასტილიო (სოსიედადი), ოსკარ დე მარკოსი (ალავესი), მიკელ სან ხოსე (ლივერპული).

**წავიდნენ:** დელ ოლმო (ერკულესი), კასასი (კარტახენა), ლაფუენტე (ნუმანსია), ინიგო ველესი (ნუმანსია), გარმენდია (ნუმანსია), ბალენსიაგა (ნუმანსია), ტიკო.

### სპორტინგი

**მივიდნენ:** რივერა (ბეტისი), ხუან პაბლო (ნუმანსია), ბარბერა (ატლეტიკო), პორტილია (რასინგი), ვალიე (რასინგი), ბოტია (ბარსელონა), არნოლინი (გიმარაეში), ლოპესი (ბარსელონა B), ალონსო, ლანდეირა (მელილია).

**წავიდნენ:** ომარი (მალაგა), კიკე მატეო (მურსია), ლაფუენტე (ბილბაო).

### ოსასუნა

**მივიდნენ:** კალეხა (მალაგა), არანდა (ნუმანსია), კამუნიასი (რეკრეატივო), ერიცე (კადისი), ესპარსა, მედინა (უესკა).

**წავიდნენ:** ხავიერ ფლანიო (ნუმანსია), პლასილი (ბორდო), ფონტი (ვალიადოლიდი), მარგაირასი (ციურიხი), სანი (ვალენსია), იდალგო (სარაგოსა), კრუჩაგა (დაასრულა კარიერა).

### ვალიადოლიდი

**მივიდნენ:** ხაკობო (ხეტაფე), ასიერი (ხერესი), ნაუსეტი (ლას პალმასი), ექტორ ფონტი (ოსასუნა), ნივალდო (ალ-საადი), დიეგო კოსტა (ატლეტიკო), ფაბრისიო (დეპორტივო), ანტონიო ბარაგანი (დეპორტივო), ალბერტო ბუენო (კასტილია), მანუშუ (მანჩესტერ იუნ), პელე (პორტუ), სესარ არსო (ვილიარეალი), მარკოსი (ვილიარეალი), სისი (რეკრეატივო).

**წავიდნენ:** ვიქტორი (კარტახენა), სერხიო ასენხო (ატლეტიკო), ხესუს რუედა (კორდობა), კიკე (სალამანკა), გოიტომი (ალმერია), გარსია კალვო (დაასრულა კარიერა), ესკუდერო (ვილიარეალი).

### ხეტაფე

**მივიდნენ:** მანე (ალმერია), დერეკ ბოატენგი (კიოლნი), ნაჩო (მალაგა), პედრო რიოსი (ხერესი), კოდინა (რეალი), პარეხო (რეალი), სოუსა (ვალეკანო), კარდაჩო (მილანი), ვიუდესი (მილანი).

**წავიდნენ:** ხაკობო (ვალიადოლიდი), პალარდო (ლევანტე), ოკეჩუკვუ (სარაგოსა), სტოიკოვიჩი (სპორტინგი ლ), სოუსა (ალბასეტე), გრანერო (რეალი), ჟოფრე გერონი (კრუზეირო), იბრაჰიმ ქაში (ბეშიქთაში).

### ხერესი

**მივიდნენ:** რენანი (ვალენსია), გიოდა (ინდეპენდიენტე), პრიეტო (სევილია), არმენტეროსი (სევილია), კასადო (სევილია), ვიქტორ სანჩესი (ბარსელონა), ჯანკარლო მალდონადო (ატლანტე), ბერგანტინოსი (დეპორტივო).

**წავიდნენ:** ალვარო სილვა (მალაგა), კრესპი (მალიორკა), პედრო რიოსი (ხეტაფე), სარმიენტო (რასინგი), ასიერი (ვალიადოლიდი), აიტამი (დეპორტივო), კალე (ხიმნასტიკი), ლუკე (კორდობა).

### ტენერიფე

**მივიდნენ:** კარლოს ბელვისი (ვალენსია), აიტორ ნუნიესი (ატლეტიკო), რომან მარტინესი (ესპანიოლი), დინეი (ატ. პარანაენსე).

**წავიდნენ:** სენდეროსი (მალიორკა), სუსო (ჰართსი), მარერო (დაასრულა კარიერა), ოსკარ პერესი, კლავერო (კარტახენა), ირიომე (რეკრეატივო).

### სარაგოსა

**მივიდნენ:** ლაფიტა (დეპორტივო), პაბლო ამო ლაფიტა (დეპორტივო), პაბლო დე ბაროსი (მალაგა), კარისო (ლაციო), უჩე ოკეჩუკვუ (ხეტაფე), ჯერმეინ პენანტი (ლივერპული), ანტონიო იდალგო (ოსასუნა), აბელ აგილარი (უდინეზე), რობერტო კანელია (სპორტინგი, ხ), ბაბიჩი (ჰერტა), ობრადოვიჩი (პარტიზანი), ლუქსენი (რასინგი).

**წავიდნენ:** საპატერი (ჯენოა), კაფა (ბეტისი), პინიოლი (ლას პალმასი), ვისენტე პასკუალი (რეკრეატივო), მათუსალემი (ლაციო), ჩუმ ერერო (კარტახენა), ხენერელო (ელჩე), დობლასი.

**გვერდები მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი

ლა ლიგა BBVA სეზონისა და I ტურის წინ

# BIENVENIDOS!

## ესპანეთი მობრძანდება

| დღეს | |
|---|---|
| რეალი-დეპორტივო | 22:00 |
| სარაგოსა-ტენერიფე | 00:00 |
| **ხვალ** | |
| ბილბაო-ესპანიოლი | 19:00 |
| მალაგა-ატლეტიკო | 19:00 |
| მალიორკა-ხერესი | 19:00 |
| ოსასუნა-ვილიარეალი | 19:00 |
| რასინგი-ხეტაფე | 19:00 |
| ვალენსია-სევილია | 21:00 |
| ალმერია-ვალიადოლიდი | 23:00 |
| **ზეგ** | |
| ბარსელონა-სპორტინგი | 00:00 |

რაც ეს ლიგა არსებობს, ჩემპიონატის წინ მუდმივი და მთავარი კითხვა ერთია - „რეალი“ თუ „ბარსელონა“? კითხვამ ათწლეულებს... უკვე თითქმის საუკუნეს გაუძლო. თუმცა ის სეზონი, რომელიც დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ აილებს სტარტს, მაინც გამორჩეულია - „რეალის“ ზაფხულის სატრანსფერო რევოლუციამ მადრიდში ლამის მსოფლიოს ნაკრები შეკრიბა და რადგან ერთი ასეთი ნაკრები ესპანეთის ჩემპიონატში უკვე იყო, გამოდის, რომ ერთ ლიგაში მსოფლიოს ორი ნაკრების დაპირისპირების მომსწრენი გავხდებით. გაბედეთ და თქვით, რომ ეს ხმამაღლა ნათქვამი სიტყვებია...

### სტარტი ბერნაბეუზე

მაშ ასე, დღეს საღამოს სტარტს იღებს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო (თუ ყველაზე არა) საკლუბო ჩემპიონატი, ესპანეთის საფეხბურთო ლიგის პრიმერა დივიზიონი, ხალხში ცნობილი, როგორც ლა ლიგა. 2008 წლიდან ლიგის ოფიციალურ დასახელებას ესპანეთის სიდიდით მეორე ბანკ BBVA -ს აბრევიატურაც ემატება, როგორც ლიგის მთავარი სპონსორის. ჩემპიონატი 1928 წლიდან იმართება და მისი პირველი და, ჯერჯერობით ბოლო გამარჯვებულიც „ბარსელონაა“. ყველაზე ტიტულოვანი ესპანური კლუბი მაინც „სამეფო კლუბია“, „რეალმა“ ტიტული 31-ჯერ მოიპოვა, „ბარსამ“ კი - 19-ჯერ. სხვა კლუბებს კი ტიტული 28-ჯერ შეხვდათ (9 - მადრიდის „ატლეტიკო“; 8 - ბილბაოს „ატლეტიკი“; 6 - „ვალენსია“; 2 - „რეალ სოსიედადი“; 1 - „დეპორტივო“, „სევილია“, „რეალ ბეტისი“). ლა ლიგის არსებობის ისტორიაში პრიმერაში სულ 58 გუნდს უასპარეზია, აქედან მხოლოდ „რეალი“, „ბარსელონა“ და „ბილბაო“ არასოდეს გავარდნილან. ჩემპიონატის მატჩებს საშუალოდ 29 ათასამდე გულშემატკივარი ესწრება, ფეხბურთში ეს მესამე შედეგია ბუნდესლიგისა და პრემიერლიგის შემდეგ.

ერთი ინტრიგის შესახებაც, ლა ლიგის ყველა დროის ბომბარდირი ლეგენდარული ბასკი ფეხბურთელი **ტელმო სარაა**, რომელმაც 1940-55 წლებში „ატლეტიკის“ მაისურით 278 თამაშში 251 გოლი გაიტანა. სარა სამი წლის წინათ გარდაიცვალა ბილბაოში, მის სიცოცხლეში ვერავინ შეძლო გადასწრება, მაგრამ წლეულს მადრიდის „რეალის“ ფორვარდ **რაულს** შესანიშნავი შანსი აქვს, მას პრიმერაში უკვე 223 გოლი აქვს გატანილი... 28-ით ნაკლები რეკორდამდე. ამდენი გოლი რაულს ერთ სეზონში არასოდეს გაუტანია, თუმცა ვინ იცის... თანაც რაულს სარას გადასწრების შანსი შემდეგ სეზონშიც ხომ მიეცემა.

სეზონი დღეს იწყება და 16 მაისს დასრულდება. მასში ტრადიციულად 20 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ყველა თამაშში სპეციალურად ლა ლიგის, პრემიერლიგის და სერია A-ს ახალი სეზონისთვის დამზადებული ნაიკის ბურთით „ტ 90 ასენტეთი“ ითამაშებენ. გასული სეზონის შემდეგ პრიმერა დატოვეს „ბეტისმა“, „ნუმანსიამ“ და „უელვამ“. მათ მაგივრად კი „ხერესი“, ‘სარაგოსა“ და „ტენერიფე“ ითამაშებენ. თუკი „სარაგოსა“ ესპანეთის ერთ-ერთი ტრადიციული კლუბია, რომელსაც ესპანეთის თასი 6-ჯერ მოუგია, აღებული აქვს უეფა-ს თასიც, სეგუნდა დივიზიონის გამარჯვებული „ხერესი“ ელიტაში პირველადაა. კანარის კუნძულების წარმომადგენელ „ტენერიფეს“ კი პრიმერაში 12 სეზონი გაუტარებია. 20 ელიტური გუნდიდან 17-ს ესპანელი გაუძღვება, სამს კი - ლეგიონერი მწვრთნელი. „რეალის“ მთავარი მწვრთნელი ჩილელი **მანუელ პელეგრინი**, „ალმერიას“ მექსიკელი **უგო სანჩესი** წვრთნის, ხოლო „ესპანიოლს“ არგენტინელი **მაურიჩიო პოჩეტინიო**.




### პროგნოზები და ფსონები

„რეალი“ და „ბარსელონა“ დიდი ხანია იქცა ორ ფინანსურ თავკომბალად ლა ლიგაში და ეს ძალიან ბევრს არ მოსწონს. **ანხელ ბარახასი**, ვიგოს უნივერსიტეტის პროფესორი, საფეხბურთო ეკონომიკის ექსპერტი მიიჩნევს, თავი და თავი პრობლემისა, ტელევიზიებთან გაფორმებული კონტრაქტებია. ესპანეთში, ევროპისგან განსხვავებით, პრიმერას გუნდები ინდივიდუალურ კონტრაქტებს დებენ სატელევიზიო კომპანიებთან. და მაშინ, როცა „რეალი“ და „ბარსელონა“ სეზონში ათეულმილიონობით ევროს შოულობენ, სხვებს მხოლოდ ნარჩენები ხვდებათ. შედეგიც სახეზეა, „რეალმა“ ამ ზაფხულს 250 მილიონი ევრო დახარჯა ფეხბურთელების შეძენაზე, „ბარსელონამ“, რომელსაც დიდი აქტიურობა არც ესაჭიროებოდა, **დმიტრო ჩიგრინსკის** მომავალი ტრანსფერის გათვალისწინებით - 100 მილიონი ევრო. მაშინ როცა, „ვალენსიამ“ თავს უფლება მხოლოდ 7,5 მილიონი ევროს დახარჯვაზე მისცა. ფინანსური პოლარიზაცია გრძელდება და ის სახიფათო სახეს იღებს.

ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, ესპანეთის ჩემპიონი, თასის და სუპერთასის მფლობელი „ბარსელონა“ მაინც უპირველესი ფავორიტია ახალი ჩემპიონატის. ახალი „გალაქტიკოსი“ უფრო პრეტენდენტად მიიჩნევა, მიუხედავად უდიდესი ინვესტიციებისა და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამოჩენილ სუპერვარსკვლავთა მთელი ჯგუფისა. მოდი, პროგნოზების ყველაზე ავტორიტეტულ და ტრადიციულ წყაროს მივმართოთ - ბრიტანულ საბუკმეკერო კანტორა „უილიამ ჰილს“...

ამ კანტორაში ყველაფერი გათვლილი აქვთ, და გვერწმუნეთ, იქ ფეხბურთის ძალიან კარგად მცოდნე ექსპერტები მუშაობენ. მაშ ასე, კითხვაზე, ვინ გახდება ესპანეთის ახალი სეზონის ჩემპიონი, „უილიამ ჰილი“ გვპასუხობს: 1. „ბარსელონა“ - 1,91; 2. „რეალი“ - 2,10; 3. „სევილია“ - 13,0; 4. „ატლეტიკო“ - 17,0; 5. „ვილიარეალი“ - 26; 6. „ვალენსია“ - 41,0, უფრო იქით უკვე უინტერესოა, ფსონი სამნიშნა რიცხვებს უტოლდება. პრიმერადან გავარდნის ფავორიტები: 1. „ხერესი“ - 1,73; 2. „ტენერიფე“ - 2,0; 3. „სპორტინგი“ - 2,25; 4. „ვალიადოლიდი“ - 3,25; 5. „ოსასუნა“ - 3,75; 6. „ხეტაფე“ - 5.0. „რეალის“ და „ბარსელონას“ ლიგიდან გავარდნაზე უზარმაზარი ფსონებია, 2000 და 2501, რა თქმა უნდა, ეს ფანტასტიკის სფეროა, მაგრამ, აი, მესამე გუნდი, რომელსაც არასოდეს დაუტოვებია ესპანური ელიტა, ბილბაოს „ატლეტიკი“ ფრთხილად უნდა იყოს, მისი გავარდნის „შანსები“ „უილიამ ჰილმა 9,0 ფსონით შეაფასა. ძალიან საინტერესოა, ვინ ესახებათ ბუკმეკერებს პიჩიჩის ტროფეის ახალ მფლობელად. **დავიდ ვილიას** (ვალენსია) და **კრისტიანო რონალდოს** (რეალი) „უილიამ ჰილი“ თანაბარ ფავორიტებად მიიჩნევს - 6,5 ფსონით. შემდეგ მოდიან: **ქარიმ ბენზემა** (რეალი) - 7,0; **ლიონელ მესი** (ბარსელონა) - 8,0; **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** (ბარსელონა) -8,0. გასული სეზონის ბომბარდირი ურუგვაელი **დიეგო ფორლანი** (ატლეტიკო) მხოლოდ ამათ შემდეგ მოდის - 11,0.

### ბარსელონა

„ბარსელონა“, მიუხედავად რამდენიმე ცვლილებისა, დაახლოებით ისეთივე გუნდი იქნება, როგორც შარშან. მართლაცდა, ძნელია იმაზე უკეთესი გახდე, როგორიც შარშანდელი „ბარსა“ იყო. ძნელია ამ გუნდს სისუსტე მოუძებნო, ალბათ ის, რომ ამ სეზონში „ბლაუგრანას“ სხვადასხვა ტურნირში მოუწევს მონაწილეობა, მათ შორის მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში. ვნახოთ, რამდენად „იმუშავებს“ მთავარი ცვლილება გუნდში, დამრტყმელი ფორვარდის შეცვლა. ამ სეზონში ხომ **სამუელ ეტოოს** ნაცვლად „ბარსელონასთვის“ გოლების გატანა **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** ევალება. „ბარსა“ ჩემპიონატს ერთი დღის დაგვიანებით, ორშაბათს იწყებს, რაც ევროპის სუპერთასის მატჩით არის გამოწვეული. „კამპ ნოუზე“ პირველი გამოცდა ხიხონის „სპორტინგს“ აქვს ჩასაბარებელი.

### ახალი გუნდი

დიამეტრულად განსხვავებული სიტუაციაა „რეალში“. ეს ფაქტობრივად ახალი გუნდია. ახლაც კი, როცა ეს წერილი იწერება, მისი კონტურები ჯერ ბოლომდე არ არის ჩამოქნილი. ძალიან დიდ ენთუზიაზმს, რომელიც კრისტიანო რონალდოს, **კაკას**, ქარიმ ბენზემას, **ჩაბი ალონსოს** და სხვების გადასვლას მოჰყვა, სერიოზული კითხვებიც მოჰყვა, რამდენად შეძლებს ორი სუპერვარსკვლავი, კაკა და რონალდო, მოედანზე ერთმანეთთან შეწყობას? მცირე ხომ არაა ამხელა ვარსკვლავებისთვის ერთი გუნდის სამოქმედო არეალი? რატომ ვერ თამაშობს კარგად წინასასეზონო მატჩებში კრისტიანო რონალდო? რამდენად უმტკივნეულოდ გადაიტანს „სამეფო კლუბი“ **არიენ რობენის, ვესლი სნეიდერის, კლაას-იან ჰუნტელაარის** დაკარგვას? კითხვები მართლაც სერიოზულია. დაგვეთანხმებით, 94 მილიონი ევრო ის ფული არაა, რომ ამ თანხად გადმოსულმა ფეხბურთელმა ვერ გაამართლოს, რონალდოს სხვა გზა უბრალოდ არ აქვს. ერთია, წინასასეზონო მატჩებში მანუელ პელეგრინი ამტკიცებს, რომ ის ამ ვარსკვლავთა კრებულიდან ბრწყინვალე გუნდს გამოადნობს.

### სევილია და სხვა სამყარო

მართალია, ბევრისთვის ცხადია, რომ ჩემპიონის ვინაობას „ბარსელონა“ და „რეალი“ გაარკვევენ ერთმანეთში, მაგრამ არის კიდევ ერთი კლუბი, რომელიც ხმამაღლა აცხადებს, რომ დავითის ბრძოლას იწყებს გოლიათებთან - „სევილია“. ესპანეთის ყველაზე მდიდარი მხარის, ანდალუსიის საუკეთესო გუნდი მართლაც ერთადერთია პრიმერაში, რომელსაც „ბარსასთან“ და „რეალთან“ ტიტულისთვის ბრძოლა რეალურად შეუძლია. „სანჩეს პისხუანი“ ხომ ცნობილია ვიზიტორი გუნდებისადმი არასტუმართმოყვარე დამოკიდებულებით. შეძლებს კი „სევილია“ ფსიქოლოგიური წინაღობის გადალახვას, ეყოფა კი მას რესურსი გოლიათებთან ხანგრძლივი ჭიდილისთვის? გვეეჭვება... „სევილიას“ სეზონის სტარტი პირველივე სერიოზული მეტოქით ელის, ანდალუსიელები „ვალენსიას“ სტუმრობენ.

ლიდერთა შორის იტრიალებენ „ატლეტიკო“, „ვალენსია“ და „ვილიარეალი“. „ატლეტიკოს“ ჰყავს პრიმერაში ერთ-ერთი საუკეთესო თავდასხმის დუეტი - დიეგო ფორლანი და **სერხიო აგუერო**. „ვალენსიამ“ სასწაულებრივ შეძლო საუკეთესო ფეხბურთელების, დავიდ ვილიას, **დავიდ სილვას, ხუან მატას** და **ხოაკინის** შენარჩუნება. მაგრამ ვალებში ჩავარდნილმა კლუბმა სათანადოდ გაძლიერება ვერ შეძლო. „ვილიარეალის“ ყველაზე დიდი დანაკარგი მისი მწვრთნელია, მანუელ პელეგრინიმ „ელ სუბმარინო“ „სამეფო კლუბში“ გაცვალა. თუმცა „ვილიარეალს“ მაინც რჩება პლუსები, გუნდმა შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეინარჩუნა. ეს სამეული ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლებს, „ატლეტიკოს“ კი მესამე ადგილზე დამკვიდრებაც თავისუფლად შეეძლება.

პრიმერას ოფიციალურ საიტზე ვკითხულობთ - Bienvenidos, una temporada mas, a la mejor Liga del mundo (კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მსოფლიოს საუკეთესო ლიგის მორიგ სეზონში)...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევროპის ლიგა

ჯგუფური ეტაპის წილისყრა

**A ჯგუფი**
- აიაქსი (ჰოლანდია)
- ანდერლეხტი (ბელგია)
- დინამო (ხორვატია)
- ტიმიშოარა (რუმინეთი)

**B ჯგუფი**
- ვალენსია (ესპანეთი)
- ლილი (საფრანგეთი)
- სლავია (ჩეხეთი)
- ჯენოა (იტალია)

**C ჯგუფი**
- ჰამბურგი (გერმანია)
- სელტიკი (შოტლანდია)
- ჰაპოელი (თ-ა, ისრაელი)
- რაპიდი (ავსტრია)

**D ჯგუფი**
- სპორტინგი (პორტუგ.)
- ჰეერენვენი (ჰოლანდია)
- ჰერტა (გერმანია)
- ვენტსპილსი (ლატვია)

**E ჯგუფი**
- რომა (იტალია)
- ბაზელი (შვეიცარია)
- ფულჰემი (ინგლისი)
- ცსკა (ბულგარეთი)

**F ჯგუფი**
- პანათინაიკოსი (საბერ.)
- გალათასარაი (თურქ.)
- დინამო (რუმინეთი)
- შტურმი (ავსტრია)

**G ჯგუფი**
- ვილიარეალი (ესპან.)
- ლაციო (იტალია)
- ლევსკი (ბულგარეთი)
- ზალცბურგი (ავსტრია)

**H ჯგუფი**
- სტიაუა (რუმინეთი)
- ფენერბაჰჩე (თურქეთი)
- ტვენტე (ჰოლანდია)
- შერიფი (მოლდოვა)

**I ჯგუფი**
- ბენფიკა (პორტუგალია)
- ევერტონი (ინგლისი)
- აეკ (საბერძნეთი)
- ბატე (ბელარუსი)

**J ჯგუფი**
- შახტარი (უკრაინა)
- ბრიუგე (ბელგია)
- პარტიზანი (სერბეთი)
- ტულუზი (საფრანგეთი)

**K ჯგუფი**
- ეინდჰოვენი (ჰოლანდია)
- კოპენჰაგენი (დანია)
- სპარტა (ჩეხეთი)
- კლუჟი (რუმინეთი)

**L ჯგუფი**
- ვერდერი (გერმანია)
- ავსტრია (ავსტრია)
- ბილბაო (ესპანეთი)
- ნასიონალი (პორტუგ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



## შოთა ჩოჩიშვილი

ყველაფერი დროზე ადრე მოასწრო — დიდი ჩემპიონობაც და დიდი კაცობაც.

აქტიურ სპორტს რომ ჩამოშორდა, ძიუდოსთვის ზურგი არ შეუქცევია. ყოველთვის ჩვენ გვერდით ტრიალებდა, გვარიგებდა და გვმოძღვრავდა ოლიმპიური ჩემპიონი. როგორც ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, წლების განმავლობაში საქმიანი შენიშვნებითა და წინადადებებით ხელს უწყობდა ჩვენი ორგანიზაციის მიზანმიმართულ საქმიანობას. შოთა ჩოჩიშვილის სიტყვას ფასდაუდები ძალა და წონა ჰქონდა სპორტის სამყაროში. მის მაგალითზე თაობები გაიზარდნენ საქართველოში.

არ გვეგონა, რამე თუ მოერეოდა ლეგენდად ქცეულს. გაისად 10 ივლისს 60 წელი შეუსრულდებოდა. აქედანვე ვემზადებოდით იუბილეს ზეიმით აღსანიშნავად. ვაი, რომ აღარ დაგვცალდა — უკურნებელი სენი ჩემპიონზე ძლიერი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, დღეიდან მასზე წარსულ დროში მოგვიწევს ლაპარაკი, მაგრამ დიდ ჩემპიონს მაინც ყოველთვის ჩვენ გვერდით ვიგულებთ.

ბატონო შოთა! გაისად აუცილებლად აღვნიშნავთ შენს იუბილეს. სევდიანი და ცრემლნარევი იქნება იგი, უშენოდ, შენს საფლავზე.

ჩვენო დიდო მეგობარო და მასწავლებელო, გნამდეს, რომ შენს ნათელ ხსოვნას დავიწყება არ უწერია!

საქართველოს ძიუდოს
ეროვნული ფედერაცია

*დაკრძალვა, სამშაბათს, 1 სექტემბერს, გორში. 14:00 საათზე*

## კაცი, რომელთან ბრძოლა სიკვდილსაც გაუჭირდა!



გორი ჭიდაობის ქალაქია და აქაურებს გამორჩეულად შოთა ჩოჩიშვილი უყვარდათ. ამიტომ იყო, რომ ძიუდოში პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონის გარდაცვალების სამწუხარო ამბავი უმალ მოედო გორს.

რამდენიმე წლის წინათ, როდესაც სარეცელს მიჯაჭვული მსოფლიოს ჩემპიონი, მისი ალალი დეიდაშვილი კობა კურტანიძე სიკვდილს ებრძოდა, შოთას მთელი ყურადღება მისკენ იყო გადართული. მაშინ, ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა კიდეც: „კობას სათანადოდ თუ არ მოვუარეთ, საქართველოში პატარა სპორტსმენებს ჩემპიონობის სურვილი გაუქრებათ". ბატონი შოთა გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანთა მიმართ მუდამ გულისხმიერი გახლდათ, მაგრამ როდესაც თავად ებრძოდა უკურნებელ სენს, განსაკუთრებული ყურადღება არავისგან მოუთხოვია. რა თქმა უნდა, ყველა მეგობარი მის გვერდით იყო, მაგრამ ბოლო დღეებში, როდესაც ძალიან დაუძლურდა და საავადმყოფოში დამოუკიდებლად გადაადგილებაც უჭირდა, კატეგორიული უარი განუცხადებია სიარულის დროს სხვების დახმარებაზე, მხოლოდ თავად ან მეუღლის დახმარებით გადაადგილდებოდა.

არ უნდოდა, ვინმეს დაუძლურებული ჩემპიონი ენახა!

ბატონი შოთას გარდაცვალებამდე ორიოდ საათით ადრე სახელოვანი ფალავნის ჯანმრთელობის თაობაზე გურამ პაპიტაშვილს ვესაუბრებოდით. ოლიმპიური ჩემპიონის აღმზრდელი და მწვრთნელი, რომელსაც შოთას შეუდრეკელი ხასიათი და თვისებები ზედმიწევნით კარგად მოეხსენებოდა, მაინც გაოცებული გვეუბნებოდა: „ერთი დღის წინ შოთა ვინახულე, სულ უფრო მძიმდება მისი მდგომარეობა. ხომ კარგად ვიცნობ, მაგრამ საუბრისას მაინც გამაკვირვა. თავის მდგომარეობაზე კი არა, ჩვენს პერსპექტიულ ძიუდოისტებზე მელაპარაკებოდა — 17 წლის გორელი ტალანტი რომ გამოჩენილა, უტა კოკაური, მითხარით, როგორაა მისი წინსვლის საქმეო".

წარუშლელი კვალი არა მხოლოდ თავისი სპორტული ცხოვრებით დატოვა დიდმა ჩემპიონმა. მშობლიურ სოფელ ღვლევში, სადაც ჭაბუკმა ფალავანმა თავისი გოლიათის მხრები გაშალა, ჟამთასვლით თითქმის სრულად დანგრეული ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია 90-იანი წლების დასაწყისში აღადგინა. ბუნებრივია, ასეთი საქმე მუდამ უდიდესი მადლია, მაგრამ განსაკუთრებული ის იყო, რომ მაშინ ნებისმიერი რამის, მით უფრო ეკლესიის აღდგენა უკიდურესად ძნელი საქმე იყო.

შოთა ჩოჩიშვილის წარმატებების შესახებ საქართველოში ყველას კარგად მოეხსენება. რასაკვირველია, ბევრმა კარგად იცის მისი და ანტონიო ინოკის „ტოკიოდომში" გამართული ბრძოლის თაობაზეც, სადაც ქართველმა გოლიათმა იაპონელი საკუთარ სამშობლოში დაამარცხა. მაშინ თითქმის არ გახმაურებულა, რომ ბრძოლის წინ იაპონელებმა შოთას გარიგება შესთავაზეს, მას ინოკისთვის ბრძოლა უნდა დაეთმო. ამ შეთავაზების შემდეგ ჩოჩიშვილმა საუბრის გაგრძელებაც კი აღარ ჩათვალა საჭიროდ: „9 აპრილის ტრაგედია ახალი მომხდარი იყო. ერთი რომ, ამ გარიგებას ისედაც არ ვიკადრებდი და მით უფრო იმ ძნელბედობის ჟამს ჩემი ქვეყნისთვის მარცხი როგორ უნდა მეკადრებინა" — თქვა მან წლების შემდეგ.

რამდენიმე წელიწადი ებრძოდა უკურნებელ სენს. მედიკოსთა ლოგიკით, ამდენის ატანა ჩვეულებრივი ადამიანისთვის შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ხომ შოთა ჩოჩიშვილი იყო — კაცი, რომელთან ბრძოლა სიკვდილსაც გაუჭირდა!

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ყინულის ჰოკეი

ინტერვიუ ნუგზარ პაიკიძესთან

## მთელი ყურადღება ტუნისისკენ

### უკრაინული დონე ჩვენს ნაკრებში

**თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ბათუმის თასმა" შეასრულა თავისი ფუნქცია. ქართველმა ჰოკეისტებმა საჭირო გამოცდილება შეიძინეს, გამოიკვეთა სამომავლო კონტურები. საქართველოს ყინულის ჰოკეის ფედერაციის ახალ პრეზიდენტ ნუგზარ პაიკიძისთვის ეს პირველი უშუალო შეხება იყო ქართულ ჰოკეისთან. ამიტომაც მასთან ინტერვიუ შთაბეჭდილებებზე საუბრით დავიწყეთ.**

- არ დაგიმალავთ და, ჩვენი ჰოკეისტებისგან მეტს ველოდი. ოთხთა ტურნირზე რომ ბოლო ორი ადგილი ქართულმა გუნდებმა დაიკავეს, ეს არაა ტრაგედია, თბილისელთა და ბაკურიანელთა შემადგენლობიდან მაინც გამოვარჩიე რამდენიმე მოთამაშე, საერთო ჯამში, ყველაფერი ნორმალურადაა, წინ დიდი სამუშაო გველის და მჯერა, პროგრესი მალე თვალსაჩინო იქნება.

**- საამისოდ, პირველ რიგში, სტანდარტული ყინული გვჭირდება.**

- რა თქმა უნდა. ბაკურიანის ღია ყინული მხოლოდ ორი თვე ძლებს, ბათუმის მოედანს სიგრძეში ექვსი მეტრი აკლია, თბილისის მცირე და უბორტო ყინულზე ვარჯიში კი, უბრალოდ, არასერიოზულია. ოქტომბრისთვის ვაპირებთ სტანდარტული მოედნის მშენებლობის დაწყებას თბილისში, უახლოეს პერიოდშივე ჰოკეის სასახლის აგებას ვგეგმავთ, რომელიც მსოფლიო დონის ინფრასტრუქტურით აღიჭურვება.

**- ქართველი ჰოკეისტების თავმოყრა მხოლოდ ზამთრისა და ზაფხულის ტურნირებისთვის მოხერხდება თუ შეკრებები გახშირდება?**

- შეკრებების რაოდენობა და ხანგრძლივობა აუცილებლად გაიზრდება. გადაწყვეტილია ოქტომბერში ბათუმში შეკრება. დაგეგმილია მთელი გუნდით უკრაინულ ტურნირში მონაწილეობა, რამდენიმე გამორჩეული ქართველი ჰოკეისტის სტაჟირებაზე გაგზავნა უკრაინის საუკეთესო გუნდში, კიევის „სოკოლში". მოკლედ, პროგრესისა და განვითარებისთვის თითოეული დღე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

**- ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბების მხრივ როგორი სიტუაციაა?**

- ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობის გარეშე ნაკრების არსებობას აზრი არ აქვს. საერთაშორისო სარბიელზე გასვლა აუცილებელია. ქართული ჰოკეისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სექტემბერი, როცა მსოფლიო ჰოკეის ფედერაციაში საქართველოს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი განიხილება. არ მინდა წინასწარ თქმა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე დივიზიონში თამაშის საკმაოდ რეალური შანსი გვაქვს. მომავალი წლის აპრილში ამ მნიშვნელოვან ტურნირს ერევანი უმასპინძლებს. სომხურ მხარეს ჩვენთან აქტიური თანამშრომლობისა და საერთაშორისო მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა ეკუთვნის. უკრაინელებმა კი ბათუმის ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებაში დიდი წვლილი შეიტანეს. მათი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ვადიმ სისიუკი ჩემი დიდი მეგობარია და მისი თანადგომის იმედი მომავალშიც უნდა გვქონდეს.

**- დღევანდელი კონტინგენტით გამართლებულია მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში?**

- ნამდვილად არაა გამართლებული და ამ საკითხზე ჯერ კიდევ ვფიქრობთ. შესაძლოა, არ ღირდეს საერთაშორისო დებიუტის გადადება და ამ ეტაპზე უმჯობესი იყოს საქართველოს ეროვნული ნაკრების უცხოელებით გაძლიერება. თუმცა გუნდის შემადგენლობაში ქართველები ახლაც უნდა იყვნენ, რათა ძლიერი პარტნიორების მხარდამხარ თამაშით დონე აიმაღლონ.

**- უცხოელებში უკრაინის ახალგაზრდული ნაკრების წევრებს ხომ არ გულისხმობთ?**

- რატომაც არა. ისინი საქართველოს ღირსების დაცვაზე უარს არ იტყვიან (ეს შეკითხვა ბათუმში ჩამოსულ თერთმეტივე უკრაინელ ჰოკეისტს დავუსვი და ყველასგან დადებითი პასუხი მივიღე - ავტ.). მთავარია, სექტემბერში ტუნისის კონგრესზე ჩვენთვის სასურველი გადაწყვეტილება მიიღონ და ყველაფერს დროულად მივხედავთ.

**- უკრაინის ახალგაზრდულ ნაკრებს ახლო წარსულში ცნობილი ჰოკეისტი, მსოფლიოს ჩემპიონი და NHL-ში წლების განმავლობაში ნათამაშები დმიტრი ხრისტიჩი ჩამოჰყვა, რომელიც საკმაოდ წარმატებული მწვრთნელია. მის მოწვევასაც ხომ არ აპირებთ?**

- მოდი, ჯერჯერობით ასე ვთქვათ – პირველ ეტაპზე მას ჩვენი ნაკრების კონსულტანტის თანამდებობას შევთავაზებთ. გვინდა, დიმამ თბილისში იცხოვროს და ეროვნულ ნაკრებთან ერთად ჩვენი პატარების აღზრდის საქმეს მიხედოს. ახლა კი, ვიმეორებ, მხოლოდ ტუნისის კონგრესზე ვფიქრობ. ჯერ დაგვრთონ მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის ნება და შემდეგ გაცილებით დეტალურად გიამბობთ ჩემი გეგმების შესახებ. ფუჭი საუბარი არ მიყვარს და როცა მეცოდინება, რომ საერთაშორისო ტურნირებისკენ გზა ხსნილია, ყველაფერს ვილონებ იმისთვის, რომ საქართველოში ჰოკეის ბუმი დაიწყოს.

ლევან ჯანეზაშვილი



ნუგზარ პაიკიძე და დმიტრი ხრისტიჩი

ავტორის ფოტო

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური



## გეორ-გია უამინდობამ შეაფერხა

ჰოლანდიის ქალაქ ჰააგაში მიმდინარე მსოფლიო ტურის მორიგ ეტაპზე ვაჟთა ქართული წყვილი აგრძელებს ბრძოლას. **გეორ-გიამ** პირველ ორ შეხვედრაში მიღწეული გამარჯვების შემდეგ, მესამეში მარცხი განიცადა.

ჩვენმა ფრენბურთელებმა მე-3 ნომრად განთესილ ესპანურ დუეტ **ერერა-ხავირას** მეტნაკლები წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ სეტში გაუწიეს და ორი ქულის სხვაობით დამარცხდნენ – 21:23. მეორე სეტში ესპანელების უპირატესობა თვალსაჩინო იყო და გეორ-გია ამჯერად ექვსი ქულის სხვაობით დამარცხდა – 15:21.

მომდევნო შეხვედრა მე-8 ნომრად განთესილ შვეიცარიულ დუეტ **ბელაგუარდა-ლაციგასთან** უამინდობის გამო შეწყდა, როცა ანგარიში სეტებში 1:1 იყო. წესების მიხედვით, თუ შეხვედრა ერთ საათში არ განახლდება, მაშინ მატჩი მოერე დღეს, თავიდან უნდა გაიმართოს.

გეორ-გია შვეიცარელების დამარცხებას დღეს, თბილისის დროით 10 საათზე შეეცდება. გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენს ვაჟებს კარგი შანსი ექნებათ ნახევარფინალში გაალწიონ. ხოლო თუ წააგეს, ტურნირს დაემშვიდობებიან.

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა


ძიუდო

მსოფლიოს ჩემპიონატი

# დღე მესამე: ისევ არაფერი

JUDO2009
Rotterdam The Netherlands

გრძელდება ქართველთა წარუმატებლობა როტერდამში, ძიუდოისტთა მსოფლიოს პირველობაზე. გუშინ ვაჟთაგან მხოლოდ 81 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფალავნები ჭიდაობდნენ და მორიგი იმედგაცრუების დღე გვქონდა - ევროპის წლევანდელმა ბრინჯაოს პრიზიორმა **ლევან წიკლაურმა** პირველივე შეხვედრა იტალიელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ანტონიო ჩანოსთან** დათმო. ჩვენებური პირენეელთან წლეულს ერთხელ უკვე დამარცხდა და ისიც მშობლიურ კედლებში - აპრილში ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში იპონით წააგო. ალალად რომ ვთქვათ, ამ წყვილში ფავორიტად ახლაც იტალიელი მიგვაჩნდა და არც შევმცდარვართ, თუმცა ამჯერად ჩანოს მოსაგებად დამატებითი დრო და გვარიანი ოფლისღვრა დასჭირდა. ძირითადი დრო მეტოქეებმა თანაბარი გაფრთხილებებით დაასრულეს, ჩვენებური დამატებითშიც 2 წუთზე დიდხანს უძალიანდებოდა მეტოქეს, მაგრამ მესამე წუთი ახალი დაწყებული იყო, იტალიელმა იპონი რომ მიითვალა. რადგან ეს მეორე წრეში მოხდა და არა მეოთხედფინალში, წიკლაური ვერც სანუგეშოში გადაერთო.

აშკარაა, წიკლაური ამ რანგის ტურნირზე მედლის მოსაპოვებლად ჯერ მზად არაა, თუმცა ეს ნაკრებიდან მისი ჩამოწერის უფლებას არ გვაძლევს. წიკლაურს არაერთი დადებითი თვისება გააჩნია, რის გამოც ყველა ახლანდელ კონკურენტზე უკეთესი გვგონია, მაგრამ სანაკრებო კარიერის გასახანგრძლივებლად საკუთარ თავზეც უნდა იმუშაოს - ტატამზე მეტი აგრესია, მეტი შემართებაა საჭირო. მაინც გვგონია, მას ჯერ კიდევ აკლია საკუთარი თავის რწმენა, თითქოს ტიტულების შიში და მეტოქეებისადმი რიდი ეტყობა... ეს ყველაფერი, უპირველესად, თვითონ უნდა დაძლიოს, თორემ მხოლოდ მწვრთნელები ამას ნაკლებად შეძლებენ.

ევროპის ჩემპიონატის დარად, მსოფლიოს პირველობაც რუსი **ივან ნიფონტოვის** ტრიუმფით გასრულდა - შეხვედრების უმეტესობა ამჯერადაც იპონით მოიგო. მათ შორის, იგივე ჩანოსთან, ნახევარფინალში გერმანელ ოლიმპიურ და ევროპის ჩემპიონ **ოლე ბიშოფთან** და ფინალში ბელარუს ევროპის ჩემპიონ **სიარხეი შუნძიკაუსთან**. ნიფონტოვი წლეულს მართლაც ჩინებულ სეზონს ატარებს და სავსებით სამართლიანად მიითვალა დუბლი. 22 წლის რუსმა წლეულს პარიზისა და ჰამბურგის ზეპრესტიჟულ ტურნირებზე ბრინჯაო მოიპოვა, რიო დე ჟანეიროს „დიდი მუზარადი" კი მოიგო. აღსანიშნავია, რომ ეს რუსების პირველი ოქროა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ცოტა არ იყოს და, როტერდამში პეკინის ოლიმპიადის ფინალისტები დაიბრიყვეს - მესამე ადგილს არ გააცილეს.

ქალთა ტურნირშიც მხოლოდ ერთი - 63 კილოგრამი წონითი კატეგორიის წარმომადგენლები ჭიდაობდნენ და ყველაფერი იაპონელი **იოში უენოს** გამარჯვებით დასრულდა. ეს ქალი აზიის სამგზის ჩემპიონია, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატებზე ინდივიდუალურ პირველობებში აქამდე არასოდეს ეჭიდავა, რადგან სახელოვანი თანამემამულის, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონ **აიუმი ტანიმოტოს** ჩრდილში იდგა. მეტიც - უენო აზიის ჩემპიონი ისე ხდებოდა, ქვეყნის პირველობაც არ ჰქონდა მოგებული. ნავსი შარშან გატეხა, როცა პირველად გახდა იაპონიის ჩემპიონი და საბოლოოდ დაამხო ტანიმოტოს ბატონობა - ფინალში სწორედ მას მოუგო. ამით ფრთაშესხმულმა წლეულს თითქმის ყველაფერი მოიგო, სადაც კი იჭიდავა - პარიზსა და ჰამბურგში, გაიმარჯვა. მოსკოვში კი მეორეზე გავიდა. სამი ასეთი პრესტიჟული ტურნირის ფინალში გასვლა იოლი საქმე არაა და სავსებით ლოგიკურია, როტერდამშიც 5-დან 4 შეხვედრა იპონით რომ მოიგო და იმ ერთადერთ ორთაბრძოლაშიც ქულათა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. საინტერესოა, რომ უენოს კარიერაში 11-ჯერ უჭიდავია დიდი ტურნირების ფინალებში! აქედან 6 მოიგო, თუმცა ყველაზე დიდ წარმატებას როტერდამში მიაღწია.

მსოფლიოს ჩემპიონატი ამ უქმეებზე დასრულდება, დღეს და ხვალ კი საქმეში ჩვენი ლიდერებიც ჩაერთვებიან. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ დღეს **ვალერი ლიპარტელიანი** (90) პირველ წრეში ბერძენთა ქართველყოფილ ოლიმპიურ ჩემპიონ **ილიას ილიადისს** ხვდება. ამავე ჯგუფშია იაპონელი მსოფლიოს პრიზიორი **ტაკაში ონოც**, რომელიც ჩვენებურს მეოთხედფინალამდე არ შეხვდება. არადა, ილიადისს თუ გასცდა, ლიპარტელიანს იქამდე ისეთი არავინ ჰყავს, ონომდე ვერ მივიდეს. ცხადია, ორივე მეტოქე ძლიერია, მაგრამ თუ ფორმაშია, ვალერის ორივეს დამარცხება ხელეწიფება. ესენი C ჯგუფში გამოდიან, მაგრამ კიდევ უფრო სუსტია D ჯგუფი, რომლის გამარჯვებულიც აქაურს ნახევარფინალში ელოდება...

დღესვე იჭიდავებს ქალთა ტურნირის ერთადერთი ქართველი მონაწილე **ნინო ოძელაშვილი** (78). ის პირველ შეხვედრას ესპანელ ორგზის ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს პრიზიორ **ესტერ სან მიგელთან** გამართავს. შეგახსენებთ, რომ ესპანელი აპრილში თბილისში მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი.

ძალიან არ გაუმართლა ჩვენი ვაჟთა ნაკრების კიდევ ერთ ლიდერს, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **ირაკლი ცირეკიძეს** (90), რომელსაც პირველივე წრეში იაპონელი **ტაკამასა ანაი** ხვდება. ცირეკიძე იმდენად მტკიცე ნერვების პატრონია, ამ შეხვედრაში სავსებით რეალური ოპტიმიზმით ველოდებით წარმატებას, მაგრამ ფაქტია, რომ ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი და ძლიერი მეტოქე ერგო.

ცირეკიძე კვირას იჭიდავებს, როგორც - მძიმეწონოსანი **ზვიად ხანჯალიაშვილი**, რომელიც თავიდან საკმაოდ სუსტ მეტოქეებს ხვდება - პირველ წრეში ეგვიპტელ **ისლამ ელ შეჰაბის** (თუმცა ეგვიპტელთა ბოლოდროინდელ აღმასვლას თუ გავიხსენებთ, იქნებ ეს სულაც არ იყოს სუსტი), ამათში მოგებული კი შვედ **კრისტოფერ იოჰანსონს** დაეჭიდება.

**ირაკლი თავაძე**

**კვარცხლბეკი**

**ვაჟები**

**81 კგ.**

1. ივან ნიფონტოვი (რუსეთი)
2. სიარხეი შუნძიკაუ (ბელარუსი)
3. ოლე ბიშოფი (გერმანია)
3. კიმ ჯაე-ბუმი (სამხრეთ კორეა)

**ქალები**

**63 კგ.**

1. იოში უენო (იაპონია)
2. ელიზაბეტ ვილბოორდესი (ჰოლანდია)
3. ალისე შლეზინგერი (ისრაელი)
3. კლაუდია მალზანი (გერმანია)



ირაკლი ცირეკიძე

ინტერვიუ ირაკლი ცირეკიძესთან

# უფრო მძიმე გამოცდა

## ვინ იქნება 100-ში ასი?

**ბოლო წლებში წარმატებებს მივეჩვიე და ახლა ხელცარიელი დაბრუნება გამიჭირდებაო, მითხრა მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ირაკლი ცირეკიძემ, რომელიც წლეულს ახალ - 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჭიდაობს. როგორც ყოველთვის, ის ახლაც საბრძოლველად შემართული წავიდა როტერდამში, ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, თუმცა შანსებზე საუბრისას ისიც აღიარა, რომ ქვედა წონაში მეტოქეებს ზედმიწევნით იცნობდა, აქ კი ჯერ გაცნობის პროცესშია.**

**როგორც ყოველთვის, ცირეკიძის მთავარი კოზირი კვლავაც მტკიცე ნერვებია და ახალი წონითი კატეგორიის მიუხედავად, ახლაც ჩვენი ერთ-ერთი მთავარი იმედია, მაგრამ ახალ კონკურენტს წილისყრამ მძიმე გამოცდა მოუწყო და პირველივე წრეში ყველაზე რთული მეტოქე არგუნა... წინამდებარე ინტერვიუ როტერდამში გამგზავრებამდეა ჩაწერილი, დღეს კი, როცა გარკვეულია, რომ პირველსავე წრეში იაპონელ ტაკამასა ანაის ხვდება, ამ თემაზე საუბრით აღარ შეგვიწუხებია. სავარაუდოდ, თვითონაც ძალიან განიცდის წილისყრის ასეთ შედეგს. ვიქონიოთ იმედი, რომ ცირეკიძის ნერვები ამ უძლიერეს კონკურენტსაც აჯობებს და წონის სხვა ლიდერებსაც.**

**- ირაკლი, როგორი განწყობით მიდიხართ როტერდამში, კმაყოფილი ხართ მოსამზადებელი პერიოდით?**

- მსოფლიოს პირველობისთვის დაგეგმილი სამივე შეკრება სრულად გავიარე და განწყობა ისეთივეა, როგორიც ყველა დიდი ტურნირის წინ - საბრძოლო. ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ კარგადაც მოვემზადე და ჰოლანდიაში შემართული მივდივარ. ბოლო წლებში მედლებს, წარმატებებს მივეჩვიე და ხელცარიელი დაბრუნებას ვერ შევეგუები.

**- ახლანდელი სპორტული ფორმა წინა წლებისას რომ შევადაროთ, როცა მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი გახდით?**

- ვერ ვიტყვი, რომ დიდი განსხვავებაა. ერთადერთი, ახლა ფიზიკური მომზადება მეტია საჭირო. შეიძლება, ამ მხრივ ჯერ მთლად ბოლომდე არ ვიყო კონდიციებში, რადგან ახალი გადასული ვარ, მაგრამ ცუდად არც ამ კომპონენტში ვარ მომზადებული. ვნახოთ, როგორ იქნება, წინასწარ რაიმეს მტკიცება ძნელია.

**- ამჟამად რამდენი კილოგრამი ხართ?**

- 99. ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

**- ახალ წონას გარკვეული ადაპტაცია სჭირდება. ეს ფაქტორი ხომ არ გაშინებთ?**

- რა ვიცი, რა გითხრათ - მართლაც ახალი წონაა და შესაგუებლად გარკვეული დროც საჭიროა. ამაში გეთანხმებით, მაგრამ აქ ორჯერ ვიჭიდავე უკვე და შეიძლება ითქვას, ცოტა შევეჩვიე კიდეც. თუმცა სიახლის გამო რაღაც დოზით გაურკვევლობის მომენტები მაინც არის.

**- ისიც სათქმელია, რომ, რაც უფრო მეტ წარმატებას მოიპოვებ, მეტოქეებიც მით მეტი მონდომებით ემზადებიან შენთან შესახვედრად და გაორმაგებული ჟინით გებრძვიან - ტიტულოვანი ფალავნის დამარცხება ორმაგად ფასდება.**

- ეგეც მართალია, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მაგაზე ნაკლებად ვფიქრობ. ჩემი ერთადერთი მიზანი ისაა, ვიჭიდაო და შესაძლებლობები ბოლომდე გამოვავლინო, მერე გულდაწყვეტილი რომ არ დავრჩე, რაღაც სრულყოფილად ვერ გავაკეთე, რაღაც დავაკელი, თორემ უკეთესი შედეგი მექნებოდა-მეთქი. ახლა უფრო ამაზე ვფიქრობ და არა იმაზე, რომ ვილაც ჩემთან შესახვედრად განსაკუთრებულად ემზადება. მეტოქე როგორც უნდა მოემზადოს, მთავარი მაინც ისაა, შენ როგორ ივარჯიშებ, რამდენად გულმოდგინედ იმუშავებ. თუ კარგად მოემზადები, ვერავინ ვერაფერს დაგაკლებს.

**- ძირითად მეტოქეებად ვის მიიჩნევთ?**

- ცოტა გამიჭირდება ამაზე ლაპარაკი. ეს რომ 90 კილოგრამი წონითი კატეგორია იყოს, იქ ხუთი თითივით ვიცნობდი ყველას, აქ კი ბევრთან არც მიჭიდავია. ამიტომ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი - იქნებ, ის მეორე უფრო ძლიერია.

**- მაგრამ ვისაც შეხვედრიხართ, როგორ ფიქრობთ - იმათგან ვისთან შეიძლება გაგიჭირდეთ?**

- ჰოლანდიელი ჰენკ ხროლი საკმაოდ ძლიერია. უკვე ტიტულოვანიც გახდა და გამოცდილებაც დაუგროვდა. სხვათა შორის, ადრე ისიც 90-ში გამოდიოდა. ძლიერი მოჭიდავე ჩანს რუსი ტაგირ ხაიბულაევიც, რომელიც ასევე 90-დანაა გადასული. ეს - ვისაც ვიცნობ, თორემ სხვებიც არიან.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# კარიერის პირველი ფინალი



ნიკოლოზ ბასილაშვილი

17 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (683) კარიერაში პირველად შეძლო საერთაშორისო ტურნირის ფინალში გასვლა. სოჭის საერთაშორისო ტურნირში (რუსეთი, 15 ათასი $) მე-7 ნომრად განთესილმა ქართველმა ნახევარფინალში მე-6 ნომრად განთესილი უკრაინელი **ვადიმ ალექსეენკო** (688) დაამარცხა - 6:3, 6:4. ბასილაშვილის პროფესიული კარიერა სექტემბერში დაიწყო, მას შემდეგ მან სამჯერ შეძლო ნახევარფინალურ ეტაპამდე გაღწევა სხვადასხვა ტურნირში. მეოთხე ცდაზე ჩვენებურმა ეს წინაღობაც დაძლია. მეორე ნახევარფინალურ წყვილში მე-8 ნომრად განთესილმა რუსმა **მიხაილ ფუფიგინმა** (709) მე-3 ნომრად განთესილი თანამემამულე **არტიომ სიტაკი** (419) დაამარცხა - 7:6 (2), 3:6, 6:1. სიტაკი ნიკასთვის მეტად უხერხული მეტოქეა და კარგია, რომ ფინალში არ დაუპირისპირდება. ფუფიგინი 19 წლისაა, ბასილაშვილს მის წინააღმდეგ აქამდე არ უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კალათბურთი

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

# პროვოკაციაზე იოლად აღარ წამოვეგები



ლუქსემბურგთან ზაზა ფაჩულიამ ორმაგი დუბლი შეასრულა – 20 ქულა, 10 მოხსნა. ირლანდიასთან ჩვეულად ვერ გამოიყურებოდა, 14 ქულას 7 მოხსნა მიამატა, რის შემდეგაც საქართველოს ნაკრების კაპიტნის კრიტიკა გაისმა. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, გადამწყვეტი მატჩებისთვის ზაზამ კონცენტრაცია მოახერხა და სლოვაკეთ-შვედეთთან სნაიპერობა არავის დაუთმო. სლავებთან 34 ქულა და 14 მოხსნა მიითვალა, ხოლო შვედეთთან 21 ქულა და 12 მოხსნა. აგვისტოში ჩაგდებული 89 ქულიდან ყველაზე ღირებული ბოლო 4 იყო – შვედეთთან მატჩის დასრულებამდე 2 წუთი რჩებოდა, როცა ზაზამ ორი ორქულიანი მიაყოლა ერთმანეთს და თანაგუნდელები 76:70 დააწინაურა. სირენამდე 2 წუთით ადრე 6-ქულიანი ფორა უკვე გამარჯვებას ნიშნავდა.

ზაზა ფაჩულიასთან ინტერვიუ შვედეთთან მატჩით დავიწყეთ.

- სკანდინავიელებთან დაპირისპირებამდე 2 დღით ადრე ვიცოდით, რომ შვედეთთან მატჩის ყველა ბილეთი გაყიდული იყო. ამ ფაქტმა ჩვენს ფსიქოლოგიაზე დადებითად იმოქმედა, დიდი სტიმული მოგვცა. ველოდით, რომ დარბაზი გაივსებოდა და ვიცოდით, გულშემატკივრის იმედის გაცრუება არ შეიძლებოდა.

**- თუმცა შეხვედრის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა...**

- ძალიან ემოციური თამაში იყო. გამარჯვება ხომ ორივე გუნდს ჰაერივით სჭირდებოდა, რადგან გვესმოდა, რომ წაგება პლეი ოფში ჩერნოგორიასთან შეხვედრას ნიშნავდა, რაც არც ერთს სურდა. გვქონდა შეცდომებიც, მაგრამ საჭირო მომენტში მეტოქეზე უკეთესად გავისარჯეთ და 10 ქულის სხვაობითაც მოვიგეთ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჯგუფური ტურნირი პირველ ადგილზე დავასრულეთ.

**- რიგში ბელარუსია...**

- სიმართლეს ვიტყვი, შვედეთთან მატჩამდე ბელარუსზე არ მიფიქრია. დღეს მომავალ მეტოქეზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი, მათ მოთამაშეებს არ ვიცნობ და არც ის ვიცი, როგორ კალათბურთს თამაშობენ.

**- პლეი ოფის შეხვედრებს როგორი განწყობით ხვდებით?**

- ჯგუფში წარმატებით თამაშმა ჩვენს ემოციურ განწყობაზე დადებითად იმოქმედა. საბრძოლველად ვემზადებით და არაფრის დათმობას ვაპირებთ. ეს ხომ ფინალია, B დივიზიონის ფინალი, გამარჯვებული ელიტაში გადადის. მთავარია, ჩვენი თამაში ვუჩვენოთ...

**- ზოგ ეპიზოდში შვედები შენს პროვოცირებას ცდილობდნენ. რეალურად ასე იყო თუ ტრიბუნიდან დავინახეთ შეცდომით?**

- როცა ასეთ მნიშვნელოვან თამაშს აგებ, ყოველთვის შეეცდები, სხვადასხვა ხერხით მეტოქე მწყობრიდან გამოიყვანო, რათა თამაშის შემოტრიალება სცადო. შვედებიც ცდილობდნენ პროვოცირებას, მაგრამ არ გამოუვიდათ. რამდენიმე წლის წინათ ლუქსემბურგელმა ცენტრმა ჩემი აყოლიება იოლად შეძლო და ორივე მოედნიდან გაგვაძევეს, მას შემდეგ მეტი გამოცდილება შევიძინე და უფლება არ მაქვს, სულელური შეცდომის გამო გუნდი დავალალატო.

**- 2004 წლის შემდეგ ჩვენი საკალათბურთო სამყარო A დივიზიონში მოხვედრას ნატრობს, მაგრამ პლეი ოფში ერთხელაც ვერ გავედით...**

- მოსამზადებელი ეტაპის დაწყების შემდეგ მეც ერთი ნატვრა მქონდა – შვედეთისთვის მოგვეგო და პლეი ოფში ბელარუსს შევხვედროდით. როგორც ხედავთ, ეს სურვილი ამისრულდა. მაქვს კიდევ ერთი ნატვრა...

**- კერძოდ?**

- ახლა არ ვიტყვი. ბელარუსთან მატჩებისას გამახსენეთ და მაშინ გაგანდობთ. ოღონდ, არ დაგავიწყდეთ, აუცილებლად მკითხეთ...

ვაჟა სიმონიშვილი



**მანუჩარ მარკოიშვილი** საქართველოს ნაკრებს შეკრების პირველი დღიდან, 20 ივლისიდან შეუერთდა, მაგრამ კოჭის ტრავმის გამო არ ვარჯიშობდა. 19 აგვისტომდე იგი ეროვნულ გუნდთან ერთად იყო და თანაგუნდელებს სათადარიგოთა სკამიდან ირლანდიასთან შეხვედრისას ამხნევებდა. მერე ახალი კლუბის, „კანტუს" ხელმძღვანელებმა იტალიაში უხმეს. ვინაიდან ნაკრებში მაინც ვერ თამაშობდა, მანუ აპენინებზე გაფრინდა და კანტუში პირველივე დღეს ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა.

გუნდის ოფიციალურ საიტზე კანტუელთა ვარჯიშის რეპორტაჟი გამოქვეყნდა, სადაც ნათქვამია, რომ მარკოიშვილი სხვებთან ერთად ვერ ვარჯიშობდა, მან წვრთნა ექიმების გარემოცვაში გაატარაო...

ვარჯიშის შემდეგ კალათბურთელებმა მაისურები გაინაწილეს. ჩვენთვის მოულოდნელად, მანუჩარს მე-11 ნომერი არ შეხვდა. იგი მომავალ სეზონში 9-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. „კანტუს" მე-11 ნომერი **ენტონი ჯიოვაჩინის** ეცმევა,

ლეგიონერი

# მარკოიშვილის ცხრიანი

რომელიც ამერიკის მოქალაქეა და „კანტუში" 2008 წელს „მილანიდან" გადავიდა.

რადგან ნომრებზე ჩამოვარდა სიტყვა, იმასაც შეგახსენებთ, რომ მანუჩარ მარკოიშვილი ყველა ასაკის საქართველოს ნაკრებში 11 ნომრით თამაშობდა. 2004 წელს ეროვნულ გუნდში ამერიკიდან ჩამოსულმა **შემონდ უილიამსმა** ეს ნომერი მანუს დაუთმო, არადა, შემონდი წლების განმავლობაში 11-ნომრიანი მაისურით ირჯებოდა.

...თუმცა სიმბოლურია, რომ ერთადერთი გუნდი, სადაც მარკოიშვილს ზურგზე 11 არ ეწერა, იტალიური იყო – „ბენეტონი". 2002-04 წლებში მანუჩარი ტრევიზოში მე-13 ნომრით ირჯებოდა.

„კანტუს" მწვრთნელმა **ანდრეა ტრინჩიერიმ** ვარჯიშის შემდეგ მოკლე კომენტარი გააკეთა: *„წლევანდელ სეზონში სერიოზული მიზნები გვაქვს, რისთვისაც სათანადოდ უნდა მოვემზადოთ. გუნდში ყველა კალათბურთელს თავისი ფუნქცია ექნება და წარმატების მიღწევას გუნდური თამაშით ვეცდებით."*

იტალიის ჩემპიონატი 11 ოქტომბერს დაიწყება. სადებიუტო ტურში მარკოიშვილის ახალი კლუბი, „კანტუ" მისივე ყოფილ გუნდს, „ბენეტონს" უმასპინძლებს.

ეს ამბები ქართველი მკითხველისთვის საინტერესოა, მაგრამ გაცილებით მეტ ინტერესს მანუს სანაკრებო პერსპექტივა იწვევს – ითამაშებს თუ არა იგი პლეი ოფში? გადაჭრით პასუხის გაცემა შეუძლებელია, თუმცა, რადგან კოჭი ჯერაც ბოლომდე არ მოუშუშებია, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ნაკრებს მანუჩარის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. იმედი დავიტოვოთ, რომ ფონსაც გავა და A დივიზიონშიც.

ვაჟა სიმონიშვილი

ჭადრაკი

# ფინიშის სწორზე



სალონიკიში დასასრულს უახლოვდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს სამი წარმომადგენელიც მონაწილეობს. მართალია, შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურიღა დარჩა, მაგრამ ფინიშის სწორზე ისეთი ბუნდოვანი მდგომარეობა შეიქმნა ლიდერთა ჯგუფში, რომ გამარჯვებულის გამოცნობა შეუძლებელია. გერმანელი **შტეფან ბრომბერგი**, რომელიც გათამაშების ცხრილში კარგა ხანს მეწინავეობდა, მე-7 ტურში თეთრი ფიგურებით **ლევან აროშიძესთან** დამარცხდა. ქართველმა დიდოსტატმა 5,5 ქულა მოაგროვა. **ალან ბერესკუსთან** და **მარკოს ლანეზასთან** ერთად იგი ნახევარი ქულით ჩამორჩება ერთპიროვნულ ლიდერ **არუნ პრასადს**, რომელიც მე-7 ტურში სწორედ ბერესკუს დაუზავდა.

ერთბაშად 12-მა მოჭადრაკემ 5-5 ქულას მოუყარა თავი. მათ შორისაა **თამაზ გელაშვილი**, რომელმაც შავი ფიგურებით **ბარის ესენი** დაამარცხა. **ნიკოლოზ შავთვალაძე მილოშ პავლოვიჩს** შეუთანხმდა ყაიმზე და 4,5 ქულით მე-17 ადგილზეა.

მე-8 ტურში ლიდერთაგან ერთმანეთს ხვდებიან: არუნ პრასადი (6)-მარკოს ლანეზა(5,5), ალან ბერესკუ(5,5)-ლევან აროშიძე (5,5), თამაზ გელაშვილი(5)-სერგეი ისკუსნიხი (5)... სტამატის არგირუდისი (4,5)-ნიკოლოზ შავთვალაძე (4,5).

ბარსელონის საერთაშორისო ტურნირზე ვერავინ აჩერებს ბრაზილიელ დიდოსტატ **ალექსანდრ ფიერს**, რომელიც შვიდი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ უდგას გათამაშების ცხრილს სათავეში. ბოლო ტურში მან თეთრი ფიგურებით **გარსია ჟოზე გონსალესს** სძლია. 6,5 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა ფიდეს ოსტატმა **დიანუ ლელუს სტენლი მარტინესმა**, რომელმაც **ვიტალი კუნინი** დაამარცხა. მე-8 ტურში სწორედ მარტინესი ეცდება თეთრებით **ფიერის** ჩამოქვეითებას.

მოწინავე ჯგუფთან მჭიდროდ მიახლოების შანსი დაკარგა **ანა მათნაძემ**, რომელმაც მე-7 ტურში თეთრი ფიგურებით **ხაიმე ალექსანდერ კუარტესთან** წააგო და ერთპიროვნულ ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება. ასევე, 5 ქულა აქვს **სოფიო გურამიშვილს**. იგი **მარს ნარგისს** დაუზავდა.

მე-8 ტურში მათნაძე **ვიქტორ ლილოს** შეხვდება, გურამიშვილი კი **ალექსანდერ იპატოვს** დაუპირისპირდება. ტურნირის დამთავრებამდე აქაც ორი ტური დარჩა.

იზმირის საერთაშორისო ტურნირის მე-7 ტურში ნახევარი ქულა დაკარგა ერთპიროვნულმა ლიდერმა **კონსტანტინე შანავამ**. ამით ისარგებლა **გაიოზ ნიგალიძემ**, რომელმაც თანამემამულე **დავით მალალაშვილი** დაამარცხა და შანავას გაუთანაბრდა.

გაუწყებთ ჩვენებურთა მე-7 ტურის შეხვედრათა შედეგებს:

ლოგმან გულიევი-კონსტანტინე შანავა 0,5:0,5; დავით მალალაშვილი-გაიოზ ნიგალიძე 0:1; ბელა ხოტენაშვილი-მალხაზ სულაშვილი 0,5:0,5; ათა სეკერი-შოთა აზალაძე 1:0; ივერი ჭილლაძე-ბაბაკ ხაკანი 1:0; ტურხან ილმაზი-თამარ წერეთელი 0:1; დავით ჯოჯუა-ქემრე ილდიზი 0,5:0,5; ათაქან შირინი-ბაჩანა მორჩიაშვილი 0,5:0,5; ქენგიზ სენგელი-დავით ლომსაძე 0,5:0,5; ნინო ბაციაშვილი-ონურ უიგერი 1:0; ფირათ სალეპსი-არმენ გრიგორიევი 0,5:0,5; მაკა ფურცელაძე-ჰასან ომრანი 1:0.

ვაჟა დანელია

ჭიდაობა ჩვენი. ქართული...

# გახსოვდეს გამზრდელი

## ფინალური და გუნდური ტურნირების წინ

საგარეჯოს ქართული ჭიდაობის მესვეურებმა, კერძოდ, დამსახურებულმა მწვრთნელმა **ბიჭიკო მარიდაშვილმა** საგარეჯოს ჭიდაობის ცენტრალურ დარბაზში საქართველოს ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრებისთვის კახეთის პირველობის გამართვა ითავა ქართულ ჭიდაობაში. კახეთის რვა რაიონიდან სარბიელზე შვიდი გამოვიდა. მხოლოდ სიღნაღელებმა აარიდეს თავი ასპარეზობას. ლეგენდარული **ვანო აბულაძის** (კამბეჩუა) რაიონს ქართული ჭიდაობისადმი გულგრილობა ნამდვილად არ ეკადრება...

საგარეჯოელ ორგანიზატორებს თანადგომა გაუწია ქართული ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი **უშანგი ყურაშვილი**). ტურნირზე იმყოფებოდნენ კახეთის ქართული ჭიდაობის რეგიონული ფედერაციის ხელმძღვანელები: **გიორგი სპანდერაშვილი, თემურ გოდერძიშვილი** და, რაღა თქმა უნდა, ლეგენდარული **ლევან თედიაშვილი**.

დარწმუნებული ვართ, კახეთს საქართველოს სხვა რეგიონებიც მიბაძავენ და ზონალურ პირველობებზე გამოავლენენ საქართველოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილე საუკეთესო სპორტსმენებს.

კახეთის პირველობაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი საინტერესო მოჭიდავე ვიხილეთ. მაგალითად, ახმეტის გუნდის წევრი **ნუგზარ მესაბლიშვილი**, რომელიც სოფელ ყვარელწყალიდანაა (ახმეტა). იგი კიევში იურისტად და ძიუდოს მწვრთნელად მუშაობს. ვეტერან ძიუდოისტთა შორის სამჯერ გაიმარჯვა მსოფლიოს პირველობაზე, ერთხელ ევროპაზე. უკრაინის 14-გზის ჩემპიონია სამბოსა და ძიუდოში. უზბეკურ ჭიდაობა კურაშში ევროპის მეორე და მსოფლიოს მესამე პრიზიორია. ახალგაზრდობაში 23 წლამდე ძიუდოისტთა შორის სსრკ ჩემპიონიც იყო. ნუგზარის წარმატებებს



სათავე ქართულ ჭიდაობაში გადადგმულმა პირველმა ნაბიჯებმა დაუდო, რომლის მადლს მოწიფულობაშიც არ ივიწყებს. მართალია, ამჯერად, 45 წლისამ ახალგაზრდებთან პაექრობაში წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ ქართული ჭიდაობის ბოლომდე სიყვარულისა და ერთგულების კარგი მაგალითი უჩვენა მათ...

გაგაცნობთ კახეთის პირველობის ჩემპიონებს და პრიზიორებს:

60 კგ. 1. **ბადრი ბასოშვილი** (გურჯაანი), 2. **გიორგი ტყემალაძე** (ლაგოდეხი), 3. **ვალერი ლაფერიშვილი** (საგარეჯო), 3. **გიორგი სოხაძე** (ყვარელი).

70 კგ. 1. **ნოდარ მჭედლიშვილი** (საგარეჯო), 2. **აკაკი ლობჟანიძე** (დედოფლისწყარო), 3. **ალექსი ნანიევი** (ლაგოდეხი), 3. **გოდერძი ქინქლაძე** (ახმეტა).

80 კგ. 1. **გიორგი ლვინიაშვილი**, 2. **პაატა აბულაძე** (ორივე ახმეტა), 3. **ალექსი ბოხაშვილი** (ლაგოდეხი), 3. **მიხეილ ძებისაშვილი** (ახმეტა).

90 კგ. 1. **ბექა ბიქოშვილი** (ყვარელი), 2. **ხვთისო მოსულიშვილი** (დედოფლისწყარო), 3. **დავით ფიცხელაური** (ახმეტა), 3. **ბექა წყალობაშვილი** (ყვარელი).

+90 კგ. 1. **ზურაბ ტოპეშაშვილი**, 2. **ფრიდონ ბეჟიტაშვილი** (ორივე საგარეჯო), 3. **ილია ლვალაძე** (ლაგოდეხი), 3. **შოთა ჭიჭიბოშვილი** (ყვარელი).

სექტემბერში საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურში გაიმართება საქართველოს რეგიონების გუნდური პირველობა სოლიდური ფულადი პრიზებით.

გაბრიელ ბარჯაძე
საგარეჯო

ავტორის ფოტო

რაგბი

ინტერვიუ დავით ზირაქაშვილთან

# ზირაქაშვილის სამი პლუსი: კლერმონი, ჯანი, ნაკრები



**საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯი დავით ზირაქაშვილი საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის ერთ-ერთი ფავორიტის, „კლერმონის" წამყვანი მოთამაშეა. ჩემპიონატის პირველ ორ ტურში ზირაქას მონაწილეობა არ მიუღია. მიზეზი „გლაზგოსთან" საკონტროლო შეხვედრაში მიღებული ტრავმა იყო. ამჟამად დათო გამოჯანმრთელებულია და მესამე ტურში „ბრივის" წინააღმდეგ სათამაშოდ ემზადება.**

- სეზონის დაწყების წინ, ბოლო საკონტროლო მატჩში „გლაზგოსთან" ნეკნი გავიტეხე – გვიამბობს დავით ზირაქაშვილი – მართალი გითხრათ, ბოლომდე ვერ მოვირჩინე. ცოტა კიდევ მტკივა, მაგრამ „ბრივთან" მაინც ვითამაშებ. ძირითად შემადგენლობაში ვიქნები.

**- ბოლო რამდენიმე წელიწადია, „კლერმონი" ლიდერებს შორისაა და ჩემპიონობისთვის იბრძვის. მიზანში წლეულსაც ჩემპიონობა გაქვთ ამოღებული?**

- აბა, რა გითხრათ? ყველა თამაშის მოგება გვინდა. ჩემპიონობა გასულ სეზონშიც შეგვეძლო. რეგულარული გათამაშება პირველ ადგილზე დავასრულეთ. პლეი ოფის ნახევარფინალიც მოვიგეთ. ფინალში კი რაღაც დავაკელით და, სათვალავი ამერია, მერამდენედ გაგვისხლტა ხელიდან ჩემპიონობა.

წლეულს გათამაშების სისტემა შეიცვალა. რეგულარულში პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები პირდაპირ პლეი ოფის ნახევარფინალში გადიან. მომდევნო ოთხი კი ერთმანეთს დაუპირისპირდება და კიდევ ორ ნახევარფინალისტს გამოავლენს. ანუ ამ გუნდებს ერთი ზედმეტი თამაშის გამართვა მოუწევთ. ამიტომ, ჩვენი მიზანია, პირველი ან მეორე ადგილი დავიკაოთ, ეს ზედმეტი მატჩი რომ ავირიდოთ. მერე კი ვნახოთ, იქნებ ფორტუნამ ახლა მაინც გაგვიღიმოს.

**- ეს ახალი სისტემა ალბათ უფრო სამართლიანია. რეგულარული გათამაშება გრძელი, რთული მარათონია და საპლეიოფო ოთხეულში ადვილი შესაძლებელი იყო ერთი შემთხვევითი გუნდის მოხვედრა.**

- ასე ბევრი ფიქრობს, თუმცა საწინააღმდეგო მოსაზრებაც არსებობს. ბევრს არასწორად მიაჩნია, პლეი ოფში ზოგიერთი გუნდი ერთით მეტ მატჩს რომ ითამაშებს. ამბობენ, ხომ შეიძლება, ფინალში შემთხვევით მე-6 ადგილზე გასული გუნდი გავიდეს, რომელიც ამას ჩემპიონატის თამაშების მიხედვით არ იმსახურებს. ამაზე მეტი უსამართლობა რა იქნებაო...

სხვები პირიქით ამბობენ, კარგია, მეხუთე და მეექვსე ადგილზე გასულ გუნდებს ჩემპიონობის შანსი რომ უჩნდებათ. ამით, სატურნირო ცხრილის შუაგულში მოკალათებული გუნდებს მეტი მოტივაცია უჩნდებათ და ყველა მატჩს, ყველა ქულას უდიდესი მნიშვნელობა მიეცემაო.

ერთი სიტყვით, რამდენად გაამართლებს ახალი სისტემა, მომავალი გვიჩვენებს. ჩემპიონობა თუ გინდა, ყველას უნდა მოუგო. რა მნიშვნელობა აქვს, როგორი სისტემით გათამაშდება?

**- „კლერმონში" დიდი ხანია, თამაშობთ. წლეულს ხელშეკრულების ვადა მთავრდება. სხვა კლუბში ხომ არ აპირებთ გადასვლას?**

- კონტრაქტი სამი პლუს ერთი წლით მქონდა გაფორმებული. სამი წელი უკვე მთავრდება და ალბათ პლუს ერთს ავამოქმედებთ. სავარაუდოდ, „კლერმონში" დავრჩები. აქაურობას ძალიან შევეჩვიე. ცხადია, მომავალში რა იქნება, ძნელი სათქმელია, მაგრამ მინდა, კარიერის ბოლომდე აქ ვითამაშო.

**- გუნდში სულ რაღაც ერთი წლის წინ თქვენ გარდა კიდევ ოთხი ქართველი მორაგბე ირიცხებოდა. ამჟამად კი მარტო ხართ. რატომ შემოსწყრა ჩვენს ბიჭებს „კლერმონის" ხელმძღვანელობა?**

- პროფესიული კონტრაქტი მე და გოდერძი შველიძეს გვქონდა. გოდერძი შარშანდელი სეზონის წინ „მონტობანში" გადავიდა. ირაკლი ჭყონია, რომელიც „კლერმონის" ესპუარებში თამაშობდა, საქართველოში დაბრუნდა. დიმა ბასილაია ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „ლე ბუგეში" გადავიდა. სიმონ მაისურაძემ კი ახლახან ფედერალ 2 დივიზიონის „ვილერბანთან" მოაწერა ხელი.

ჭყონიას გარდა, ყველა საქართველოს ნაკრების წევრია. იქ კი ცუდი მოთამაშეები არ ხვდებიან. უბრალოდ, „კლერმონში" ძალიან დიდი კონკურენციაა. გუნდი უმაღლესი დონის მორაგბეებითაა დაკომპლექტებული და დამკვიდრება ძალიან ძნელია.

**- ნოემბერში საქართველოს ნაკრებმა ორი ამხანაგური მატჩი უნდა გამართოს. ბორჯღალოსანთა რიგებში სასპარეზოდ თუ გამოგიძახეს, კლუბიდან პრობლემა ხომ არ შეგექმნებათ?**

- არა, არ შემექმნება. თუ გამომიძახებენ და ჯანმრთელობამაც ხელი შემიწყო, აუცილებლად ჩამოვალ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

### საქართველოს თასი

**ნახევარფინალი**

**აკადემია-ლოკომოტივი 10:17**

**დღეს**

აია — ლელო

საპასუხო შეხვედრები 5 სექტემბერს.

### საქართველოს ჩემპიონატი

დუბლები

**ვისოლი ყოჩები-ბათუმი XV 12:32**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ლელო – 12 ქულა, 2. ვისოლი ყოჩები – 10, 3. ბათუმი XV – 9, 4. ლოკომოტივი – 3.**

ლეგიონერები




# ლორის გრიპი მორაგბეებს დაერია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრს" ხელი ღორის გრიპმა დარია. ვირუსი ექვს მორაგბეს აღმოაჩნდა. ამის გამო „კასტრის" ორი შეხვედრა „ალბისთან" და, **გოდერძი შველიძისა და ბექა შეყლაშვილის** „მონტობანთან", გადაიდო.

ამასობაში კი, საქართველოს ნაკრების მეორეხაზელმა **ილია ზედგინიძემ**, რომელმაც ახლახან მუხლის ოპერაცია გაიკეთა, გუნდი გამოიცვალა. ზედგინიძემ ხელშეკრულება ფედერალ 2-ში მოასპარეზე „კარკასონთან" გააფორმა. გასულ სეზონში ის „ექსში" თამაშობდა, რომელიც წლეულს ელიტურ, მეორე დივიზიონში იასპარეზებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭამი ფიქრისა და განსჯისა




# სეზონის საზომი: ვზრდით

**თითქმის მიიწურა სეზონი ახალგაზრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებისთვის. ცოტა ხნის წინათ გამართულ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ჩვენმა ნაკრებმა რვა სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვა, რაც ნამდვილად არაა ურიგო შედეგი. განსაკუთრებით კარგად ფალავნები ევროპის ჩემპიონატზე გამოვიდნენ, სადაც ორ-ორი ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. სეზონის შეფასება გუნდის მთავარ მწვრთნელს ნუგზარ სხირელს ვთხოვეთ.**

— ვინაიდან ევროპის ჩემპიონატი თბილისში უნდა ჩატარებულიყო, ხელმძღვანელობისგან დავალებული გვქონდა, და ეს სწორიც იყო, რომ ტურნირისთვის ოპტიმალური შემადგენლობა შეგვერჩია. გასათვალისწინებელი იყო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებს შორის დროის მცირე მონაკვეთი და წონის კლებასთან დაკავშირებული პრობლემა. ეს ართულებდა ორივე შეჯიბრებაზე ერთი და იმავე სპორტსმენების მიერ მაღალი შედეგის მიღწევას.

რადგან არჩევანი ნაკლები გვქონდა, მსუბუქ წონებში (50, 55 კგ) ორივე ჩემპიონატზე ლაშა ლომთაძე (50) და ლადო ხინჩეგაშვილი (55) ვაჭიდავეთ. ისინი ქვეყნის ჩემპიონატზე უძლიერესები იყვნენ. ლომთაძის მიერ თბილისში მოპოვებული ბრინჯაოს მედალი ერთგვარი სიურპრიზი იყო, რაშიც ფორტუნაც დაეხმარა. ლაშას მხოლოდ ორი შეხვედრა ეყო კვარცხლბეკზე ასასვლელად და მათგან ერთი მოიგო. ანკარაშიც ერთი შეხვედრა მოიგო, თუმცა ეს აღარ აღმოჩნდა საკმარისი მედლისთვის.

**— ხინჩეგაშვილისგან წარმატებებს ვართ ჩვეული, მაგრამ ამჯერად ორივე ტურნირზე ხელი მოეცარა.**

— ეს საჭიდაო ხალიჩასა და ერთიან ეროვნულ გამოცდებს შორის მისმა „გაორებამ" გამოიწვია. გამოცდებისთვის და ტურნირებისთვის ერთდროულად ემზადებოდა. თანაც აზერბაიჯანელ აზარ ფაშაევთან ზედმეტად თავდაჯერებული გავიდა - ეს ფალავანი ორი თვის წინათ ბაქოს ტურნირზე ჰყავდა დამარცხებული. ასეა თუ ისე, თბილისში მისი ასპარეზობა, ცხადია, არადამაკმაყოფილებლად შევაფასეთ. მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ლადო აწონვის შემდეგ საკვებით მოიწამლა და მთელი ღამე ექიმის ყურადღების ქვეშ იყო. ნაავადმყოფარმა ბრძოლის ჟინით გამოიცა. მოიგო პირველი ბრძოლა, შემდეგ დათმო ერთი და სანუგეშოში ცოტა რომ გამართლებოდა, ვფიქრობ, მედალს აუცილებლად მოიპოვებდა. საბოლოოდ კი მეხუთე ადგილი დაკავა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხინჩეგაშვილი შარშან ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი 50 კგ-ში გახდა, წლეულს კი 55 კგ-ში ასპარეზობდა. წონის შეცვლა და უმალვე კარგი შედეგის ჩვენება არ არის იოლი.

**— 60 კგ-ში ევროპის ორგზის ოქროს მედალოსანი მაყიშვილი ანკარაში კვესაძემ შეცვალა, მაგრამ უშედეგოდ...**

— საქართველოს ჩემპიონი მურთაზ კვესაძე გახდა, მაყიშვილი კი მეორე იყო. კონტინენტის პირველობის წინ გამართულ საერთაშორისო ტურნირებსა და შეკრებაზე მაყიშვილის მომზადების დონე აშკარად უკეთესი იყო, ამიტომ თბილისში ის ვაჭიდავეთ და კვესაძეს შევპირდით, რომ მსოფლიოზე იასპარეზებდა. მაყიშვილმა იყოჩაღა - მეორედ გახდა ევროპის ჩემპიონი. სამწუხაროდ, კვესაძემ ანაკარში ვერ გაამართლა იმედები.

**— ცვლილებას 66 კილოგრამშიც გეგმავდით, მაგრამ ანკარაში რატომღაც ისევ ხუჭუამ იასპარეზა.**

— დაახლოებით მსგავსი ვითარება იყო 66 კილოშიც, სადაც გოგა ხუჭუა და ზაურ აბრამიშვილი ეცილებოდნენ ფავორიტობას. მე ხუჭუას იმედი მქონდა საქართველოში ჭიდაობისას, აბრამიშვილი კი უცხოეთში უფრო უკეთ ავლენს თავს. შესაბამისად, ხუჭუას გამოსვლა ევროპის პირველობაზე დავგეგმეთ, აბრამიშვილისა კი მსოფლიოზე. სამწუხაროდ, ზოგიერთების ჩარევის და ჩემი ლიბერალური, ხაზს ვუსვამ ლიბერალური და არა უპრინციპო, ვინაიდან უპრინციპო არასოდეს ვყოფილვარ, ხასიათის გამო ანკარის ხალიჩაზეც ხუჭუა გავიყვანეთ, მაგრამ მან მხოლოდ ერთი ჩასათვლელი ქულა მოუტანა გუნდს. აბრამიშვილი (66 კგ) და მაყიშვილი (60 კგ) ჩემი პირადი შეგირდები არიან. ტენდენციურობაში რომ არავის დავედანაშაულებინე, მსოფლიოზე წასვლისას ორივე წონაში ჩემი შეგირდებისათვის საზიანო გადაწყვეტილება მივიღე. ვიცი, რომ მათ გულიც ვატკინე, მაგრამ გამიგებენ. სხვათა შორის, ამ საქმეში ჩამრევებიც მიხვდნენ საკუთარ შეცდომას, რაც აღნიშნეს კიდეც.

**— 74 კილოგრამში ორივე შეჯიბრებაზე დავით ხუციშვილმა იჭიდავა...**

— ხუციშვილი კონტინენტის პირველობაზე ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. მწვრთნელები კმაყოფილნი დავრჩით. მართალია, დავითი ანკარაში კვარცხლბეკზე ვერ შედგა, მაგრამ ეს არაა ტრაგედია. იგი მზარდი სპორტსმენია...

» მე-17 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სეზონის საზომი: ვზრდით

« მე-16 გვერდიდან

**— ყველაზე უფრო კმაყოფილი დავით მარსაგიშვილით (84 კგ) და გიორგი საკანდელიძით (120 კგ) იქნებით...**

— რა თქმა უნდა, მათ ხომ ორივე ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე მედლები მოიპოვეს. მარსაგიშვილმა თითქმის გაიმეორა საკუთარი ძმის, გიორგის შარშანდელი მიღწევა, რომელმაც ევროპაზეც და მსოფლიოზეც ბრინჯაოს მედლები აიღო, თანაც ორივე ტურნირზე თითო მეტად სათუო შეხვედრა დათმო მსაჯების არაობიექტურობით. სპორტის სასახლეში ყველამ ნახა, რაოდენ დამაჯერებლად დაიკავა დავითმა მეორე ადგილი. ასევე დამსახურებული იყო მისი ბრინჯაო ანკარაშიც. ამ ბიჭს წონისთვის შესაფერისი ბრწყინვალე აღნაგობა და კარგი საჭიდაო სტილი აქვს. რასაკვირველია, ჯერ კიდევ სჭირდება დახვეწა, მაგალითად, ზედმეტადაა ორიენტირებული ფეხით ჭიდაობაზე, მაგრამ მთავარია, რომ შრომისმოყვარეა. ამ წონაში ალტერნატივა ბექა ჭელიძე იყო, მაგრამ მენისკი აწუხებს. ოპერაცია კი წარუმატებელი აღმოჩნდა, ხელახლა სამკურნალოა. რაც შეეხება მძიმე წონას, აქაც გვყავს ორი ძლიერი ფალავანი - გიორგი საკანდელიძე და ლევან ბერიანიძე. გვინდოდა, გიორგის ევროპაზე, ლევანს კი მსოფლიოზე ეჭიდავა. ანაკარაში გამგზავრების წინ ვნახეთ, რომ საკანდელიძე უკეთ იყო მომზადებული და იქაც ის ვიახლეთ. გიორგიმ თბილისშიც და ანკარაშიც მხოლოდ ფინალური პაექრობები დათმო. ცხადია, ძნელია, ორივე უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებაზე თუნდაც ვერცხლის მედალი მოიპოვო. საკანდელიძემ კი ეს შეძლო!

**— მაგრამ მაინც დასანანია, რომ გიორგი ორჯერ იყო ფინალში და ერთხელაც ვერ შეწვდა ოქროს.**

— თბილისში უფრო ახლოს იყო მიზანთან, ანკარაში კი ამერიკელმა დეიმონმა დიდი უპირატესობით აჯობა. აღსანიშნავია, რომ ჩვენიანი ამერიკელზე უფრო ძლიერ ჯგუფში მოხვდა და ფინალამდე ძალიან მძიმე ბრძოლები გადაიტანა. დაამარცხა რუსი სარიკაევიც. საკანდელიძეს ფინალში მაინც ჰქონდა წარმატების შანსი, მაგრამ ჩემი მითითება ჯეროვნად არ შეასრულა.

**— 96-ში მოასპარეზე ქართველმა ფალავნებმა ორივე შეჯიბრებაში წაიფორხილეს...**

— აღმოჩნდა, რომ აქ უკიდურესად გვიჭირს! ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ოდიკაძისა და ხიდაშელის გამოსვლა ამ შეჯიბრებებზე. ოდიკაძემ თბილისში ძალიან დაბნეულმა იჭიდავა. ანკარაში ხიდეშელმაც ვერაფერი გააწყო მეტოქეებთან. შეკრებაზე შარშანდელი ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი ჩიქოვანიც წავიყვანე და მის ფონზეც შევხედე, რა შეეძლოთ.

სამწუხაროდ, შეკრებაზევე გამიცრუვდა იმედები.

**— ყოველი სეზონის მიწურულს, ასაკიდან გამომდინარე, ფალავნები ახალგაზრდულ ნაკრებს ტოვებენ და ისევ თავიდან იწყება მუშაობა. ამჯერად, საქმე?**

— 60 კილოში მოსაძებნი გვეყოლება ლიდერი. ლადო ხინჩეგაშვილი ისეთი აღნაგობის სპორტსმენია, შესაძლებელია ამ წონაში აინაცვლოს. ოღონდ, თუ ხინჩეგაშვილი მოახერხებს და დარჩება 55-ში, მაშინ მისგან უკვე ოქროს მედლებს უნდა ველოდეთ ევროპისა და მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატებზე. უკვე ვთქვი, ძალიან გვიჭირს 96-ში. მეიმედება 74, 84 და მძიმე წონითი კატეგორიების. ჩვენი გუნდის მთავარი მიზანი პირველი ნაკრების შევსებაა და, მთავარია, რომ ამ ამოცანას კარგად ვართმევთ თავს.



გიორგი მაყიშვილი

**— თუ არის რაიმე წინსვლა რიგიანი დარბაზით უზრუნველყოფის საკითხში. ამას წინათ ხომ მინისტრ რურუასაგან მიიღეთ დაპირება მის მშენებლობაზე.**

— მე ბატონი ნიკა რურუას სიტყვის ძალიან დიდი იმედი მაქვს. საგულისხმოა, რომ შეხვედრაზე, როდესაც მან ეს პირობა მოგვცა, ვიგრძენით დავით ნამგალაურისა და კახა გენაძის მხარდაჭერაც. ვფიქრობ, მალე დადგება დრო, როდესაც გორს ექნება ისეთი საჭიდაო დარბაზი და პირობები, რაც მან დიდი ხანია, დაიმსახურა!

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

## მილოცვები

**საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავენ ძალოსნობაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს და მესამე პრიზიორს, მსოფლიოს ჩემპიონს და მეორე პრიზიორს, ევროპის სამგზის ჩემპიონს და მეორე პრიზიორს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ახალგაზრდებს შორის, მსოფლიოს ორგზის რეკორდსმენს, საქართველოს სამგზის წლის საუკეთესო სპორტსმენს, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს, ღირსების და ვახტანგ გორგასლის II დაIII ხარისხის ორდენების კავალერს გიორგი ასანიძეს.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ძალოსნობაში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს (2004 წ) და მესამე პრიზიორს (2000წ), მსოფლიოს და ევროპის არაერთგზის ჩემპიონს და პრიზიორს, მსოფლიოს ორგზის რეკორდსმენს, სამგზის საქართველოს წლის საუკეთესო სპორტსმენს, საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეს, სეოკის ალმასკომის წევრს, ღირსების, ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერს გიორგი ასანიძეს.**

ინტერ?იუ დავით ნამგალაურთან

# ამ საქმეს მუშტი უნდა მაგიდაზე

## ასაკის გამყალბებლები ქართულ სპორტს მომავალს ველარ მოჰპარავენ

**წლების წინათ დაწყებული „მუტრუკების თემა“ ისევ გაცოცხლდა. ამჯერად ინიციატორი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტია - მისმა თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა ამ თემაზე სასაუბროდ თავისთან მიმიწვია როგორც ამ თემაზე წერაში ჭიპმოჭრილი. ცხადია, ყველა კარგი წამოწყება მისასალმებელია, მაგრამ სწორედ ძველი გამოცდილებიდან გამომდინარე, სპორტის დეპარტამენტსაც თუ ამ პრობლემით დაინტერესებულ ყველა უწყებას შევახსენებთ, რომ ასეთ ფესვგადგმულ პრობლემასთან ბრძოლა დაყვავებით და გაფრთხილებით შედეგს არ მოგვცემს. ცოტა მეტი სიმკაცრეცაა საჭირო, თორემ ოლიმპიურ სახეობებში თუ რალაც წესრიგი დამყარდა, არაოლიმპიურებში ისევ ისეთივე განუკითხაობაა. ნამგალაურმა ჩვენგან კონკრეტული ფაქტებიც მიიღო, რომლებიც, ვიმედოვნებთ, მართლა არ იცოდა და აუცილებლად მივხედავო თქვა. მით უფრო, იმ ფედერაციებში პასპორტებით მანიპულაცია სისტემატურად ხდება. ეტყობა, სიმკაცრის აუცილებლობას ნამგალაურიც ხვდება და მაგიდაზე მუშტის დარტმას აპირებს. მისი უმთავრესი სამიზნე რეგიონებია და ლოგიკა ამაშიც არის - თბილისიდან განდევნილმა გამყალბებლებმა რაიონებში, ქვეყნის უშორეს მალალმთიან რეგიონებში გადაინაცვლეს, სადაც შესამოწმებლად არავინ ავა. ვფიქრობთ, ფედერაციებში მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვა და ელემენტარული, მაგრამ აუცილებელი ფორმების დანერგვაც დიდწილად შეამცირებს ამ მანკიერ მოვლენას. საბედნიეროდ, ამ მხრივ ყინული დაიძრა.**



**- ბატონო დავით, ხელჩასაჭიდი გარემოებების გარეშე ამ თემაზე საუბარს არ ისურვებდით...**

- ასაკის გადაკეთების წინაალმდეგ აქტიური ბრძოლა 2005 წლიდან დავიწყეთ და ძალიან ბევრი უსიამოვნო ფაქტი თუ უხერხულობა გამოვავლინეთ. ეს იყო უკვე გაოფიციალურებული გაყალბებული დოკუმენტები და სიმართლის დასადგენად ხშირად პატარა საგამოძიებო სამუშაოების ჩატარებაც გვიწევდა. ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში რამდენიმე შეჯიბრებაც ჩავშალეთ, რადგან ფინალურ ეტაპზე ძალიან ბევრი გადაზრდილი გავიდა. ასეთ ტურნირებს შორის იყო როგორც საქართველოს ჩემპიონატები, ასევე - ამ შეჯიბრებისთვის რეგიონებში ჩატარებული შესარჩევი ტურნირები. მოვიყვან ერთ მაგალითს, როცა ჭაბუკებში ძიუდოს ჩემპიონატზე დღეს უკვე ეროვნული ნაკრების წევრმა ვალერი ლიპარტელიანმა გადაზრდილთან წააგო და იმ ტურნირის შედეგები საერთოდ გავაუქმეთ. ასეთი სიმკაცრე რომ არ გამოგვეჩინა, იქნებ ლიპარტელიანი საერთოდ დაკარგულიყო სპორტისთვის. როცა ადამიანი 2-3 წელიწადი არათანაბარ კონკურენციაშია, ფსიქოლოგიურადაც ტყდება, ფიზიკურადაც და იკარგება სპორტისთვის. ძიუდოს გარდა, ეს პრობლემა იყო კალათბურთში, ფეხბურთში, სხვა სახეობებშიც...

ამ ბრძოლის პირველ ეტაპზე ძალიან სწრაფად მივიღეთ დადებითი შედეგი და პირადად ვაგებ პასუხს იმაზე, რომ დღეს ასაკობრივ ნაკრებებში გადაზრდილები არ გამოდიან. ეს ფედერაციებთან მჭიდრო თანამშრომლობამ მოიტანა, მაგრამ უკვე მეორე ეტაპზე გადასვლაა საჭირო. გულახდილად გეტყვით, რომ ყველა ღონისძიებას აქტიურად ვერ ვაკვირდებით. განსაკუთრებით - რაიონულ და რეგიონულ დონეზე. ამიტომ გვინდა, ამ ბრძოლის მეორე ეტაპი დავიწყოთ მწვრთნელების, სპორტსმენების და მშობლების გაფრთხილებით, რომლებიც, ჩვენდა სამწუხაროდ, ხელს უწყობენ ამ პროცესს. გვაქვს კონკრეტული ფაქტები, რომ რეგიონებში გამართულ საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებებში ისევ მონაწილეობენ გადაზრდილები. ანუ რეგიონებში ისევ ხდება იგივე დარღვევები, რასაც თბილისში მთელი ეს წლებია ვებრძვით.

**- ფაქტია, რომ ამ ბრძოლამ შედეგი ბოლომდე მაინც ვერ გამოილო. რეგიონების გარდა, თვით თბილისშიც კი ოლიმპიურ სახეობებში იქნებ არა, მაგრამ არაოლიმპიურებში ეს ისევ ჩვეულებრივი ამბავია. 2005 წელს თქვენ მიერ ხსენებულ შეჯიბრებებზე „ლელო“ აქტიურად წერდა. გვაინტერესებს, ვინმე თუ დაისაჯა მაშინ გამოვლენილი დარღვევებისთვის?**

- ჩვენ მიერ ჩაშლილ იმ თავდაპირველ ღონისძიებებში გაფრთხილებებით შემოვიფარგლეთ, ავუხსენით, რომ ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და მწვრთნელებისთვის ცუდად დამთავრდება. გასაგებია, რომ ძალიან გვიძნელდება იმ რაოდენობის სპორტსმენთა ერთბაშად გადამოწმება, რომლებზეც ტურნირებზე ეჭვი გამოითქმება. შესაბამის სამსახურებში მათი მონაცემების გადამოწმებას საკმაო დრო უნდა. ამ საქმეში თუ ნდობა და ერთსულოვნება არ იქნება, თვითონ ფედერაციები და ადგილობრივი სპორტის განყოფილებები მჭიდროდ არ ითანამშრომლებენ ჩვენთან, ძალიან გაგვიჭირდება. მოვუწოდებ მწვრთნელებს თანამშრომლობისკენ, ქვეყანაში სპორტის სწორად განვითარება და ჩვენი ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის გზის გაკვლევა თუ გვინდა მაღალი მიღწევების სპორტისკენ. ამის ნათელი მაგალითები უკვე არის საჭიდაო სახეობებში - ორივე ნაკრებმა საკუთარ თავზე გადაიტანა ამ ბრძოლის შედეგი. ასევეა ძიუდოში, რისი მაგალითიც იგივე ლიპარტელიანია. ვაფრთხილებ ყველას, რომ საგაისოდ საწარმოებელი ბრძოლისთვის აქედანვე ვემზადებით. ყველა ფედერაციაზე მიმაგრებულია დეპარტამენტის თანამშრომელი და სერიოზულად გავაკონტროლებთ მთელ პროცესს. ცალკეული სახეობების კურატორები დაესწრებიან ყველა ღონისძიებას და პირადობის მოწმობის გარეშე არც ერთ მონაწილეს არ დავუშვებთ შეჯიბრებაში, ბევრს რატომლაც მაინცდამაინც ტურნირის დაწყების წინ რომ ავიწყდება საბუთები. ასე დასაეჭვებელი სხვა ფაქტებიცაა, მაგრამ ყველაფერს მივხედავთ. ფედერაციებისგანაც ვგრძნობთ მხარდაჭერას, მაგრამ მათი მხრიდან მეტია გასაკეთებელი. სიმართლე გითხრათ, ეს მთლიანად ფედერაციების საქმეა, მაგრამ მზად ვართ, ადამიანური რესურსებით იქნება, მონაცემთა ბაზით თუ რითიც შეგვეძლება, დავეხმაროთ ამ ბრძოლაში და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწრაფი რეაგირება მოვახდინოთ. მინდა, ეს იყოს მკაცრი გაფრთხილება იმათთვის, ვინც ცდილობს, სპორტსმენებს უკანონო გზით მოაპოვებინოს წარმატება და ამის ხარჯზე ბევრ პერსპექტიულ ახალგაზრდას დაანებებინოს თავი სპორტისთვის.

**- მსგავსი დარღვევების გამოსავლენად ძალიან ეფექტურია მონაცემთა გადამოწმება ცენტრალურ არქივში...**

- თქვენ წარმოიდგინეთ, იყო შემთხვევა, როცა პიროვნების ასაკი ცენტრალური არქივის მონაცემებითაც დასტურდებოდა, მაგრამ მერე სამშობიარო სახლში გადავამოწმეთ და იმის საფუძველზე აღმოვაჩინეთ დარღვევა. 2004 წლის შემდეგ მსგავს დარღვევებს გამოვრიცხავ, მაგრამ მანამდელი პერიოდის ბევრი დოკუმენტი განადგურებულია.

**- ვფიქრობ, ამ დარღვევას ფედერაციებში სპორტსმენთა ანკეტების შექმნა და ელექტრონულ ბაზაში შეტანაც შეაჩერებს.**

- მონაცემთა ბაზა სპორტის დეპარტამენტმა უკვე შექმნა და მას მალე ჩვენს საიტზე დავდებთ. იქ თითქმის ყველა მონაცემია - სისხლის ჯგუფით დაწყებული, ტანსაცმლის ზომებით დამთავრებული. პირველი მწვრთნელი, მიღწევები და ყველაფერი, რაც საჭიროა როგორც გულშემატკივრების, ასევე ჩვენთვის. სადღეისოდ შექმნილია 1000 ანკეტა, პირველ ეტაპზე ძირითადად ასაკობრივი და ეროვნული ნაკრებების წევრებზეა გათვლილი. ფედერაციებს დავურიგეთ შესავსები ანკეტები და ახლა მათგან შევსებულ ვარიანტებს ველოდებით, რომლებსაც გადავამოწნებთ და ისე შევიყვანთ მონაცემთა ბაზაში. ეს ძალზე საშური საქმეა, რადგან მისი შექმნა ბევრად გაგვიიოლებს საქმეს - ადგილზე ჩასვლის გარეშე, აქედანვე შეგვეძლება ჩვენთვის საჭირო სპორტსმენის ანკეტის გადამოწმება, რაც დიდ დროს და ფინანსებს დაგვიზოგავს. სამწუხაროდ, ამ მხრივ ზოგიერთ ფედერაციას უნდა ვუსაყვედურო, რადგან მშრალი ციფრების იქით მოვარჯიშე სპორტსმენთა რაოდენობაზე ზუსტი მონაცემები არა აქვთ. საბუთების გაყალბების მსურველებს ესეც ხელს უწყობს უკანონო და უზნეო განზრახვებში.

**- მწვრთნელებზე თუ იგეგმება ასეთი მონაცემთა ბაზის შექმნა? ეს ასაკის გადაკეთებისგან განყენებული საკითხია, მაგრამ ბავშვთა სპორტის განვითარებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.**

- მწვრთნელთა საკითხი ძალზე მტკივნეულად დგას, რადგან კვალიფიციური კადრების დეფიციტი თითქმის ყველა სახეობაში მწვავედ გვაწუხებს. საბედნიეროდ, ეროვნულ ნაკრებებში მსოფლიო დონის სპორტსმენები გვყავს და მათი წყალობით ვცდილობთ, არ ჩამოვრჩეთ, მაგრამ ბავშვთა დონეზე სერიოზული პრობლემებია. განსაკუთრებით - რაიონებში. თბილისშიც, მაგრამ დედაქალაქის მერიის მიერ ამოქმედებულმა პროგრამამ მწვრთნელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, რაც 500 ლარამდე ხელფასის დანიშვნაში გამოიხატება, ქართულ სპორტს ძალიან ბევრი კვალიფიციური მწვრთნელი დაუბრუნა. ამ საკითხის მოგვარებაც ფედერაციებს ევალებათ როგორც შიდა წესდებით, ასევე საერთაშორისო ფედერაციების მოთხოვნით. საამისოდ სწორედ საერთაშორისო ფედერაციების ეგიდით და დაფინანსებით უამრავი პროგრამა ხორციელდება - გადამზადება, საკვალიფიკაციო კურსები, სემინარები... ფედერაციებს უფლება ეძლევათ, ამ პრაქტიკულ-თეორიული სწავლების კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატები გასცენ. ამ საკითხში ფედერაციები მუდამ კრიტიკის ქვეშ გვყავს, რადგან მათგან მუდამ მეტს ვითხოვთ.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

ამერიკის ღია პირველობის წინ

# კიმი და რაფა იმედიანად არიან



ამერიკის ღია პირველობაზე საყოველთაო ყურადღება ბელგიელი **კიმ კლაისტერსის** მიმართ იქნება მიპყრობილი. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პირველად ითამაშებს ამ ტურნირზე. დიდ სპორტში დაბრუნებული კიმი დადებითად აფასებს ცინცინატისა და ტორონტოში გამოსვლას.

*"მოხარული ვარ თამაშის იმ დონით, რომელიც ტორონტოსა და ცინცინატიში ვაჩვენე. დავამარცხე რეიტინგის საუკეთესო ათეულის ორი წევრი, მოვუგე ამომავალ ვარსკვლავ ვიქტორია აზარენკას. შემეძლო ტორონტოს მეოთხედფინალში ელენა იანკოვიჩის დამარცხებაც. იმ წაგებით განაწყენებული დავრჩი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ საუკეთესო ფორმასთან ძალიან ახლოს ვარ. ცოტაოდენი პრაქტიკა და მზად ვიქნები.*

*ამერიკის ღია პირველობა 2005 წელს მოვიგე, მაგრამ ტიტულის დაცვის საშუალება არ მქონია, რადგან მომდევნო წელს ხელის ტრავმა მქონდა, 2007 წელს კი ფეხმძიმედ ვიყავი. ამიტომაც ახლა თავს დებიუტანტად ვგრძნობ"*, - ამბობს კლაისტერსი.

პირველ წრეში კიმის მეტოქე უკრაინელი **ვიქტორია კუტუზოვა** იქნება, მეორეში, სავარაუდოდ, მე-14 ნომრად განთესილ ფრანგ **მარიონ ბარტოლის** შეხვდება, რომელსაც, სხვათა შორის, ცინცინატის ტურნირზე მოუგო. თუ ყველაფერი მოლოდინისამებრ განვითარდა, მერვედფინალში კლაისტერსი ამერიკელ **ვენუს უილიამსს** უნდა შეხვდეს.

■ ■ ■

მსოფლიოს მესამე ჩოგანი **რაფაელ ნადალი** ამერიკის ღია პირველობის სტარტის წინ ამ ტურნირისთვის მზადების შესახებ მოუყვა ჟურნალისტებს. ესპანელი ტრავმით გამოწვეული ორთვიანი შესვენების შემდეგ სულ ცოტა ხნის წინ დაუბრუნდა კორტს. ამ დროის განმავლობაში მან რეიტინგში მეორე პოზიცია დაკარგა, ასე რომ, რაფას აშშ-ის ლიაზე ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი.

*"დღეს მე მსოფლიოს მესამე ჩოგანი ვარ, მაგრამ რატომ არ შეუძლია რეიტინგის მესამე ნომერს "დიდი სლემის" ტურნირის მოგება? თუმცა იმაში არ ვარ დარწმუნებული, რომ აშშ-ის ღია პირველობას ოპტიმალურ ფორმაში შევხვდები. ტრავმის შემდეგ, პირველ რიგში, ჩემს დაზიანებულ მუხლებს ვაკვირდებოდი. ახლა ყველაფერი წესრიგშია, ტკივილი არ მაწუხებს. ჩემთვის ამერიკის ღია განსაკუთრებული ტურნირია. "დიდი სლემის" სერიის სხვა სამი ჩემპიონატი მოგებული მაქვს და თუ ნიუ იორკში გამარჯვებას მივაღწევ, "კარიერულ დიდ სლემს" მოვიპოვებ. ეს უდიდესი წარმატება იქნება"*, - განაცხადა ნადალმა.

ესპანელი ჩოგბურთელი მეშვიდედ მიიღებს მონაწილეობას ამერიკის ღია პირველობაზე. მას საუკეთესო შედეგი შარშან ჰქონდა, როცა ნახევარფინალში გაალწია და იქ ოთხ სეტში - 2:6, 6:7, 6:4, 4:6 წააგო ბრიტანელ **ენდი მიურეისთან**.

■ ■ ■

ამერიკის ღია პირველობის ძირითადი ბადე უკვე ცნობილია. როგორც იცით, "დიდი სლემის" ტურნირებზე განთესვის ნომერს 32 ჩოგბურთელი იღებს და ისინი მესამე წრემდე არ ხვდებიან ერთმანეთს. იმ შემთხვევაში, თუ პირველ ორ ეტაპზე ლოგიკური შედეგები დაფიქსირდება, 1/16 ფინალში განთესილი ჩოგბურთელები ასე დაწყვილდებიან.

**კაცები**

ფედერერი (1)-ჰიუიტი (31); ბლეიკი (21)-რობრედო (14); სიოდერლინგი (12)-კუერი (22); მატიო (26)-დავიდენკო (8); ჯოკოვიჩი (4)-ანდრეევი (29); კოლშრაიბერი (23)-შტეპანეკი (15); ვერდასკო (10)-ჰაასი (20); ჰანესკუ (28)-როდიკი (5); ცონგა (7)-ტროიცკი (30); ბერდიხი (17)-ფ. გონსალესი (11); მონფილსი (13)-ფერერი (18); ალმაგრო (32)-ნადალი (3); დელ პოტრო (6)-ფიში (25); ფერერო (24)-სიმონი (9); ჩილიჩი (16)-ვავრინკა (19); კარლოვიჩი (27)-მიურეი (2).

**ქალები**

საფინა (1)-კლეიბანოვა (27); შნიდერი (19)-რაზანო (16); ივანოვიჩი (11)-ლისიცკი (23); ა. ბონდარენკო (30)-იანკოვიჩი (5); დემენტიევა (4)-შარაპოვა (29); ჟენგი (21)-პეტროვა (13); ვოზნიაჩკი (9)-კირსტეა (24); შავაი (32)-კუზნეცოვა (6); აზარენკა (8)-სკიავონე (26); ნა ლი (18)-ა. რადვანსკა (12); ბარტოლი (14)-მედინა გარიგესი (20); კანეპი (25)-ვ. უილიამსი (3); ზვონარევა (7)-ვესნინა (31); მორესმო (17)-პენეტა (10); სტოსური (15)-პანტუხოვა (22); ბამერი (28)-ს. უილიამსი (2).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## აშშ-ის ღია პირველობა. კაცების ბადე

1/64 | 1/32 | 1/16 | 1/8 | 1/4 | 1/2

ფედერერი (შვეიც, 1)
ბრიტონი (აშშ)
კვალიფიკაცია
გრეული (გერ)
ჩელა (არგ)
ერნანდესი (ესპ)
ალვეში (ბრა)
ჰიუიტი (ავსტრა, 31)
ბლეიკი (აშშ, 21)
რამირეს იდალგო (ესპ)
ო. როხუსი (ბელ)
კუნიცინი (რუს)
კვალიფიკაცია
გარსია-ლოპესი (ესპ)
კვალიფიკაცია
რობრედო (ესპ, 14)
სიოდერლინგი (შვე, 12)
მონტანიესი (ესპ)
ზვერევი (გერ)
გრანოლერსი (ესპ)
კიმი (აშშ)
სელა (ისრ)
კვალიფიკაცია
კუერი (აშშ, 22)
მატიო (საფ, 26)
იუჟნი (რუს)
სტარაჩე (იტა)
კვალიფიკაცია
ჰერნიხი (ჩეხ)
შუტლერი (გერ)
კვალიფიკაცია
დავიდენკო (რუს, 8)
ჯოკოვიჩი (სერ, 4)
ლუბიჩიჩი (ხორ)
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
ბეკი (სლოვაკ)
მ. გონსალესი (არგ)
კვალიფიკაცია
ანდრეევი (რუს, 29)
კოლშრაიბერი (გერ, 23)
სეპი (იტა)
კვალიფიკაცია
ჟილი (პორ)
გოლუბევი (ყაზ)
მაიერი (არგ)
ბოლელი (იტა)
შტეპანეკი (ჩეხ, 15)
ვერდასკო (ესპ, 10)
ბეკერი (გერ)
სერა (საფ)
ტიპსარევიჩი (სერ)
კენდრიკი (აშშ)
ვასალო არგუელო (არგ)
კვალიფიკაცია
ჰაასი (გერ, 20)
ჰანესკუ (რუმ, 28)
ისნერი (აშშ)
კვალიფიკაცია
კ. როხუსი (ბელ)
ჟიკელი (საფ)
ტურსუნოვი (რუს)
ფაუ (გერ)
როდიკი (აშშ, 5)

ამერიკის ღიას რეკორდები

**ყველაზე მეტი ფინალი**

10 - ბილ ტილდენი (1918-25, 27, 29)
9 - ბილ ლარნედი
8 - ბილ ჯონსტონი, ივან ლენდლი, პიტ სამპრასი
7 - რიჩარდ სირსი, ჯიმი კონორსი
6 - ანდრე აგასი
5 - როჯერ ფედერერი, მორის მაკლაფლინი, ჯონ მაკინროი

**ყველაზე მეტი ფინალი (ზედიზედ)**

8 - ბილ ტილდენი (1918-25); ივან ლენდლი (1982-89)
7 - რიჩარდ სირსი (1881-87)
5 - როჯერ ფედერერი (2004-08); ჯიმი კონორსი (1974-78); მორის მაკლაფლინი (1911-15); რობერტ ვრენი (1893-97)

**ყველაზე მეტი წაუგებელი ფინალი**

7 - რიჩარდ სირსი (1881-87)

**ყველაზე მეტი წაგებული ფინალი**

6 - ბილ ჯონსტონი (1916, 20, 22-25)
5 - ივან ლენდლი
4 - ბიორნ ბორგი, ანდრე აგასი

**ყველაზე მეტი ნახევარფინალი (ზედიზედ)**

12 - ჯიმი კონორსი (1974-85 )

**ყველაზე მეტი მონაწილეობა (კარიერა)**

28 - ვიკ სეიქსასი (1940-42, 44, 46-69)
26 - სიდნი ვუდი, (1927-28, 30-49, 51-54, 56)
23 - ნათანიელ ნილსი (1904-26); უოტსონ უოშბურნი (1910-17, 20-24, 26-30, 33-37); ფრენსის შილდსი (1926-35, 38-41, 45, 47-54); უოლას ჯონსონი (1904-16, 19- 28)
22 - ჯიმი კონორსი (1970-89, 91-92)
21 - ანდრე აგასი (1986-2006)

**ყველაზე მეტი მოგებული სეტი (ზედიზედ)**

28 - ფრანკ სედგმენი (1951-52)
27 - ტონი ტრაბერტი (1953-54)

**ყველაზე მეტი მონაწილეობა (ზედიზედ)**

24 - ვიკ სეიქსასი (1946-69)
23 - ნათანიელ ნილსი (1904-26)
21 - ანდრე აგასი (1986-2006)
20 - ჯიმი კონორსი (1970-89)

**ყველაზე მეტი მატჩი (კარიერა)**

115 - ჯიმი კონორსი (1970-89, 91-92)
102 - ვიკ სეიქსასი (1946-69)
98 - ანდრე აგასი (1986-2006)

**მოგებების პროცენტი (კარიერა)**

(მინიმუმ 50 ნათამაშები მატჩი)
91.0% - ბილ ტილდენი (71-7)
88.7% - პიტ სამპრასი (71-9)
85.3% - ბილ ჯონსტონი 1914-27 (58-10)
85.2% - ჯიმი კონორსი (98-17)

**ყველაზე მეტი მოგებული მატჩი (კარიერა)**

98 - ჯიმი კონორსი (1970-89, 91-92)
79 - ანდრე აგასი (1986-2006)
75 - ვიკ სეიქსასი (1946-69)
73 - ივან ლენდლი (1979-94); ბილ ტილდენი (1916-30)
71 - პიტ სამპრასი (1988-2002)

**ყველაზე მეტი მოგებული მატჩი (ზედიზედ)**

42 - ბილ ტილდენი (1920-26)
34 — როჯერ ფედერერი (2004-08)
27 - ივან ლენდლი (1985-88)
26 - ჯონ მაკინროი (1979-82)
21 - როჯერ ფედერერი (2004-06)
20 - მორის მაკლაფლინი (1912-14)
18 - რიჩარდ სირსი (1881-87); ფრედ პერი (1933-35)

1/2 | 1/4 | 1/8 | 1/16 | 1/32 | 1/64

ცონგა (საფ, 7)
ბუჩენანი (აშშ)
ნიემინენი (ფინ)
ფონინი (იტა)
ჩიპოლა (იტა)
ბენეტო (საფ)
კვალიფიკაცია
ტროიცკი (სერ, 30)
ბერდიხი (ჩეხ, 17)
ოდესნიკი (აშშ)
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
კვალიფიკაცია
რამი (აშშ)
მასუ (ჩილ)
ფ. გონსალესი (ჩილ, 11)
მონფილსი (საფ, 13)
შარდი (საფ)
კოროლიოვი (რუს)
ზეკი (გერ)
დანიელი (ბრა)
აკასუსო (არგ)
მარტინი (ესპ)
ფერერი (ესპ, 18)
ალმაგრო (ესპ, 32)
დარცისი (ბელ)
ჯინეპრი (აშშ)
პაველი (რუმ)
ლოდრა (საფ)
კიფერი (გერ)
გასკე (საფ)
ნადალი (ესპ, 3)
დელ პოტრო (არგ, 6)
მონაკო (არგ)
მელცერი (ავსტრია)
საფინი (რუს)
კუევასი (ურუ)
გუჩიონე (ავსტრა)
კოლერერი (ავტრია)
ფიში (აშშ, 25)
ფერერო (ესპ, 24)
სანტორო (საფ)
პეტცშნერი (გერ)
სტახოვსკი (უკრ)
კვალიფიკაცია
ლუ (ტაივ)
ხიმენო-ტრავერი (ესპ)
სიმონი (საფ, 9)
ჩილიჩი (ხორ, 16)
სვიტინგი (აშშ)
გაბაშვილი (რუს)
ლევინე (აშშ)
ისტომინი (უზბ)
ევანსი (აშშ)
ლაპენტი (ეკვ)
ვავრინკა (შვეიც, 19)
კარლოვიჩი (ხორ, 27)
ნავარო (ესპ)
ფ. ლოპესი (ესპ)
დენტი (აშშ)
კაპდევილე (ჩილ)
კრივოი (რუმ)
გულბისი (ლატ)
მიურეი (ბრიტ, 2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# პირველი ბელგიამ მოიგო

მოულოდნელად დასრულდა ევრობასკეტის საკვალიფიკაციოს ფინალის პირველი მატჩი. ევროპის ჩემპიონატის ერთადერთი საგზურისთვის ბელგიისა და საფრანგეთის ნაკრებები იბრძვიან და პირველი შეხვედრა ბელგიელთა მოედანზე გაიმართა.

საწყისი მეოთხედის მსვლელობა ფრანგებს ცუდს არაფერს უქადდა. სტუმრები **ტონი პარკერის** (პირველ ტაიმში 18 ქულა დააგროვა) შესანიშნავი თამაშის წყალობით 8 ქულით გავიდნენ წინ. სიტუაცია მეორე ნახევარში შეიცვალა, როცა "რეალის" მძიმე ფორვარდის **ალექს ერველის** (პირველი ბელგიელი, ვინც NBA-ის დრაფტზე აიყვანეს - 1995 წელს "დენვერმა") მონდომებით მასპინძლებმა ორ ქულამდე შეამცირეს სხვაობა, ასე რომ, მესამე მეოთხედში ყველაფერი თავიდან დაიწყო.

ფრანგებმა მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად მონდომებით დაიწყეს და სულ მალე შვიდი ქულით გავიდნენ წინ - 48:41, მაგრამ ზუსტად სამ წუთში ბელგიელები 10:0 გაიქცნენ (ამ ათიდან ხუთი ქულა ერველისა იყო) და თავად დაწინაურდნენ სამი ქულით - 51:48. ამის შემდეგ, თითქმის სულ წინ მასპინძლები იყვნენ. საფინალო სირენამდე 6 წუთითა და 36 წამით ადრე მათი უპირატესობა ექვს ქულამდე ავიდა (64:58). აქ კი პარკერმა იყოჩაღა - მის ოთხ ქულას **ტურიაფის** ჩატენვაც დაემატა და ანგარიში გათანაბრდა - 64:64. აღსანიშნავია, რომ ხუთი წუთი ბელგია ქულას ვერ აგროვებდა.

მატჩის გმირი აღმოჩნდა იტალიის "ვარეზეს" მცველი **დიმიტრი ლაუერსი.** ბოლო წუთ-ნახევარში მან ორი სამქულიანი ჩააგდო, რასაც პარკერმა ერთი ზუსტი ტყორცნით უპასუხა და საბოლოოდ ტაბლოზე ბელგიის ოთხქულიანი უპირატესობა დაფიქსირდა.

ფრანგების წაგება რამდენიმე გარემოებამ განაპირობა. მატჩის საუკეთესო მოთამაშეს, ტონი პარკერს (26 ქულა) მხარი ვერ აუბეს **ნიკოლა ბატუმმა** და **ბორის დიავმა** (ამ დუეტმა ჯამში 9 ქულა დააგროვა), გარდა ამისა, სტუმრებმა 12 სამქულიანიდან მხოლოდ ორი ჩააგდეს და 13-ჯერ დაკარგეს ბურთი.

განმეორებითი შეხვედრა კვირას გაიმართება და საფრანგეთს მინიმუმ ხუთი ქულით მოგება სჭირდება ევრობასკეტის ერთადერთი ვაკანტური საგზურის მოსაპოვებლად.

**ბელგია-საფრანგეთი 70:66**

19:27, 18:12, 18:17, 15:10

ბ: ერველი (14+6 მოხსნა), მოორსი (13), ლაუერსი (12), მბენგა (7+7 მოხსნა).

ს: პარკერი (26), ტურიაფი (14+12 მოხსნა), დიავი (6), ბატუმი (5).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ამერიკის ჩემპიონატი. პუერტო რიკო

**A ჯგუფი**

**კანადა-მექსიკა 95:40**

30:13, 19:8, 29:12, 17:7

კ: როტენი (18), ინგლიში (17), ენტონი (11+5 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბაკნორი (11), ფამუტიმი (10+6 პასი+3 ჩაჭრა), კენდალი (5+11 მოხსნა).

მ: ჩავესი (10), აგირე (6+10 მოხსნა).

**პ. რიკო-ვირჯინიის კ-ები 85:74**

16:21, 22:22, 26:10, 21:21

პ-რ: აროიო (24+5 პასი+3 ჩაჭრა), ლი (13+6 მოხსნა+3 დაფარება), რამოსი (11+10 მოხსნა), სანტიაგო (11).

ვ: შეპარდი (18+5 პასი), ჯონსი (18+7 მოხსნა), ვიქტორი (12+7 მოხსნა), ჰოჯი (9+5 პასი+4 ჩაჭრა).

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. პუერტო რიკო - 2 მოგება/0 წაგება, 2. კანადა - 1/0, 3. ურუგვაი - 1/0, 4. ვირჯინიის კ-ები - 0/1, 5. მექსიკა - 0/2.

**B ჯგუფი**

**პანამა-დომინიკის რეს. 87:100**

27:25, 23:23, 10:28, 27:24

პ: პინოკი (27+3 ჩაჭრა), ლიორედა (19+14 მოხსნა+6 პასი), გრინი (13), ჯონსი (10).

დ: გარსია (24), ფლორესი (21+5 მოხსნა+4 პასი+4 ჩაჭრა), ვილანუევა (15+10 მოხსნა), ჰორფორდი (10+7 მოხსნა), მარტინესი (10).

**ბრაზილია-ვენესუელა 87:67**

18:18, 26:6, 19:19, 24:24

ბ: ბარბოზა (15), ვარეჟაო (14+9 მოხსნა), სპლიტერი (11+8 მოხსნა), მაშადუ (11), გარსია (9+4 მოხსნა+5 პასი).

ვ: ლუგო (12+6 მოხსნა), პერესი (12), რომერო (11), სენტენიო (7+5 პასი).

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ბრაზილია - 2 მოგება/0 წაგება, 2. დომინიკის რეს. - 1/1, 3. ვენესუელა - 1/1, 4. პანამა - 0/1, 4. არგენტინა - 0/1.

კალათბურთი

## რეალმა დაშიჩი შეიძინა

ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფორვარდი **ვლადიმერ დაშიჩი** (21 წლის, 208 სმ) "რეალში" გააგრძელებს კარიერას. როგორც ევროლიგის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, მხარეებმა ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

ოთხი სეზონის განმავლობაში დაშიჩი "ბუდუჩნოსტში" თამაშობდა. 2008-09 წლების ევროთასზე ის საშუალოდ 12.3 ქულას, 8.3 მოხსნასა და 2.2 ჩაჭრას აგროვებდა.

საინტერესოა, რომ საკალათბურთო კარიერის დასაწყისში დაშიჩი წყალბურთში იყო სერბეთის ჩემპიონი.

ჰოკეი

## კეინს აპატიეს

2007-08 წლების სეზონის საუკეთესო ახალბედამ, "ჩიკაგო ბლეკჰოქსის" ფორვარდმა **პატრიკ კეინმა** და მისმა ბიძაშვილმა **ჯეიმსმა** აღიარეს 9 აგვისტოს ქალაქ ბაფალოში ტაქსის მძღოლზე თავდასხმა.

სასამართლომ ორივე ბრალდებულს 62 წლის დაზარალებულისთვის წერილობით ბოდიშის მოხდა დააკისრა. ტაქსის მძღოლის სიტყვებით, თავდამსხმელები იმან გაალიზიანა, რომ დაზარალებულს 20 ცენტის (!) ოდენობის ხურდა არ აღმოაჩნდა.

ჰოკეისტი უფრო მკაცრ სასჯელს იმ შემთხვევაში გადაურჩება, თუ მომავალი ერთი წლის განმავლობაში კანონს არ დაარღვევს.

ფორმულა 1

## სეზონი ბაჰრეინში დაიწყება

როგორც უკვე ვწერდით, გასულ კვირას ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** გუნდებს 2010 წლის კალენდრის წინასწარი ვერსია შესთავაზა. ამ საკითხის განხილვა ამ უქმეებზე ბელგიაში გაგრძელდება.

ბრიტანულმა Autosport-მა მომავალი მოლაპარაკებების ზოგიერთი დეტალი შეიტყო. მთავარი სიახლე ის არის, რომ 2010 წლის ჩემპიონატი შეიძლება არა ავსტრალიაში, არამედ ბაჰრეინში დაიწყოს.

ავსტრალიის გრან-პრის გადატანის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ექლსტოუნს ევროპელი მაყურებლებისთვის უფრო მოხერხებულ დროს სურს მელბურნის ეტაპის ჩატარება. ამისთვის კი საჭირო იქნება ავსტრალიის ეტაპის ზაფხულის დროზე გადასვლის (28 მარტი) შემდეგ ჩატარება.

სავარაუდოდ, ჩემპიონატი 14 მარტს ბაჰრეინში დაიწყება. თუმცა ავსტრალიის გრან-პრის ორგანიზატორებს სურთ შეინარჩუნონ თავიანთი ეტაპის განსაკუთრებული სტატუსი და ამჯერადაც მათ გახსნან ახალი სეზონი. ამიტომაც მოლაპარაკებები გრძელდება. კალენდრის პირველი ოფიციალური ვერსია ოქტომბერში გამოქვეყნდება.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონატი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| იტალია-შვედეთი | 0:2 |
| ინგლისი-რუსეთი | 3:2 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| მილუოლი-ბრაიტონი | 1:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბორუსია (მ)-მაინცი | 2:0 |

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ალენი-მიუნხენი | 0:0 |
| კარლსრუე-სტ. პაული | 0:4 |
| კობლენცი-კოტბუსი | 0:2 |

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| დორტმუნდი A-უნტერჰახინგი | 1:2 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| ტ. ბორუსია-ვილჰელმშაფენი | 1:1 |
| სტ. პაული A-ლიუბეკი | 1:3 |
| ხემნიცი-ჰალეშერი | 1:1 |

**რეგიონალლიგა (სამ)**

| | |
|---|---|
| შტ. კიკერსი-მიუნხენი A | 1:1 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ბონერი-ელვერსბერგი | 0:2 |
| მაინცი A-მანჰაიმი | 1:0 |
| ფორტუნა A-ტრირი | 2:1 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბასტია-ლავალი | 0:1 |
| ისტრი-დიჟონი | 1:1 |
| კაენი-არლი | 1:0 |
| კლერმონი-შატორუ | 0:0 |
| სტრასბური-სედანი | 2:2 |

**ჰოლანდია**

| | |
|---|---|
| ვაალვიკი-დენ ჰააგი | 0:2 |
| როდა-ვიტესი | 3:4 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აპელდოორნი-ტოპ ოსი | 2:1 |
| გრააფსხაპი-ომნივორლდი | 4:0 |
| დენ ბოში-კამბური | 2:4 |
| ეინდჰოვენი II-ექსელსიორი | 4:4 |
| ვოლენდამი-ცვოლე | 0:3 |
| იგლზი-ფორტუნა | 2:0 |
| ჰაარლემი-ემენი | 4:0 |
| ჰელმონდი-დორდრეხტი | 1:1 |
| როსენდაალი-მაასტრიხტი | 3:0 |
| ვეენდამი-ტელსტარი | 1:1 |

**ბელგია**

| | |
|---|---|
| ვესტერლო-ვარეგემი | 1:2 |

**პორტუგალია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ეშტორილი-ვარზიმი | 1:1 |

**შვედეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვასბი-ლიუნგსკილე | 2:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| მატერსბურგი-აუსტრია (კ) | 4:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დორნბირნი-ჰარტბურგი | 1:1 |
| ლუსტენაუ-აუსტრია (ლ) | 1:2 |
| გრატკორნი-აუსტრია II | 4:0 |
| სტ. პოლტენი-ტიროლი | 1:0 |
| ვენა-ზალცბურგი II | 1:2 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| ლუგანო-ლოკარნო | 2:2 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-გაზიანთეფი | 0:0 |

**ირლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეი-დერი | 0:1 |
| გალვეი-შემროკი | 0:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| უნივერსიტი-ლიმერიკი | 2:1 |
| კილდეირი-ფინ ჰარპსი | 0:2 |
| შელბურნი-უექსფორდი | 1:2 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ნითი-ნიუთაუნი | 1:1 |
| ბალა თაუნი-პორტმედოგი | 0:0 |
| სეფნი-ბანგორი | 0:1 |
| ჰევერფორდვესტი-კარმარტენი | 2:1 |

**ჩეხეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დუკლა-ვლაშიმი | 5:1 |
| იჟლავა-ჰლუჩინი | 0:0 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ბალტიკა-მვდ | 3:0 |
| ნოსტა-ვოლგა | 0:0 |
| ალანია-სიბირი | 1:0 |
| მეტალურგი-ლ. ენერგია | 1:2 |
| ნიჟნი ნოვგოროდი-ურალი | 0:0 |
| ვიტიაზი-კამაზ | 1:2 |
| სალუტი-სკა ენერგია | 2:0 |
| შინიკი-ჩიტა | 0:2 |
| ჩერნომორეცი-გაზპრომი | 1:1 |
| კრასნოდარი-ანჟი | 0:1 |

**პოლონეთი**

| | |
|---|---|
| პიასტი-ოდრა | 2:1 |
| ლეგია-პოლონია (ბ) | 1:0 |

**სლოვენია**

| | |
|---|---|
| დომჟალე-ნაფტა | 2:1 |

**უნგრეთი**

| | |
|---|---|
| ვიდეოტონი-ზალაეგერშეგი | 1:2 |

**რუმინეთი**

| | |
|---|---|
| ოცელული-უნირეა (უ) | 1:4 |
| არჯესი-ბრაშოვი | 0:3 |

**ბულგარეთი**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი (პ)-ბეროე | 1:3 |

**კალათბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| მაკედონია-ბრიტანეთი | 78:67 |
| ხორვატია-გერმანია | 75:62 |

TV პროგრამა

**29 აგვისტო. შაბათი**

**იმედი**

11:15 სპორტული კალეიდოსკოპი.

**I არხი**

11:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:15 ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია (LIVE).
18:00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ზესტაფონი-დინამო.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:05 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ბარი.
08:50 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. გერმანიის ჩემპიონატი. მაინცი-ბაიერნი.
10:40 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
11:10 საფეხბურთო კლუბი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ევროპის სუპერთასი. ბარსელონა-შახტარი. მონაკო.
14:25 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
14:55 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
15:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:40 ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ბარნლი (LIVE).
17:55 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ლივერპული (LIVE).
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-არსენალი (LIVE).
22:10 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:40 იტალიის ჩემპ.. მილანი-ინტერი (LIVE).
00:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:50 არგენტინის ჩემპიონატი. ესტუდიანტეს-ხიმნასია.
02:45 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლიონი-ნანსი.
04:40 ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ტენერიფე.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

08:00 სპორტული დილა.
08:45 კალათბურთი. WNBA-ის მიმოხილვა.
09:15 მძლეოსნობა. IAAF-ის ოქროს ლიგა. შვეიცარია.
11:15 ახალი ამბები.
11:25 კალათბურთი. სტანკოვიჩის თასი. კაცები. თურქეთი-ინგლისი. ჩინეთი (LIVE).
13:20 ტაილანდური კრივი.
14:15 სპორტული გლობუსი - TRANS WORLD SPORT წარმოგიდგენთ.
14:40 სპორტული დღე.
15:25 კალათბურთი. სტანკოვიჩის თასი. კაცები. ჩინეთი-ავსტრალია. ჩინეთი (LIVE).
17:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ნიურნბერგი (LIVE).
19:25 ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. ჰოლანდია.
21:20 სპორტული საღამო.
21:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-დეპორტივო (LIVE).
23:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სარაგოსა-ტენერიფე (LIVE).
02:00 ახალი ამბები.
02:30 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. სეზონის საუკეთესო მატჩები. 1/4 ფინალი. პიტსბურგი-ვაშინგტონი. IV მატჩი.
04:30 კალათბურთი. სტანკოვიჩის თასი. კაცები. ჩინეთი.

**EUROSPORT**

10:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. ნიუ ჰევენი. აშშ.
12:00 ნიჩბოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. III დღე. პოზნანი. პოლონეთი (LIVE).
15:15 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS131. ჰაკუბა. იაპონია.
17:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-რუსეთი. ფინეთი.
18:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. დანია-ჰოლანდია. ფინეთი (LIVE).
20:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ფინეთი-უკრაინა. ფინეთი.
21:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ფინალი. ნიუ ჰევენი. აშშ (LIVE).
22:45 ცხენოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. განვრთნა. ვინძორი. ბრიტანეთი (LIVE).
01:15 ველოსპორტი. ვუელტა. I ეტაპი. ესპანეთი.
02:15 ბრძოლა წესების გარეშე.

**30 აგვისტო. კვირა**

**I არხი**

16:15 ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:30 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-ლივერპული.
08:20 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-დეპორტივო.
10:10 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ვოლფსბურგი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:25 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
14:15 იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ინტერი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. პორტსმუთი-მანჩესტერ სიტი (LIVE).
18:30 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ფულჰემი (LIVE).
20:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-სევილია (LIVE).
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ბორდო (LIVE).
00:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:05 არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ბოკა ხუნიორსი (LIVE).
03:15 გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ვერდერი.
05:00 იტალიის ჩემპიონატი. რომა-იუვენტუსი.

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

08:00 სპორტული დილა.
08:45 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ბირმინგემი.
10:35 ფრენბურთი. ევროპის ჩემპიონატი.
11:15 ახალი ამბები.
11:25 კალათბურთი. სტანკოვიჩის თასი. კაცები. ავსტრალია-ინგლისი. ჩინეთი (LIVE).
13:20 წყალბურთი. ტელეჟურნალი.
13:50 სპორტული გლობუსი - TRANS WORLD SPORT წარმოგიდგენთ.
14:10 სიჩქარის სამყარო. ტელეჟურნალი.
14:40 სპორტული დღე.
15:25 კალათბურთი. სტანკოვიჩის თასი. კაცები. ჩინეთი-თურქეთი. ჩინეთი (LIVE).
17:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-ვერდერი (LIVE).
19:25 ახალი ამბები.
19:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-იუვენტუსი (LIVE).
22:00 სპორტული საღამო.
22:30 სპორტული გლობუსი - TRANS WORLD SPORT წარმოგიდგენთ.
23:00 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. სტ. ელენსი-ჰადერსფილდი.
01:00 ახალი ამბები.
01:10 ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჰოლანდია.
03:10 ტაილანდური კრივი.
04:10 ახალი ამბები.
04:20 კალათბურთი. სტანკოვიჩის თასი. კაცები. ჩინეთი.

**EUROSPORT**

10:30 მულტისპორტი.
10:45 ავტოსპორტი. ფორმულა მასტერსი. სპა. ბელგია (LIVE).
11:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. დანია-ჰოლანდია. ფინეთი.
12:30 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS131. ჰაკუბა. იაპონია.
13:30 ნიჩბოსნობა. მსოფლიოს ჩემპიონატი. IV დღე. პოზნანი. პოლონეთი (LIVE).
15:15 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS131. ჰაკუბა. იაპონია (LIVE).
16:45 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ისლანდია. ფინეთი (LIVE).
19:00 ცხენოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. განვრთნა. ვინძორი. ბრიტანეთი (LIVE).
20:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ნორვეგია-საფრანგეთი. ფინეთი.
21:15 ველოსპორტი. ვუელტა. II ეტაპი. ესპანეთი.
22:15 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
22:30 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. გერმანია-ისლანდია. ფინეთი.
00:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ეტაპი. ნორვეგია-საფრანგეთი. ფინეთი.
01:00 კრივი. IBF-ის ვერსია. მძიმე წონა. ტმაშ ადამეკი (პოლონეთი)-ბობი განი (აშშ). ნიუარკი. აშშ.
02:15 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
02:30 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. HS131. ჰაკუბა. იაპონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი


როჯერ ფედერერი


რაფა ნადალი


სერენა უილიამსი

# ნათელი ფერები

საჩოგბურთო ვარსკვლავებმა ამერიკის ღია პირველობის წინ გულშემატკივრებს სათამაშო ფორმა წარუდგინეს, რომლითაც ისინი "დიდი სლემის" ბოლო ტურნირზე გამოვლენ.

ტრადიცია დაარღვიეს კომპანია "ნაიკმა" და **მარია შარაპოვამ**. რუსი ჩოგბურთელი კორტზე გასვლამდე არასოდეს ანახვებდა საჩოგბურთო საზოგადოებას თავის ახალ კაბას, მაგრამ ამჯერად გამონაკლისი დაუშვა.

რეიტინგის ლიდერებმა ნიუ იორკის კორტებზე გამოსვლისთვის ნათელი ფერები აარჩიეს, თუმცა ყველა მათგანს სარეზერვო ფერად რატომღაც შავი აქვთ მომზადებული.

**როჯერ ფედერერი** წითელი მაისურით გავა კორტზე, **რაფა ნადალმა** ყვითელი ფერი არჩია, ხოლო **ენდი მიურეიმ** ცისფერს მიანიჭა უპირატესობა. ვარდისფერი კაბით ითამაშებს **სერენა უილიამსი...**


ენდი მიურეი



შარაპოვას კაბები

# ჰინგისი იცეკვებს

ლეგენდარული შვეიცარიელი ჩოგბურთელი, "დიდი სლემის" ტურნირების ხუთგზის გამარჯვებული **მარტინა ჰინგისი** საცეკვაო ტელეშოუს მონაწილე გახდება.

თუმცა ტელემაყურებელთა გარკვეულმა ნაწილმა არ მოიწონა BBC-ის შოუში შვეიცარიელის მიწვევა. მათი აზრით, გასართობ პროგრამაში, რომელსაც ბავშვებიც უყურებენ "ნარკომანი სპორტსმენი" მონაწილეობას არ უნდა იღებდეს.

შეგახსენებთ, რომ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ 28 წლის ჰინგისი ორწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა კოკაინის მიღებისთვის. დოპინგსინჯი 2007 წლის უიმბლდონზე იყო აღებული.

უკმაყოფილო მაყურებლის სიტყვებით, მარტინა ცუდ მაგალითს მისცემს ბავშვებს. მათი თქმით, ჰინგისი არ იმსახურებს იმ 50 ათას ფუნტ სტერლინგს, რომელსაც BBC შვეიცარიელს შოუში მონაწილეობისთვის უხდის.

BBC-ის ხელმძღვანელობას არ დაუკონკრეტებია ჰინგისისთვის გადახდილი თანხის ოდენობა. ტელეკომპანიის ბოსებმა მხოლოდ ის აღნიშნეს, რომ შვეიცარიელი მათ შოუს კიდევ უფრო პოპულარულს გახდის. *"როგორც თავად მარტინამ გვითხრა, დადებითი დოპინგსინჯები წარსულს ჩაბარდა და ახლა ის ახალი გამარჯვებების მოლოდინშია"*, - ამბობენ ტელეკომპანიაში.

აღსანიშნავია, რომ ჰინგისის გარდა საცეკვაო მოედანზე გავლენ დოლში მსოფლიოს ჩემპიონი **რიჩარდ დანვუდი**, ყოფილი მოკრივე **ჯო კალზაგე**, კრიკეტის ექსმოთამაშე **ფილ ტაფნელი** და ბრიტანელი სიგრძეზე მხტომელი **ჯად ჯონსონი**.





# კურნიკოვა პოდიუმზე

რუსმა ყოფილმა ჩოგბურთელმა ანა კურნიკოვამ კომპანია K-Swiss-ის მიერ მოწყობილ საღამოში მიიღო მონაწილეობა, რომელიც სპორტული ტანსაცმლის ახალი კოლექციის გამოსვლას მიეძღვნა. შეგახსენებთ, რომ ანა K-Swiss-ის ერთ-ერთი სახე გახლავთ.

კურნიკოვა პრეზენტაციაზე სტუმრის როლს არ დასჯერდა, სცენაზე გავიდა და სხვა მოდელებთან ერთად ტანსაცმლის რამდენიმე მოდელი წარადგინა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**






თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge